ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 მარტი პარასკევი 2014
№044(14 265) ფასი 80 თეთრი



# შერმადინი დაბრუნდა, ოლიმპიაკოსი აბრუნდა

საქართველოს ნაკრების ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** „სარაგოსადან" „ოლიმპიაკოსში" დაბრუნების შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა. ევროლიგის მეორე ეტაპის მეცხრე ტურში მისმა გუნდმა იტალიურ „მილანს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე 86:88 დათმო.

როგორც მწვრთნელი **გეორგიოს ბარძოკასი** ვარაუდობდა, შერმადინს გუნდთან ადაპტაცია არ გასჭირვებია, კარგად ჩაერთო თამაშში და რაც მასზე იყო დამოკიდებული ყველაფერი კარგად შეასრულა. თავად განსაჯეთ: 12 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. გიორგიმ მხოლოდ ერთი ტყორცნა ააცილა - 2/2 ორქულიანი, 6/5 საჯარიმო.

საინტერესოა, რომ მის მოედანზე გამოჩენას ბერძენი ქომაგი ოვაციებით შეხვდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



4-5

ლელოს სტუმარი
*თენგიზ სულაქველიძე*

# პასპორტში არ უნდა ჩაიხედო

## მარადონას მეურვეობა რომ დამაკისრეს, მეგონა, ნაკრებიდან მაგდებდნენ

8 მარტი. 19:00. ესპანეთი-საქართველო



# რაგბი, იშვიათი შემთხვევა, როცა ესპანეთთან ფავორიტები ვართ

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| 9.03.ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე | 15:00 |
| **გურია** | |
| ურთიერთშეხვედრები: | 1: +0 =0 -1 (1:5) |
| **ჩიხურა** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |
| დილა-გურია | 1:3 (სჩ) |
| გურია-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-გურია | 3:1 (სჩ) |
| გურია-ტორპედო | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-დინამო (თბ) | 1:5 (სჩ) |
| სპარტაკი-ჩიხურა | 2:3 (სჩ) |
| სიონი-ჩიხურა | 1:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-ჩიხურა | 0:1 (სუპ.) |
| ჩიხურა-სიონი | 1:1 (სჩ) |

| | |
|---|---|
| 9.03.თბილისი. მ. მესხი | 15:00 |
| **სპარტაკი** | |
| ურთიერთშეხვედრები: | 16: +7 =3 -6 (21:16) |
| **ზუგდიდი** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ჩიხურა | 2:3 (სჩ) |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 3:0 (სჩ) |
| სპარტაკი-დილა | 0:0 (სჩ) |
| სპარტაკი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 1:0 (სჩ) |
| ტორპედო-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ზუგდიდი-დინამო (თბ) | 0:3 (სჩ) |

| | |
|---|---|
| 9.03.გორი. თ. ბურჯანაძე | 15:00 |
| **დილა** | |
| ურთიერთშეხვედრები: | 29: +5 =2 -22 (22:62) |
| **ვიტ ჯორჯია** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |
| დილა-გურია | 1:3 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 1:2 (სთ) |
| სპარტაკი-დილა | 0:0 (სჩ) |
| დილა-ჩიხურა | 0:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 5:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია | 0:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 (სჩ) |

| | |
|---|---|
| 9.03.ზესტაფონი. დ. აბაშიძე | 18:00 |
| **ზესტაფონი** | |
| ურთიერთშეხვედრები: | 7: +6 =1 -0 (20:6) |
| **მერანი** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-ზუგდიდი | 3:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 3:0 (სჩ) |
| გურია-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| დილა-ზესტაფონი | 3:1 (სჩ) |
| მერანი-მეტალურგი | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 1:1 (სჩ) |
| ჩიხურა-მერანი | 0:0 (სჩ) |
| მერანი-დინამო (თბ) | 0:2 (სჩ) |
| სიონი-მერანი | 2:0 (სჩ) |

| | |
|---|---|
| 9.03.რუსთავი. ფოლადი | 15:00 |
| **მეტალურგი** | |
| ურთიერთშეხვედრები | 22: +12 =6 -4 (32:14) |
| **სიონი** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| მერანი-მეტალურგი | 0:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:2 (სთ) |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 1:0 (სჩ) |
| მეტალურგი-გურია | 3:1 (სჩ) |
| სიონი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| დინამო (თბ)-სიონი | 1:2 (სჩ) |
| სიონი-ჩიხურა | 1:1 (სთ) |
| ჩიხურა-სიონი | 1:1 (სჩ)) |
| სიონი-მერანი | 2:0 (სჩ) |

| | |
|---|---|
| 9.03.ქუთაისი. ტორპედო LIVE მეორე არხზე | 15:00 |
| **ტორპედო** | |
| ურთიერთშეხვედრები: | 56: +15 =14 -27 (55:96) |
| **დინამო (თბ)** | |
| ბოლო 5 მატჩი | |
| სიონი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 1:1 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 1:2 (სთ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 5:0 (სთ) |
| ტორპედო-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-დინამო (თბ) | 1:5 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:2 (სთ) |
| დინამო (თბ)-ჩიხურა | 0:1 (სუპ.) |
| მერანი-დინამო (თბ) | 0:2 (სჩ) |
| დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია | 0:1 (სჩ) |

### სულ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გურთები გატ. | გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 20 | 14 | 3 | 3 | 48 | 16 | 45 |
| 2 | ჩიხურა | 20 | 11 | 5 | 4 | 39 | 29 | 38 |
| 3 | ზესტაფონი | 20 | 10 | 4 | 6 | 27 | 15 | 34 |
| 4 | მეტალურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 25 | 23 | 30 |
| 5 | სიონი | 20 | 8 | 6 | 6 | 25 | 22 | 30 |
| 6 | გურია | 20 | 10 | 0 | 10 | 23 | 27 | 30 |
| 7 | დილა | 20 | 7 | 7 | 6 | 25 | 20 | 28 |
| 8 | ტორპედო | 20 | 7 | 5 | 8 | 22 | 26 | 26 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 4 | 9 | 25 | 27 | 25 |
| 10 | სპარტაკი | 20 | 5 | 2 | 13 | 16 | 30 | 17 |
| 11 | ზუგდიდი | 20 | 4 | 5 | 11 | 10 | 28 | 17 |
| 12 | მერანი | 20 | 4 | 3 | 13 | 15 | 37 | 15 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გურთები გატ. | გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 24 | 10 | 22 |
| 2 | მეტალურგი | 10 | 6 | 4 | 0 | 16 | 4 | 22 |
| 3 | ჩიხურა | 10 | 7 | 1 | 2 | 22 | 12 | 22 |
| 4 | გურია | 10 | 7 | 0 | 3 | 14 | 7 | 21 |
| 5 | დილა | 10 | 5 | 3 | 2 | 18 | 9 | 18 |
| 6 | ზესტაფონი | 10 | 5 | 3 | 2 | 16 | 8 | 18 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 1 | 4 | 17 | 10 | 16 |
| 8 | სიონი | 10 | 4 | 2 | 4 | 14 | 14 | 14 |
| 9 | ტორპედო | 10 | 3 | 4 | 3 | 11 | 9 | 13 |
| 10 | მერანი | 10 | 4 | 1 | 5 | 11 | 14 | 13 |
| 11 | სპარტაკი | 10 | 4 | 1 | 5 | 9 | 12 | 13 |
| 12 | ზუგდიდი | 10 | 3 | 4 | 3 | 7 | 12 | 13 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გურთები გატ. | გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 24 | 6 | 23 |
| 2 | ზესტაფონი | 10 | 5 | 1 | 4 | 11 | 7 | 16 |
| 3 | სიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 11 | 8 | 16 |
| 4 | ჩიხურა | 10 | 4 | 4 | 2 | 17 | 17 | 16 |
| 5 | ტორპედო | 10 | 4 | 1 | 5 | 11 | 17 | 13 |
| 6 | დილა | 10 | 2 | 4 | 4 | 7 | 11 | 10 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 10 | 2 | 3 | 5 | 8 | 17 | 9 |
| 8 | გურია | 10 | 3 | 0 | 7 | 9 | 20 | 9 |
| 9 | მეტალურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 9 | 19 | 8 |
| 10 | სპარტაკი | 10 | 1 | 1 | 8 | 7 | 18 | 4 |
| 11 | ზუგდიდი | 10 | 1 | 1 | 8 | 3 | 16 | 4 |
| 12 | მერანი | 10 | 0 | 2 | 8 | 4 | 23 | 2 |

# ...ვიდრე რებუსს ამოვხსნიდეთ




დინამომ ტორპედოს პირველ წრეში გიორგი გველესიანის გოლით მოუგო — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**ჩემპიონატის** განახლების მერე ორი ტური ჩატარდა და ორივე შემთხვევაში იმდენი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, ალბათ, მთლიანად პირველ ეტაპზე (წინა წელს ვგულისხმობთ) რომ არ ყოფილა.

ახლაც, პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურშიც ნურავის ნურაფერი გაუკვირდეს: ექვსივე მატჩი ისეთია, სატურნირო თვალსაზრისით რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთადერთი სხვაობა ის არის, ამ 12 გუნდიდან შედარებით ნაკლები მოტივაცია სამ გუნდს ექნება, თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ზედა ექვსეულში ადგილგანაღდებული ეს სამი გუნდიც („დინამო", „ზესტაფონი", „ჩიხურა") უბრძოლველად არაფერს დათმობს.

ჰო, ბოლოსწინა ტურის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა ხომ სამი ვაკანტური ადგილისათვის მებრძოლი ოთხი გუნდის მონაწილეობით ჩასატარებელი თამაშებია (მით უფრო, რომ აქედან ორი ამ ტურში არკვევს ერთმანეთთან ურთიერთობას). არადა, ცხრილს თუ „გახედავთ", ალმოაჩენთ, რომ სამ გუნდს ერთნაირი ქულათა რაოდენობა აქვს და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ საერთოდ, პირველი ეტაპი რამდენიმე გუნდმა თანაბარი მაჩვენებლით დაამთავროს.

ჰოდა, სწორედ მაშინ მიენიჭება უპირატესობა ურთიერშეხვედრებს და სჯობს, ამის შესახებ, ბოლოსწინა ტურის მერე ვისაუბროთ, თორემ ახლა აზრი არა აქვს; უბრალოდ, მკითხველიც დაიბნევა და ჩვენც არ გვინდა შეგვეშალოს, თორემ დღესდღეობით ამ „რებუსს" შემდეგი სახე აქვს: „სიონს" უპირატესობა აქვს „გურიასთან", სამაგიეროდ, „გურიამ" ორივე მატჩი მოუგო „დილას", რომელიც, თავის მხრივ, „მეტალურგს" სჯობნის და „სიონს" ჩამორჩება; ყველაზე უცნაური სიტუაცია „მეტალურგისა" და ;„გურიას" შემთხვევაშია: ამ გუნდების ორივე მატჩი ხომ ერთნაირი ანგარიშით (3:1) დამთავრდა, თუმცა, ლანჩხუთელებს დღესდღეობით მეტი მოგება აქვთ.

აი, რაც შეეხება „მეტალურგსა" და „სიონს", ეს გუნდები სწორედაც რომ ამ ტურში ხვდებიან სეზონში მეორედ და, წესითა და რიგით, ყველაზე დამაინტრიგებელ მატჩად სწორედ ეს შეხვედრა უნდა მიგვეჩნია, მაგრამ კვირას ხომ „ქართული კლასიკოა": ქუთაისის „ტორპედომ" თბილისის „დინამოს" უნდა უმასპინძლოს!..

## ტორპედო–დინამო

პირველი წრე 1:2

საქართველოს ორი ყველაზე ტიტულიანი გუნდის პაექრობა მართლაც უდიდეს ინტერესს იწვევს და ეს იმის მიუხედავად, რომ მეტოქეებს აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვთ. თუმცა, 1990 წლიდან (თუგინდ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან) მოყოლებული, „ტორპედოსა" და „დინამოს" ნებისმიერი დაპირისპირების წინ არც ერთ მეტოქეს მოტივაცია არ სჭირდებოდა.

ასეა ახლაც. მით უფრო, რომ მშობლიური ქალაქის გუნდში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნებული **რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ტორპედომ" წინა ტურში სტუმრად „სიონი" დაამარცხა და ზედა ექვსეულში მოხვედრის თეორიული შანსიც შეინარჩუნა. თუმცა, ამისათვის საჭიროა, რომ „ტორპედომ" ორივე მატჩი მოიგოს, ხოლო კონკურენტებმა ერთმანეთთან თუ სხვა გუნდებთან ქულები დაკარგონ.

მოკლედ, ურთულესი მისია აქვთ შესასრულებელი მასპინძლებს, ფაქტობრივად, ახალი გუნდით რომ უნდა დაუხვდნენ უპრინციპულეს მეტოქეს. არადა, „დინამოც" ვერ მისცემს თავს მოდუნების უფლებას (მით უფრო, ასეთ პრინციპულ მოწინააღმდეგესთან) და ისიც საინტერესოა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება „ტორპედოს" საშინაო წაუგებელი სერია ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდთან: ცნობისათვის, „დინამომ" უკანასკნელად ქუთაისში 7 წლის წინათ გაიმარჯვა...

## მეტალურგი–სიონი

პირველი წრე 1:0

იმის მიუხედავად, რომ ამ გუნდებს შორის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში უპირატესობას რუსთაველები ფლობენ, ბოლო წლებია, ქვემოქართლური „დერბი" მუდამ უკომპრომისოდ მიმდინარეობს. გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც კვირის მატჩი იქნება: ორივე გუნდი ხომ ზედა ექვსეულში მოხვედრაზე აცხადებს პრეტენზიას და იმის გარდა, რომ ჯერ ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ, არანაკლებ რთული მატჩები ელოდებათ პირველი ეტაპის ბოლო ტურშიც.

მოკლედ, რუსთავი ერთობ საინტერესო და დაძაბული მატჩის მოლოდინშია, თანაც, „მეტალურგსაც" და „სიონსაც", სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე მართებთ თამაში (ისევ და ისევ კალენდრიდან გამომდინარე); თუმცა, ამ უპრინციპულესი მატჩის წინ სულ მცირე უპირატესობა მაინც მასპინძლების მხარესაა: პირველ წრეში (როცა „მეტალურგსა" და „სიონსაც" სხვა მწვრთნელები მოძღვრავდნენ) ჩატარებულ შეხვედრაში **ლევან კორღალიძის** ერთადერთი გოლით რუსთაველებმა გაიმარჯვეს და დღესაც თუ თავიანთთვის სასურველ შედეგს მიაღწიეს, ერთ-ერთ მეტოქესთან უკვე დადებითი ბალანსი ექნებათ. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდებია და სჯობს მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ.

## გურია–ჩიხურა

პირველი წრე 1:5

ორივე გუნდმა წინა ტურში მტკივნეული მარცხი იწვნია და ამჯერად საკუთარი ქომაგების წინ რეაბილიტაციაც მართებთ. თანაც, „გურიამ", ბევრისთვის მოულოდნელად, ახალგარემონტებულ ლანჩხუთის სტადიონზე წააგო, „ჩიხურამ" კი, „დინამოსთან" სხვაობის შემცირების შანსი ვერ გამოიყენა და ისე როგორც პირველ წრეში, ამჯერადაც გამანადგურებელი ანგარიშით წააგო.

ისე, ერთი შეხედვით, საჩხერელთა გუნდს, მასპინძლებისგან განსხვავებით, ნამეტნავი მოტივაციაც არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მორიგი წარუმატებლობის შემთხვევაში ხომ უკვე საპრიზო სამეულში ყოფნას დაემუქრება საფრთხე. ასე რომ, **სოსო ფრუიძის** გუნდზეც ვერავინ უნდა თქვას, პირველ ეტაპს „ინერციით" ამთავრებსო.

აი, „გურიას" კი მართლაც მშვენიერი შანსი აქვს, რომ უმაღლეს ლიგაში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნება ზედა ექვსეულში მოხვედრით აღნიშნოს. თანაც, **დავით მახარაძის** გუნდს ის უპირატესობაც აქვს კონკურენტებთან შედარებით, რომ „საკუთარ თავზეა" დამოკიდებული; თანაც, იმავე კონკურენტებთან შედარებით, არც „დინამოსთან" უწევს მატჩი და არც - „ზესტაფონთან"...

## დილა–ვიტ ჯორჯია

პირველი წრე 2:0

დისკვალიფიკაცია: **დავით ბოლქვაძე, ვახტანგ კვარაცხელია** (ორივე - დილა)

ჩემპიონატის განახლებას ყველაზე წარუმატებლად სწორედ „დილა" და „ვიტ ჯორჯია" შეხვდნენ - ორივე გუნდმა წინა ორ ტურში მარცხი განიცადეს. თუმცა, „ვეტერინარების" ასეთი სტარტი, მეტ-ნაკლებად, ლოგიკურიც იყო, რამეთუ **ზურაბ ბერიძის** ისედაც ახალგაზრდულ გუნდს თითქმის ყველა რგოლში დააკლდა წამყვანი ფეხბურთელი.

ბევრად უფრო მასშტაბური ცვლილებები მოხდა „დილაში", თანაც, არა მხოლოდ რაოდენობრივად: გორელთა გუნდის თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა ამ ზამთრის სატრანსფერო პაუზის დროს სხვა გუნდებს მიაშურეს. თუმცა, არ დავმალავთ და, სხვების მსგავსად, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო „დილას" ზედიზედ ორი მარცხი, რითაც **რამაზ სოლოლაშვილის** გუნდმა შესამჩნევად გაირთულა ზედა ექვსეულში მოხვედრა.

მაგრამ, ცხრილსა და კალენდარს თუ გადავხედავთ, დღესდღეობით VII ადგილზე მყოფ „დილას" უფრო კარგი შანსი აქვს, ვიდრე მასზე წინ მყოფ ერთდროულად სამ გუნდს (ისევ და ისევ მეტოქეთა სიძლიერის ფაქტორიდან გამომდინარე). თუმცა, ნამდვილად არ არის პატარა ამბავი ის ფაქტიც, რომ კვირის მატჩში „დილას" გუნდის წამყვანი ნახევარმცველი **დავით ბოლქვაძე** და საქართველოს ჩემპიონატში გარკვეული პაუზის მერე დაბრუნებული **ვახტანგ კვარაცხელია** ვერ დაეხმარებიან.

**გია ტუხაშვილი**

## სპარტაკი–ზუგდიდი

პირველი წრე 1:1

დისკვალიფიკაცია: **თ. თუხარელი, გ. თექთურმანიძე (სპარტაკი); ზ. სიხარულია (ზუგდიდი)**

## ზესტაფონი–მერანი

პირველი წრე 2:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# გიორგი ჭანტურია: ვერონა? რეალურია

**გიორგი ჭანტურიამ ეროვნულ ნაკრებში პირველი შეხვედრა ჩაატარა და დებიუტი გოლითაც აღნიშნა. რუმინული „კლუჟის" 20 წლის თავდამსხმელი ამ დღეს დიდხანს ელოდა. მატჩის შემდეგ გიორგის მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ. ნაკრების დებიუტანტი ლიხტენშტაინთან მატჩსა და „ვიტესიდან" „კლუჟში" გადასვლაზე გველაპარაკა:**

- შესაძლოა, ნაკრებმა თავისი საუკეთესო ფეხბურთი ვერ ითამაშა, მაგრამ ახლა მთავარი მოგება და სეზონის კარგ ხასიათზე დაწყება იყო. შევეცდებით, ასე გავაგრძელოთ. ბედნიერი ვარ, ეროვნულ ნაკრებში რომ გავიტანე - ალბათ, ესაა ყველა ფეხბურთელის ოცნება, პირველი ბურთი სადებიუტო შეხვედრაშივე რომ გაიტანოს, თან - ეროვნულ გუნდში. მადლობა თითოეულ გულშემატკივარს, ვინც მოვიდა და გვერდში დაგვიდგა.

**- ნაკრებში გამოძახებას „ვიტესში" გადასვლის შემდეგ იმედოვნებდით, მაგრამ... ეს ლოდინი სამწლიანი გამოდგა...**

- მთავარია, ქეცბაიამ მიმიწვია. მიმაჩნია, რომ ნაკრებში საჭირო დროს და საჭირო მომენტში მოვხვდი.

**- კარგა ხანს იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ევროპის რომელიმე წამყვან ლიგაში უნდა გადასულიყავით. საბოლოოდ კი, რუმინულ კლუბში აღმოჩნდით, თან ოთხწლიანი კონტრაქტით...**

- „კლუჟმა" „ვიტესისგან" ჩემი ტრანსფერი გამოისყიდა, მაგრამ რუმინეთში ამდენ ხანს გაჩერებას არ ვაპირებ.

**- აბა, სად ითამაშებთ?**

- რუმინეთში გადასვლა ტაქტიკური ნაბიჯი იყო, რომლის მიზანიც იგივეა - კვლავ იტალიაში გადასვლაზე ვფიქრობ.

**- და როდის მოხდება ეს?**

- ალბათ, ივნისამდე კლუბს კვლავ შევიცვლი.

**- იტალიური გამოცემები ამტკიცებდნენ, რომ თქვენით დაინტერესებულები იყვნენ „პარმა", „ჯენოა", „ბოლონია" და „ვერონა".**

- დიახ, ამ კლუბებს მართლაც ჰქონდათ ჩემ მიმართ ინტერესი.

**- ახლა რომელ კლუბთან გაქვთ მოლაპარაკება?**

- სავარაუდოდ, მაისის ბოლოს „ვერონაში" გადავალ.

**- ეს გადაწყვეტილია?**

- რეალურია. „კლუჟში" წასვლა იტალიაში ტრანსფერისთვის აუცილებელი ნაბიჯი იყო.



გიორგი ჭანტურია (მარჯვნივ) სანდრო კობახიძესთან ერთად ლიხტენშტაინის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

ბათუმი

# შეკრების მერე ხდება ხოლმე...

## ახალი სპონსორი, ახალი მოთამაშეები, ახალი პროექტი

ბათუმის „დინამომ" ახალწვეულები წარადგინა და ახალი სპონსორების ვინაობაც გაამხილა. კლუბის გენერალური სპონსორი სამშენებლო კომპანია „ანაგი" იქნება. მეორე წრეში „დინამოს" კვლავ გერმანული „სალერი" შემოსავს, რომელმაც კლუბი ახალი დიზაინის ეკიპირებით მოამარაგა.

საინტერესო სიახლეა, რომ სპონსორი არა მხოლოდ კლუბს, არამედ მის ფან-კლუბსაც („პირატები") გამოუჩნდა. ამიერიდან, მათი ტრანსპორტირების ხარჯებს საკუთარ თავზე „კოკა-კოლა" და „მარდი-ჰოლდინგი" აიღებენ.

პირველი ლიგის B ზონაში, საგაზაფხულო ეტაპის სასტარტო შეხვედრაში ბათუმის „დინამო" თბილისში „საკოსთან" 0:1 დამარცხდა და ლიდერის პოზიცია „სამტრედიას" დაუთმო: *„ასეთი რამ შეკრების შემდეგ ხდება ხოლმე - დიდი დატვირთვების მერე გუნდს თამაში გაუჭირდა. თანაც, „საკოს" გამოცდილი*



ოთარ ფედიჩკინი

*მოთამაშეები ჰყავს. ნაგებას ამას არ ვაბრალებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველ ლიგაში უკეთეს მოედანზე უნდა ვთამაშობდეთ. ახლა კონკურენტ „სამტრედიას" 3 ქულით ჩამოვრჩებით. მას 8 მარტს ქობულეთში ვუმასპინძლებთ და გამარჯვებას ვეცდებით"*, - გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა **ოთარ ფედიჩკინმა**.

ის ამაყობს, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, კლუბმა საკუთარ ქალაქში უფასო საფეხბურთო ჯგუფები ჩამოაყალიბა: *„სიახლე არაა, რომ ბევრი ნიჭიერი ბავშვი ფეხბურთზე უფულობის გამო არ დადის. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ ბათუმის ყველა რაიონში უფასო ჯგუფები ჩამოგვეყალიბებინა, მწვრთნელებს კი ჩვენი ბიუჯეტიდან ვაფინანსებთ. რაზეც ადრე ვლაპარაკობდით, ახლა რეალობად იქცა - თავიდან 13 ჯგუფზე ვფიქრობდით, მაგრამ საბოლოოდ, გუნდი 16 ეზოში ჩამოვაყალიბეთ და პროექტიც ამუშავდა. მიმაჩნია, რომ ამით ბათუმში ფეხბურთის განვითარებას შევუწყობთ ხელს და „დინამოს" მომავალს საფუძველს ჩავუყრით".*

რაც შეეხება ახალწვეულებს, ცნობილია, რომ ბათუმელებმა რუსთავის „მეტალურგიდან" დაიმატეს **გიორგი გავაშელიშვილი, ანზორ სუხიაშვილი, გოგი ფიფია და ირაკლი სიხარულიძე**, თბილისის „ლოკომოტივიდან" საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრების მეკარე **გაბრიელ თებიძე**, ქუთაისის „ტორპედოდან" - **იური ოლეფერენკო**, ხოლო „ზესტაფონიდან" ფლანგის შემტევი **ნოდარ კიკნაველიძე**.

მათ გარდა, „დინამომ" შევსება საკუთარი საფეხბურთო სკოლიდანაც მიიღო - პირველ გუნდში დააწინაურეს **ნიკა აშბა, ბექა ჭკუასელი, დავით ნაკაშიძე, ზურაბ ქათამაძე** და **გიორგი მამულაძე**.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ინტერვიუ

# ლევან კაკუბავა

# საქართველოში თუ ტრავმა მიიღე, მერე აღარავის სჭირდები

## ეროვნულ ნაკრებში გამოძახებამ კაკუბავას სტიმული დაუბრუნა



**ლიხტენშტაინის ნაკრებთან შეხვედრისთვის თემურ ქეცბაიამ შეკრებაზე რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე გამოიძახა. მოულოდნელი იყო შემადგენლობაში 23 წლის ცენტრალური მცველის ლევან კაკუბავას გამოჩენა, რომელიც კარგა ხნით ჩრდილში მოექცა. ის 2010 წელსაც გამოიძახეს ეროვნულ გუნდში (მაშინ 20 წლისამ ნაკრებში ორჯერაც ითამაშა), 2010/11 წლების სეზონში კი თბილისის „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში 34 შეხვედრა ჩაატარა. რა მოხდა მას მერე? ამას თავად კაკუბავასგან გაიგებთ:**

- ნაკრებში პირველი შეხვედრა 2010 წელს, სლოვენიასთან ვითამაშე და 2:1 მოვიგეთ. ქეცბაია 2011 წელსაც მენდო, როცა სომხეთს 2:1 მოვუგეთ... მოკლედ, ჩემს კარიერაში თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ჩემი პრობლემები 2012 წლიდან დაიწყო, როცა მძიმედ დავშავდი და ლამის მთელი წელიწადი დავკარგე. ამის გამო, ჯერ „დინამოს" დუბლებში დამაქვეითეს, შემდეგ კი თავად გადავწყვიტე გუნდის დატოვება. სათამაშო პრაქტიკა რომ მქონოდა, ჯერ რუსთავის „მეტალურგში" ჩავირიცხე, წლეულს კი - ცხინვალის „სპარტაკში". ეს ორი წელი ვცდილობდი, რომ ჩავარდნა რამენაირად უკან მომეტოვებინა. შრომა არ მეზარებოდა და ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული განვიცადე, ქეცბაიას სიაში ჩემი გვარი რომ ამოვიკითხე. მართალია, ლიხტენშტაინთან არ მითამაშია, მაგრამ ამ გამოძახებას ჩემთვის სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. ცხინვალის „სპარტაკიდან" ნაკრებში მოხვედრა ხომ ძალიან ძნელია. ახლა ისევ გამიჩნდა სტიმული. ჩანს, ტყუილად არ ვვარჯიშობ. ჯერ 23 წლის ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

**- მახსოვს, თბილისის „დინამოდან" წასულს რა მძიმე განწყობა გქონდათ...**

- ბუნებრივია, რადგან მძიმე ტრავმა გადავიტანე, დიდი დრო გამიცდა და ფორმაში შესვლა გამიჭირდა. ამ პერიოდში ბევრი იმედგაცრუება გადავიტანე. თუმცა საკუთარი თავის მჯეროდა, ვიცოდი, ადრე თუ გვიან ავთამაშდებოდი, მაგრამ ვიღაცას ხელი ხომ უნდა შეეწყო?

**- უარით ბევრმა გუნდმა გაგისტუმრათ?**

- ბევრმა. ეს იყო სწორედ ყველაზე ძნელი გადასატანი. აღარავინ მენდობოდა. საქართველოში ტრავმის მიღება ხომ საშინელებაა - მერე აღარავის უნდიხარ. ფსიქოლოგიურად იოლი არც „დინამოდან" წამოსვლა ყოფილა. ამიტომ ვარ გელა სანაიასა და კახა კაჭარავას მადლიერი. სანაია მენდო და „მეტალურგში" მათამაშა, კაჭარავამ კი წლეულს „სპარტაკში" ამიყვანა. ისიც მენდობა და მათამაშებს. მათი თანადგომით გადავლახე პრობლემები.

**- საქართველოში ნიჭიერი მოთამაშეების დაკარგვა არავის უკვირს. მაგრამ ამ კუთხით თქვენი თაობა, ალბათ, რეკორდსმენია...**

- სამწუხაროდ, ასეა. ძალიან ბევრი ნიჭიერი ბიჭი აღარ თამაშობს ან დაბალი ლიგის გუნდებში არიან. საქართველოში მოთამაშეს ბევრი პრობლემა ექმნება და ამას ყველა ვერ უძლებს. ძალიან მეწყინა, ფეხბურთს თავი რომ დაანებეს ჩადუნელმა და მეკარე ლოსაბერიძემ, როცა ორივე - ასაკობრივი ნაკრების წევრი იყო. პირველ ლიგაში თამაშობს თავდამსხმელი ზვიად ქანთარია, რომელთან ერთადაც 19-წლამდელებში დანიასთან მითამაშია და გოლები გაგვიტანია. ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი გეთიაშვილი ერთი წელი იყო უგუნდოდ და მხოლოდ შარშან ჩაირიცხა „ვიტ ჯორჯიაში". უგუნდოდაა გურამ მინდორაშვილი, რომლის მსგავსი ნიჭიერი მარჯვენა მცველი საქართველოში არ მეგულებოდა. მაგრამ რად გინდა? - მანაც ტრავმა მიიღო და დაივიწყეს. 22 წლის ბიჭი ასე როგორ უნდა გაიმეტო? ჩვენს ფეხბურთს მიხედვა სჭირდება და იმედია, სახელმწიფო ყურადღებას გამოიჩენს, თორემ ნიჭიერი ბიჭები მომავალშიც დაიკარგებიან.

ვეტერანი

# სევასტი თოდუა

# დინამოსთან განსაკუთრებული მატჩია

**სევასტი თოდუა 13 მაისს 38 წლის გახდება. ის უკვე მე-18 წელია, უმაღლეს ლიგაში თამაშობს. ქუთაისის „ტორპედოში" ვეტერანი ცენტრალური მცველის დაბრუნება მოულოდნელი არ ყოფილა - „სევა", როგორც ფეხბურთელი, რევაზ ძოძუაშვილმა „შექმნა" და როცა მას გუნდი ჩააბარეს, თოდუაც მიიწვია. მას დღემდე 10 კლუბის ფორმა მოურგია და აქედან ოთხში მისი მწვრთნელი სწორედ ძოძუაშვილი იყო, პლუს, ნაკრებშიც (9 მატჩი), სადაც ასევე „მიხიჩამ" მიიწვია.**

საინტერესოა, რომ თოდუა „ტორპედოში" უკვე მეოთხედ ჩაირცხა. მის ანგარიშზე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩატარებული 400-მდე მატჩია, აქედან 130 შეხვედრაში მას „ტორპედოს" მაისურა ეცვა, გუნდისა, რომელსაც წლების განმავლობაში კაპიტნობდა კიდეც.

ქუთაისელთა რიგებში ასპარეზობისას მან ორჯერ მოიგო საქართველოს ჩემპიონატი და ერთხელ თასის მფლობელიც გახდა. საინტერესოა, რომ თოდუას საფეხბურთო სკოლაში, ფაქტობრივად, არც უვლია, უმაღლეს ლიგაში დებიუტი კი 20 წლისას ჰქონდა.

სხვათა შორის, 2012 წლის დასაწყისში, „ტორპედოში" თოდუას გაცილებაც მოუწყვეს, მაგრამ ცენტრალურმა მცველმა კარიერის გაგრძელება მოინდომა. დასამალი არ არის, რომ „სევამ" საგაზაფხულო ეტაპი მძიმედ დაიწყო - გორის „დილასთან" სათასო შეხვედრაში „ტორპედო" მისი უხეში შეცდომის გამოც დამარცხდა. სამაგიეროდ, ბოლნისის „სიონთან" საჩემპიონატო მატჩში გამორჩეული იყო და „ლელომ" შრომა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეყვანით დაუფასა.

ქუთაისის „ტორპედოს" პრესსამსახურმა თოდუას ინტერვიუ ჩამოართვა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება რამდენიმე ფრაგმენტი ამ ინტერვიუდან:

*„რის ხარჯზე ვახერხებ ამ ასაკში თამაშს? არასდროს თქვა - დავბერდი და გამოცდილებით ვითამაშებ, სხვებივით არ ვირბენ და ფორმას ასე შევინარჩუნებ. ვეტერანობა არ ნიშნავს, რომ მარტო გამოცდილება დაგეხმარება. ასეთი მიდგომით ფეხბურთში, თან უმაღლეს ლიგაში, დიდხანს ვერ გაძლებ. კონდიციებში ყოფნას შრომითა და ფეხბურთისადმი სიყვარულით ვახერხებ... მოტივაცია მარტო ფინანსური მხარე არ არის. სტადიონზე არავინ უნდა წამოგაძახოს - დაბერდი და სახლში წადიო. შესაძლოა, ვიღაცას გაეცინოს, მაგრამ კარიერის დასრულებაზე ჯერ არც ვფიქრობ. მსურს, კიდევ 3-4 წელი ვითამაშო. მაგრამ თუ შევატყობ, რომ გამიჭირდა, ხვალვე წავალ"*, - ამბობს თოდუა.

თოდუამ ეროვნული ჩემპიონატის დღევანდელ მდგომარეობაზეც ილაპარაკა: *„დონის ასამაღლებლად უკეთესი პირობები და რეკლამაა საჭირო, თორემ ჩვენ ტალანტები არ გვაკლია... თბილისის „დინამოს" გარდა, სხვა გუნდებში თითქმის ერთნაირი ვითარებაა, ასე კი ჩვენი ჩემპიონატის დონე ვერ გაიზრდება. 7-8 ძლიერი გუნდი თუ არ გვეყოლა, პროგრესს ვერ მივაღწევთ... „ტორპედომ" წელს შეკრებაც ვერ გაიარა".*

თოდუამ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებიც შეაფასა: *„ბოლნისის „სიონთან" მოგებამ ფსიქოლოგიურად გაგვაძლიერა და ვიგრძენით, რომ შედეგის მიღწევა შეგვიძლია. ძლიერი ფეხბურთელები ჩვენთანაც არიან: კვასხვაძე, ელიავა, ტულუში, ჩიკვილაძე... ვფიქრობ, უმაღლესიდან გავარდნა გამორიცხულია. თუ 9 მარტს „დინამოს" მოვუგებთ, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსს შევინარჩუნებთ. „დინამო" ჩვენთვის განსაკუთრებული მეტოქეა. ვიცით, მატჩს მრავალი გულშემატკივარი ეყოლება და მათ გასახარებლად ყველაფერს გავაკეთებთ".*




სევასტი თოდუა დინამოსთან უიმედოდ არ არის

ფეხბურთი და სახელმწიფო

„ლელოში" უკვე გამოქვეყნდა ცნობილი ფეხბურთელების, სპეციალისტების და კლუბების პრეზიდენტების მოსაზრებები ქართული ფეხბურთის მომავალზე, სახელმწიფო პროგრამასა და ზოგადად იმ თემებზე, რაც ამ ეტაპზე აქტუალურია. დღეს კი გორის „დილას" მთავარი მწვრთნელის რამაზ სოლოლაშვილის ინტერვიუს შემოგთავაზებთ. ვფიქრობთ, სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობის დროს, კომისიის წევრები დაინტერესდებიან, რა აწუხებთ მწვრთნელებს, მით უფრო მათ, ვინც საბიუჯეტო კლუბებში არიან დასაქმებულები. ისინი ხომ მრავალ ხილულ თუ უხილავ პრობლემას აწყდებიან...

# რამაზ სოლოლაშვილი
# გუნდების დიდ ნაწილს ეს საკითხი ძალიან აწუხებს



რამაზ სოლოლაშვილი

...ჩიც არ ნაუგიათ, ახლახან „ლოკომოტივმა" „ბარსელონას" თანატოლებს სძლია, მაგრამ წლები რომ გავა, მათ დონეზე ვიქნებით? რომ ვიყოთ, ამიტომაა აუცილებელი პრობლემების ახლავე მოგვარება და არა - გადავადება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელოს სტუმარი

# ქომაგიდან მარადონამდე

## თენგიზ სულაქველიძე: საქართველოს ნაკრებს დღეს შედეგი არ აქვს!



თენგიზ სულაქველიძე — ვაჟა სიმონიშვილის ფოტოები

**ქუთაისში, რაჭის გზას რომ დაადგები, ერთი უბანი, სახელად ჭომა შეგხვდება. ქალაქის მეორე ბოლო კი ავტოქარხანაა, თავისი სტადიონით. სწორედ ის სტადიონი, სადაც ბევრი დიდი ქართველი ფეხბურთელი გაიზარდა, ჭომა კი ის ადგილია, სადაც ამ დიდი ქართველებიდან ერთ-ერთი - თენგიზ სულაქველიძე დაიბადა, გაიზარდა და უბნელ ძმა-ბიჭებთან ერთად ავტოქარხნის სტადიონამდე და უკან, ყოველდღე რამდენიმე კილომეტრს ფეხით მიდი-მოდიოდა, ხოლმე. ავტოქარხნის სტადიონამდე...**

თადში ვიყავი და უსაყვარლესი გუნდის მაისურით 300-მდე მატჩი ჩავატარე. ამ მატჩებიდან ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი კი 1981 წელს, თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში, ...

...ვეტილებას?

- მიმაჩნია, რომ მწვრთნელი ფეხბურთელის პასპორტში არ უნდა იხედებოდეს. ასაკს რა მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელი თუ მაღალ დონეზე თამაშობს?! ...

...ისეთი ძლიერი გუნდი გვყავდა, მეტოქემ და მსაჯმა ერთად ვერაფერი დაგვაკლეს.

**- „დინამოში" რომ გადმოხვედით გუნდში დიდი ფეხბურთელები დაგხვდნენ. არ გაგიჭირდათ მათ გვერდით?**

- გუნდიც ის არის, რომ გამოცდილი ფეხბურთელები ახალბედას თავისიანად მიიღებენ და უფროსუმცროსობას არ აგრძნობინებენ?! დავით ყიფიანი, მანუ...

...ვცემდა?!

**- ნაკრებზე ვსაუბრობთ და მკითხველისთვის მწვრთნელისა და ფეხბურთელების გახშირებულ კონფლიქტებზეც საინტერესო იქნება თქვენი აზრი.**

- იცით, როცა ვთამაშობდი და სსრკ-ის ნაკრებში გამოგვიძახებდნენ, შეკრებაზე პირველივე რეისით მივემგზავრებოდით. სხვა გრძნობა იყო ქვეყ...

> ...სახელმწიფოს ფული უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებს უნდა მოხმარდესო. კი, მაგრამ ბავშვთა ფეხბურთი თუ არ განვითარდა უმაღლეს და პირველ ლიგაში ვინ ითამაშებს?!.

ჩემპიონატზე ითამაშებს. რატომ არ უნდა ითამაშოს?! გერმანიაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ შოტლანდიის, ირლანდიისა და პოლონეთის დამარცხება ჩვენს გუნდს ხომ უნდა შეეძლოს. სულაც არ არის წარმოუდგენელი, რომ ნაკრები ამ შესარჩევ ჯგუფში მეორე ან მესამე ადგილზე გავიდეს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდეს. არც ერთია უძლეველი მეტოქე.

**- ეროვნული გუნდის თამაშის დაცვითი მანერა თქვენთვის მისაღებია?**

- მისაღები არის თუ არა, მწვრთნელს ამ კონტინგენტით სხვა გზა არც აქვს. საქართველოს ნაკრებმა თამაში რომ გახსნას და შეტევაზე გადავიდეს, 4 გოლზე ნაკლებს თამაშში არ გაუშვებს. ალბათ...

**მწვრთნელი თქვენი ვაჟი თენგიზ სულაქველიძეა. თავად არ გქონიათ მწვრთნელობის სურვილი?**

- ერთი პერიოდი კი ვწვრთნიდი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ არის. იმიტომ არა, რომ ვერ გავაკეთებ, ალალად გეტყვი - მწვრთნელი თუ ხარ სპორტული ცხოვრებით უნდა იცხოვრო, ჩემთვის კი საკმარისია ის, რომ 15 წელინადი რეჟიმში ვიყავი და სპორტულად ვცხოვრობდი.

**- კარიერის განმავლობაში ბევრი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გითამაშიათ. რომელს გამოარჩევთ?**

- ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვარ. გამიმართლა, მართლაც უდიდეს მწვრთნე...

...ბის მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი იყო. თამაშის დილას სასაუზმოდ შევდიოდით და მწვრთნელმა შემაყოვნა. დღეს მარადონას წინააღმდეგ პერსონალურად უნდა ითამაშოო, მითხრა. რა გაეწყობოდა, ბევრი რამ ვიფიქრე, ბოლოს კი დავასკვენი, რომ ნაკრებიდან უნდათ ჩემი მოშორება და ამიტომ მომცეს ასეთი დავალება-მეთქი. მარადონა გენიალური ფეხბურთელი იყო და მის წინააღმდეგ პერსონალურად თამაშს რომ დაგავალებენ, ნიშნავს, რომ შენი ცუდად წარმოჩენა სურთ. საბედნიეროდ, შევცდი და კონსტანტინ ბესკოვი ნაკრებში მომავალშიც მიწვევდა. მარადონას კი იმ მატჩის შემდეგ კიდევ სამჯერ შევხვდი...

...ბესკოვი, ვალერი ლობანოვსკი... ყველა მწვრთნელთან კარგი ურთიერთობა მქონდა ედუარდ მალოფეევის გარდა.

**- მალოფეევს რას ერჩით?**

- მე არაფერს, თვითონ მერჩოდა. 1986 წელს საბჭოთა კავშირი დანიას ეთამაშა.

**სათამაშოდაც მიგიწვიათ...**

- მიმაჩნია, დიდი შეცდომა იყო მსოფლიოს იმ ჩემპიონატზე სსრკ ნაკრებს მწვრთნელთა ტრიუმვირატი რომ ხელმძღვანელობდა. ერთი თვე ვიყავით ესპანეთში და ნოდარ ახალკაცმა მაშინ...

> ...მალოფეევმა ჟურნალისტებს უთხრა, ელკიაერის წინააღმდეგ პერსონალურად თამაში სულაქველიძეს დავავალე, მან კი მეტოქის განეიტრალება ვერ მოახერხაო. ჯოხი ჩემზე გადატეხა...

მწვრთნელი სწორედ მალოფეევი იყო. ჩემთვის არავითარი კონკრეტული დავალება არ მოუცია, მეტოქის წინააღმდეგ ზონური დაცვა უნდა გვეთამაშა. დანიელების ერთ-ერთი ლიდერი კი მაშინ პრე...

სულ ერთი ვარჯიში ჩაატარა, ვალერი ლობანოვსკიმ კი ჯგუფური ეტაპის შემდეგ აიღო პირველობა და საწვრთნელ პროცესს უკვე ის ხელმძღვანელობდა.

**- მარადონა ახსენეთ და მას ხში...**

...დი. ისე კი ყველაზე მისაღები ჩემთვის საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია იყო. სადღეისოდ კი ასეთ უნივერსალად ჯაბა კანკავა მეგულება, თავდაუზოგავი ფეხბურთელია და სხვადასხვა პოზიციებზეც კარგად ითამაშებს.

მოამზადა **კობა ინასარიძემ**



თენგიზ სულაქველიძე (მარცხნივ) დიეგო მარადონას წინააღმდეგ

კოლეგა



თომას რინკი

# მწარე სიმართლე ტალახიან სკამზე და არა მარტო...

## გერმანელმა კოლეგამ საქართველოს ჩემპიონატი რეგიონალლიგას გაუტოლა

იცნობთ თომას რინკს? რა თქმა უნდა, არა. თავადაც, პირველად წინა უქმეებზე, მცხეთაში, საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრისას („ვიტ ჯორჯია"-"ზესტაფონი") ვნახე. გერმანელი კაცია, ჩემი კოლეგა, სახელგანთქმულ „კიკერში" მუშაობს. საქართველოში მივლინებით გამოუშვიათ და არ იკითხავთ, რატომ?! ნიცაში ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა რომ შედგა და გერმანიას ერთ-ერთ მეტოქედ საქართველო ერგო, სწორედ იმიტომ...

...გერმანული რეგიონალლიგის დონეს თუ გაუთანაბრებდა. თავს კი იმით ვიმშვიდებ, რომ თომასმაც, ჩემი არ იყოს, ნამეტანი გადააჭარბა-მეთქი...

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი სამძიმარს უცხადებენ „ფოთის კოლხეთი 1913"-ის მმართველ დირექტორ თემურ ბარქაიას დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ

# იძებნება ბაიერნის გამჩერებელი

## ცდა ბედის მონახევრეა: ახლა ვოლფსბურგის ჯერია

08.03. ვოლფსბურგი ფოლკსვაგენ არენა 18:30

**ვოლფსბურგი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=0-3 | +6=0-0 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +3=5-20 (26-69)

**ბაიერნი**

სავარაუდო შემადგენლობები

ვოლფსბურგი: ბენალიო; ნალდო, კნოხე; ოხსი, როდრიგესი; კალიჯური, მედოიევიჩი; არნოლდი, დე ბრუინი, პერიშიჩი; დოსტი

ბაიერნი: მანჯუკიჩი; რიბერი, კროოსი, მიულერი; ალკანტარა, ლამი; ალაბა, რაფინია; მარტინესი, ბოატენგი; ნოიერი

დისკვალიფიკაცია: ლ. გუსტავო, ტრეში
ტრავმა: ვიერინია - ბადშტუბერი

**8 მარტი**

**შალკე–ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პაპადოპულოსი (შალკე)
**ტრავმა:** აოგო, ფელიპე სანტანა, კირხჰოფი, უჩიდა, კლემენსი, ჰიოგერი - ვუკჩევიჩი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=1-1 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +3=4-4, (17:15)

**გლადბახი–აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** კრამერი, ჯაკა (ორივე გლადბახი)
**ტრავმა:** ვენდტი - ვერჰეგი, ბობადილია, მიოლდერსი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +0=3-3 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +1=3-1, (4:4)

**შტუტგარტი–ბრაუნშვაიგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** იბიშევიჩი - ბოლანდი
**ტრავმა:** კირშბაუმი, როხასი - ერვიგ-დრიუპელი, ხელიფი, კორტე, იორლი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +0=0-6 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 37 თამაში: +16=8-13, (66:45)

**ჰანოვერი–ლევერკუზენი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** შტინდლი - თოფრაქი, რაინარტცი
**ტრავმა:** ავევორი, ჩერუნდოლო, ფელიპე, პანდერი, ა. ზობიეხი - კრუსი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-3 | +2=0-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 29 თამაში: +5=9-15, (29:54)

**ჰამბურგი–აინტრახტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დრობნი, იანსენი, რაიკოვიჩი, ლ. ზობიეხი, ბადელი, ჩალჰანოღლუ, დემირბაი, ილიჩევიჩი, ვან დერ ვაარტი, ბაისტერი, ლასოგა - ანდერსონი, ჩელოცი, კიტელი, როდე, შტენდერა

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=0-5 | +3=1-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 89 თამაში: +41=21-27, (157:110)


მარიო გიოტცესა და ტონი კროოსის ბაიერნი ჯერ კიდევ უძლეველია

**ნიურნბერგი–ვერდერი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ნილსონი, ფოილნერი (ორივე ნიურნბერგი)
**ტრავმა:** ჩენდლერი, მარკოს ანტონიო, გებჰარტი, ჰასებე, გინჩეკი - გარსია

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=0-2 | +1=3-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 61 თამაში: +16=17-28, (87:111)

**9 მარტი**

**ფრაიბურგი–დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პილარი, ფრაისი - სუბოტიჩი, ს. ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=2-3 | +4=1-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 29 თამაში: +3=8-18, (32:63)

**მაინცი–ჰერტა 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი - ბაუმიოჰანი, ბენ-ჰატირა, ჩიგერჩი, კლუგე, ლუსტენბერგერი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=1-1 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +2=5-4, (12:19)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 23 | 21 | 2 | 0 | 66-10 | 65 |
| 2. დორტმუნდი | 23 | 14 | 3 | 6 | 54-27 | 45 |
| 3. ლევერკუზენი | 23 | 14 | 1 | 8 | 39-26 | 43 |
| 4. შალკე | 23 | 12 | 5 | 6 | 42-35 | 41 |
| 5. ვოლფსბურგი | 23 | 12 | 3 | 8 | 40-32 | 39 |
| 6. მაინცი | 23 | 11 | 4 | 8 | 32-35 | 37 |
| 7. გლადბახი | 23 | 10 | 6 | 7 | 40-29 | 36 |
| 8. ჰერტა | 23 | 10 | 5 | 8 | 34-27 | 35 |
| 9. აუგსბურგი | 23 | 10 | 5 | 8 | 35-33 | 35 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 23 | 7 | 8 | 8 | 52-48 | 29 |
| 11. ჰანოვერი | 23 | 7 | 4 | 12 | 30-42 | 25 |
| 12. აინტრახტი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-39 | 25 |
| 13. ვერდერი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-46 | 25 |
| 14. ნიურნბერგი | 23 | 4 | 11 | 8 | 27-40 | 23 |
| 15. შტუტგარტი | 23 | 5 | 4 | 14 | 36-49 | 19 |
| 16. ჰამბურგი | 23 | 5 | 4 | 14 | 38-52 | 19 |
| 17. ფრაიბურგი | 23 | 4 | 7 | 12 | 22-44 | 19 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 23 | 4 | 4 | 15 | 17-42 | 16 |

**ბომბარდირები:** 15 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 14 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი); 12 - რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი); 11 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი).

**24-ე ტურისთვის ბუნდესლიგა სამ ნაწილადაა გაყოფილი: „ბაიერნი", რომელიც „ვოლფსბურგს" სტუმრობს, სულ სხვა, თავის საკუთარ ლიგაში თამაშობს. შემდეგ მოდიან რეკორდმაისტერის „მდევრები" და ამბიციური გუნდები, რომელთა მიზანი პირველ რიგში ჩემპიონთა ლიგის ან ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა.** მესამე განყოფილება კი გადარჩენისთვის მებრძოლი 8 გუნდია, რომელთაგან 6 ამ ტურში ერთმანეთში გაარკვევს ურთიერთობებს: უმძიმეს კრიზისში მყოფი „შტუტგარტი" „ბრაუნშვაიგს" მასპინძლობს, „ჰამბურგს" „აინტრახტთან" ექნება საქმე, ხოლო „ნიურნბერგი" კი „ვერდერს" მიიღებს.

### შალკესგან რეაქციას ველით

**კევინ-პრინს ბოატენგის** სიტყვებია, საშინელი კვირა გადავიტანეთ და იმედია, შოკიდან მალე გამოვალთო. „რეალთან" (1:6) და „ბაიერნთან" (1:5) განცდილი კრახების შემდეგ მისი „შალკე" „ჰოფენჰაიმს" მასპინძლობს, მაგრამ ეს უკანასკნელი „საჩუქარია". „სოფლელებმა" წინა ტურში „ვოლფსბურგის" განადგურება (6:2) მოახერხეს და მადა ისევ გაეხსნათ. თანაც, „ჰოფეს" 5-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

*„ამაზე მეტი სირცხვილი არ არსებობს. „ბაიერნთან" და „რეალთან" უკანასკნელი გუნდივით ვითამაშეთ,"* - ეს „შალკეს" კაპიტან **ბენედიქტ ჰიოვედესის** სიტყვებია. მის მწვრთნელ **იენს კელერს** დაცვაში იმპროვიზება მოუწევს, რადგან **სანტანა** და **უჩიდა** ტრავმირებულები არიან, **პაპადოპულოსს** კი დისკვალიფიკაცია აქვს.

### ბრაუნშვაიგი შტუტგარტის მწვრთნელსაც შეიწირავს?

„შტუტგარტს" ზედიზედ 8 (!) წაგება აქვს, ეს კი ისეთი ბალანსია, მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებლად გამზადებულ გუნდს რომ შეეფერება და თუ შვაბები ჯერ კიდევ არ არიან გასავარდნ ზონაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ „ფრაიბურგთან" და „ჰამბურგთან" შედარებით უკეთესი ბურთების შეფარდების დამსახურებაა. გასულ ორშაბათს „შტუტგარტის" ხელმძღვანელები მთელი დღის განმავლობაში ბჭობდნენ, გაეთავისუფლებინათ თუ არა მთავარი მწვრთნელი **თომას შნაიდერი** და საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ ამ ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობ სპეციალისტს კიდევ ერთი შანსი მისცეს. სწორედ ეს უკანასკნელი შანსია „ბრაუნშვაიგთან" მატჩი და უკვე ცხადია, რომ თუ „შტუტგარტი" გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტსაც ვერ მოუგებს, შნაიდერი უმუშევარი დარჩება. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცოტა ხნის წინ ბრაუნშვაიგელებმა „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი **ბერტ ვან მარვეიკიც** „შეიწირეს" - ჩრდილოგერმანული კლუბის ან უკვე ყოფილმა დამრიგებელმა თავისი ბოლო შანსი სწორედ ამ გუნდთან ვერ გამოიყენა.

### ფიოლერი უკვე ნერვიულობს

„ჰანოვერს" ოთხი ტურია არ მოუგია (სამი წაგება) და ამიტომაც მოხვდა სატურნირო ცხრილის იმ ზონაში, სადაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. დღეისათვის „წითლების" ერთადერთი ნათელი წერტილი მეკარე **რონ-რობერტ ცილერია**, რომელიც „კიკერის" შეფასებების მიხედვით (საშუალოდ 2.80) ამ სეზონის 4 საუკეთესო მეკარეს შორისაა. „ჰანოვერის" მეტოქე „ლევერკუზენი" კი უკვე ძალიან აიჭრა. **სამი ჰიიპიას** გუნდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ სამი თამაში წააგო და გერმანიის თასიდანაც სამარცხვინოდ („კაიზერსლაუტერნთან" 0:1 დამატებით დროში) გავარდა.

*„ჩვენი მდგომარეობა უკვე ძალიან საშიშია,"* - ამბობს ლევერკუზენელთა სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი**.

### იქნებ ვოლფსბურგმა ივაჟკაცოს?

ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ, „ვოლფსბურგისა" და „ბაიერნის" დუელია. ვოლფსბურგელები წინა ტურში „ჰოფენჰაიმთან" მაგრად შერცხვნენ (2:6), რის შემდეგად კლუბის სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** თქვა, ჩემპიონთა ლიგის შესახებ გაუთავებელმა ოცნებამ ბიჭებს ტვინები გადაუტრიალა და კარგიცაა, „ჰოფენჰაიმმა" ასეთი სილა რომ გაგვაწნა - გამოვფხიზლდებითო. იმ თამაშში ვოლფსბურგელებმა არა მარტო სამი ქულა, არამედ ნამყვანი ფეხბურთელები, **ტრეში** და **ლუის გუსტავოც** დაკარგეს (ორივე დისკვალიფიცირებულია). ასე რომ, ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს.

„ბაიერნში" კი ყველაფერი იდეალურადაა. რეკორდმაისტერის თავკაცი **პეპ გვარდიოლა** შეგირდებისგან ისევ მაქსიმალურ თავდადებას ითხოვს - მართალია, ჩვენს ჩემპიონობაში ეჭვი თითქმის აღარავის ეპარება, მაგრამ ახლა ახალი მიზანი გვაქვს - სეზონი წაუგებლად უნდა დავასრულოთო. ლეგენდარული გერმანელი თავდამსხმელი **იურგენ კლინსმანი** კი სხვაგვარად ფიქრობს: კლინსიმ ყველასათვის მოულოდნელად, „ვოლფსბურგის" გამარჯვება (2:1) იწინასწარმეტყველა...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### დრაკონების ბანაკში ცვლილებებია

„პორტუს" ახალი მწვრთნელი **ლუის მანუელ რიბეირო დე კასტრო** უკვე შეხვდა ძირითად გუნდს, ფეხბურთელებს გაესაუბრა და ვარჯიშიც გამართა. 52 წლის ლუის კასტრო მეორე გუნდიდან დააწინაურეს და იგი მინიმუმ, სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს „დრაკონებს". ჯერჯერობით, უცნობია **პაულო ფონსეკას** ბედი. ახალგაზრდა სპეციალისტი დიდხანს არ დარჩება უმუშევარი. „პორტუში" კი მომავალი სეზონიდან დიდი შანსია, „ეშტორილის" ამჟამინდელი თავკაცი **მარკო სილვა** ვიხილოთ.

### უილშირი ისევ დაშავდა

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველი **ჯეკ უილშირი** ფეხბურთს 6 კვირა ველარ ითამაშებს. 22 წლის ფეხბურთელი ინგლისისა და დანიის ამხანაგური მატჩისას დაშავდა და 59-ე წუთზე **ადამ ლალანათი** შეცვალეს. თავდაპირველად სერიოზული არაფერი ჩანდა, მაგრამ შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ტრავმა არც ისე სახუმაროა. **როი ჰოჯსონს** იმედი აქვს, რომ უილშირი მუნდიალამდე ფორმის აღდგენას მოასწრებს.

### განსაკუთრებული ნაზრევი

კვირის ბოლოს **ჟოზე მოურინიოს** მორიგი საინტერესო განცხადებები დაგროვდა და ჩვენც მოკლედ მოგახსენებთ მათ შესახებ. პორტუგალიელის თქმით, მადრიდის „რეალში" მისი ყოფილი შეგირდი **რაფაელ ვარანი** მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ცენტრალური მცველია. გარდა ამისა, მოუმ თქვა, მომავალში კიდევ სიამოვნებით ვიმუშავებდი **მარიო ბალოტელისთან** ერთადო. „გასაკუთრებული" ასევე განცვიფრებულია იმით, რომ ინგლისის ნაკრებზე საუბრისას უმეტესობა ამბობს ამ ნაკრებს მუნდიალზე გამარჯვების რეალური შანსი არ აქვს. პარალელურად, პორტუგალიელს გაუწყრა ჩეხი მცველი **ტომაშ კალასი** - მოურინიო არც კი მელაპარაკება და ერთი სული მაქვს, „ჩელსიდან" როდის წავალო. შეგახსენებთ, რომ 20 წლის კალასს პრემიერლიგაში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია.

### მილანი არ იყიდება

იტალიაში ჭორი გავრცელდა, **სილვიო ბერლუსკონის** ისევ „მილანის" გაყიდვა უნდა და გაყიდის კიდეც, თუ ვინმე 700 მილიონ ევროს გადაიხდისო. თუმცა „როსონერის" ბანაკში და ბერლუსკონის გარემოცვამ ეს ინფორმაცია მალევე უარყო. რაც შეეხება სატრანსფერო გეგმებს, ამ მხრივ დიდი ამბებია - გუნდი პირველ რიგში დაცვის ცენტრის გაძლიერებაზე ფიქრობს და შემდეგი კანდიდატები ჰყავს: **ალექსი** (პსჟ), **დორია** (ბოტაფოგო), **მარტინს ინდი** (ფეიენოორდი), **სანტიაგო მორერო** (სიენა), **მარტინ ჰინტერეგერი** (ზალცბურგი) და **სამუელ უმტიტი** (ლიონი). ამასთანავე, შავლურჯებს „რეალის" ამჟამინდელი ძირითადი მეკარის, **დიეგო ლოპესის** შეძენა გადაუწყვეტიათ.

### გომისი და ინტერი თითქმის გადაწყდა

მილანის „ინტერი" ახლოს არის **ბაფეტიმბი გომისის** გადაბირებასთან. 28 წლის ფორვარდი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება და გომისის უფასოდ ხელში ჩაგდება ბევრმა მოისურვა, მაგრამ როგორც ჩანს, „ნერაძურიმ" ყველას დაასწრო. ამასობაში, **ნემანია ვიდიჩმა**, რომელიც ასევე უსასყიდლოდ ჩაირიცხება ზაფხულში გუნდის რიგებში, სიამაყით აღნიშნა, „ინტერამდე" უარი „მილანსა" და „იუვენტუსს" ვუთხარიო.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVII ტურის წინ

# გაყაყები მადრიდში

09.03. მადრიდი
სანტიაგო ბერნაბეუ
22:00

**რეალი**

ბოლო 6 მატჩი

+4 =2 -0 | +3 =3 -0

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +11=1-3, (42-13)

**ლევანტე**

სავარაუდო შემადგენლობები

რეალი: დ. ლოპესი; რამოსი, პეპე; არბელოა, მარსელო; ჩ. ალონსო, მოდრიჩი, დი მარია; ბეილი, რონალდო; ბენზემა

ლევანტე: ბარალი; სიმაო მ., დიოპი; ივანშიტსი, ელ ზჰარი; კარაბელასი, ნავარო, პ. ლოპესი; ხუანფრანი, ვინტრა; კ. ნავასი

დისკვალიფიკაცია: - ვიქტორი
ტრავმა: ხედირა

8 მარტი

**ვალიადოლიდი–ბარსელონა 19:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ხაიმე, ქეფრენი - პინტო, კუენკა, ჯონათან დოს სანტოსი

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +3 =5 -23 (24:78)

ბოლო 6 მატჩი

+1 =4 -1 (5-7) | +4 =0 -2 (20-8)

**ბეტისი–ხეტაფე 21:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ნაჩო, ჩული, ხორხე მოლინა, ვერდუ, პაულაო, ვადილიო, ხავი ტორესი - მოსკერა

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +7 =7 -5 (25:21)

ბოლო 6 მატჩი

+1 =1 -4 (5-13) | +0 =3 -3 (1-7)

**სელტა–ათლეტიკო 23:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ბერმეხო - მანკილიო, ტიაგო

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +8 =6 -13 (35:42)

ბოლო 6 მატჩი

+3 =2 -1 (9-5) | +3 =1 -2 (13-9)

**გრანადა–ვილიარეალი 01:00**

დისკვალიფიკაცია: მაინსი (გრანადა) - ი. უჩე (ვილიარეალი)
ტრავმა: პიტი, ფრან რიკო, ტიაგო ილორი, იგალო - დორადო, პაბლო ინიგესი

ურთიერთშეხვედრები

სულ 3 თამაში: +1 =0 -2 (2:6)

ბოლო 6 მატჩი

+1 =0 -5 (3-11) | +2 =1 -3 (8-10)

9 მარტი

**ესპანიოლი–ელჩე 15:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: - აარონ ნიგესი, საპუნარუ, ტონიო, ა. ხიმენესი

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0 =0 -1 (1:2)

ბოლო 6 მატჩი

+2 =2 -2 (6-7) | +2 =2 -2 (4-9)

**ალმერია–სევილია 20:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: - ჩერიშევი, მბია

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +3 =0 -6 (12:12)

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (4-6) | +2 =1 -3 (7-10)

**ვალენსია–ბილბაო 00:00**

დისკვალიფიკაცია: ბარაგანი (ვალენსია)

ტრავმა: რ. კოშტა, ხავი ფუეგო, პ. პიატი, ორიოლ რომეუ - იბაი გომესი

ურთიერთშეხვედრები

სულ 41 თამაში: +20 =10 -11 (69:49)

ბოლო 6 მატჩი

+3 =2 -1 (12-6) | +3 =2 -1 (13-4)

10 მარტი

**ოსასუნა–მალაგა 23:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: მარკ ბერტრანი, დე ლას კუევასი, პუნიალი, სისი - ველიგტონი

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +5 =11 -11 (29:43)

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (7-10) | +1 =2 -3 (5-11)

**სოსიედადი–ვალეკანო 01:00**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ესტრადა, გრანერო - ა. პერეა, სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი

ურთიერთშეხვედრები

სულ 24 თამაში: +9 =5 -10 (37:36)

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (8-6) | +2 =1 -3 (7-12)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 26 | 20 | 4 | 2 | 73-26 | 64 |
| 2. ბარსელონა | 26 | 20 | 3 | 3 | 74-21 | 63 |
| 3. ატლეტიკო | 26 | 19 | 4 | 3 | 61-21 | 61 |
| 4. ბილბაო | 26 | 15 | 5 | 6 | 49-30 | 50 |
| 5. ვილიარეალი | 26 | 13 | 5 | 8 | 47-31 | 44 |
| 6. სოსიედადი | 26 | 12 | 7 | 7 | 46-36 | 43 |
| 7. სევილია | 26 | 10 | 8 | 8 | 44-41 | 38 |
| 8. ლევანტე | 26 | 9 | 9 | 8 | 26-31 | 36 |
| 9. ვალენსია | 26 | 10 | 5 | 11 | 38-37 | 35 |
| 10. ესპანიოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 29-32 | 33 |
| 11. სელტა | 26 | 8 | 6 | 12 | 32-37 | 30 |
| 12. ელჩე | 26 | 7 | 8 | 11 | 23-37 | 29 |
| 13. ოსასუნა | 26 | 8 | 5 | 13 | 24-39 | 29 |
| 14. გრანადა | 26 | 8 | 3 | 15 | 22-36 | 27 |
| 15. ხეტაფე | 26 | 7 | 6 | 13 | 23-40 | 27 |
| 16. მალაგა | 26 | 6 | 8 | 12 | 24-35 | 26 |
| 17. ალმერია | 26 | 7 | 5 | 14 | 25-46 | 26 |
| 18. ვალიადოლიდი | 26 | 4 | 11 | 11 | 28-44 | 23 |
| 19. ვალეკანო | 26 | 7 | 2 | 17 | 26-59 | 23 |
| 20. ბეტისი | 26 | 3 | 6 | 17 | 21-56 | 15 |

**ბომბარდირები:** 23 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 16 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ლიონელ მესი (ბარსელონა), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი) ქარიმ ბენზემა (რეალი); 13 - პედრო (ბარსელონა)

**ლა ლიგის მორიგ ტურში ლიდერებს ერთი შეხედვით იოლი მატჩები ელით, მაგრამ საქმე ასე მარტივადაც არ არის - „ატლეტიკო" ბოლო დროს ათამაშებულ „სელტას" ხვდება და წესით, „როხიბლანკოს" ვიგოში იოლი გასეირნება არ უნდა ჰქონდეს, „რეალის" მეტოქე კი „ლევანტეა", რომელსაც 4 იანვრის შემდეგ არ წაუგია...**

ამ მომენტისთვის, ესპანეთის ჩემპიონატში ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია მადრიდის „რეალს" და „ლევანტეს" აქვთ. „სამეფო კლუბმა" ბოლოს ოქტომბერში, „ბარსელონასთან" წააგო. იქიდან მოყოლებული, **კარლო ანჩელოტის** გუნდმა 16 მატჩი ჩაატარა, რომელთაგანაც 13 მოიგო და 3 ფრედ დაასრულა, „სანტიაგო ბერნაბეუზე" კი დედაქალაქელებს ბოლო რვა მატჩი აქვთ მოგებული.

„ლევანტემ", როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელად „ვალენსიასთან" წააგო და მას შემდეგ აგერ უკვე 8 მატჩია, დაუმარცხებელია. ამ პერიოდში **ხოაკინ კაპაროსის** შეგირდებმა მხოლოდ 4 გოლი გაუშვეს.

მართალია, ურთიერთშეხვედრებში „რეალი" დიდ უპირატესობას ფლობს და ბოლო წლებში მეტოქეს საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშებითაც უგებს, მაგრამ ამ მატჩებს უფრო დაწვრილებით თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ „ცალი ფეხით" „სამეფო კლუბს" არც ერთხელ არ უმარჯვია. შარშან „რეალმა" 5:1 კი მოიგო, მაგრამ 84-ე წუთისთვის ანგარიში 2:1 გახლდათ და მეტოქის გატეხვა მადრიდელებმა მხოლოდ ბოლო ექვს წუთში შეძლეს. შარშანწინ კი დედაქალაქელებმა 4:2 მოიგეს, თუმცა დიდწილად „რეალის" ეს გამარჯვება ახლა უკვე „სევილიას" წევრის, **იბორას** უსამართლო გაძევებამ განაპირობა - ახალგაზრდა ფეხბურთელმა წითელი ბარათი 43-ე წუთზე მიიღო, როდესაც „ლევანტე" 1:0-ს იგებდა.

წლევანდელი სეზონის პირველი წრის შეხვედრაში კარლო ანჩელოტის გუნდი მარცხს ძლივს გადაურჩა - 90 წუთის ამოწურვის შემდეგ „ლევანტე" 2:1-ს იგებდა, მაგრამ სტუმრებმა არბიტრის მიერ დამატებულ დროში, ორი გოლი გაიტანეს და ზღაპრული გამარჯვება მოიპოვეს. როგორც ხედავთ, ვალენსიელები მრისხანე მეტოქეს ყოველთვის ჯეროვან წინააღმდეგობას უწევენ და თუ გუნდის ამჟამინდელ ფორმას გავითვალისწინებთ, ჩემპიონატის ლიდერს იოლი მატჩის მოლოდინი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს.

შეხვედრის წინ გუნდებს დანაკლის პრაქტიკულად არ აქვთ - მასპინძლებს დიდი ხნის წინ ტრავმირებული **სამი ხედირა** არ ეყოლებათ, სტუმრებს კი დისკვალიფიცირებული **ვიქტორ კასადესუსი**, რომელიც წინა ტურში გააძევეს. მოსალოდნელია, რომ კაპაროსი მოედანზე ხუთ მცველს უხმობს - გამოცდილი სპეციალისტი ძლიერ მეტოქეებთან საკუთარ გუნდს სწორედ ასეთი ტაქტიკით ათამაშებს ხოლმე.

## სხვა მატჩები

„ბარსელონა" გასვლაზე „ვალიადოლიდს" ეთამაშება, რომელსაც თვეზე მეტია არ მოუგია, თუმცა ბოლო ექვსი მატჩიდან **ხუან იგნასიო მარტინესის** შეგირდები მხოლოდ ერთში, ისიც „ატლეტიკოსთან" დამარცხდნენ. კატალონიელებმა „სოსიედადთან" ჩაგდებული მატჩის შემდეგ ჯავრი „ალმერიაზე" იყარეს და „რეალთან" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს. გამარჯვების შემთხვევაში **ხერარდო მარტინოს** გუნდი დროებით პირველ პოზიციაზე გადავა და თუ კვირას „რეალს" ფეხი დაუცდა, იქვე დარჩება კიდეც.

„ატლეტიკო" „ბალაიდოსზე" ითამაშებს და „სელტას" ზედიზედ მეოთხედ დამარცხებას ეცდება. „როხიბლანკომ" წინა ტურში ლიდერთან ქულებით გათანაბრების კარგი შანსი დაკარგა და ამჯერად, ვალდებულია შინ სამი ქულით დაბრუნდეს. **დიეგო სიმეონეს** და **ლუის ენრიკეს** ფეხბურთელობისას ერთმანეთის წინააღმდეგ არაერთი მატჩი აქვთ გამართული, აი, მწვრთნელების რანგში კი ისინი მეორედ შეხვდებიან. პირველი დაპირისპირება არგენტინელის გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

დიდ ინტერესს იწვევს ფორმაში შესული „ვალენსიას" და ბილბაოს „ატლეტიკის" დაპირისპირება. ბასკები მეოთხე ადგილზე იმყოფებიან და ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვიან, **ხუან ანტონიო პიცი** კი ვალენსიაში ახალ გუნდს აშენებს. „ღამურები" წინა ტურამდე ძალიან კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ბოლო შეხვედრაში ერთ-ერთ აუტსაიდერ „რაიო ვალეკანოსთან" დამარცხდნენ, რის გამოც ევროთასების საგზურის მოპოვების შანსი მკვეთრად შეამცირეს.

**ტატო ბაციკაძე**




პირველი წრის ურთიერთშეხვედრაში „რეალს" კრიშტიანო რონალდომ მოაგებინა

იტალია. სერია A. XXVII ტურის წინ

# ნეაპოლში ცეცხლი დაინთება

## ტურინში ვენდეტას ითხოვენ

09.03. ნეაპოლი
სან პაოლო
23:45

**ნაპოლი**

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 | +4 =2 -0

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +6=8-15, (37-56)

**რომა**

სავარაუდო შემადგენლობები

ნაპოლი: რეინა; ფერნანდესი, ალბიოლი; მაჯო, გულამი; ინლერი, ფრელო; კალეხონი, ჰამშიკი, მერტენსი; იგუაინი

რომა: დესტრო; ფლორენცი, ჟერვინიო; სტროტმანი, ნაინგოლანი, პიანიჩი; ტოროსიდი, მაიკონი; კასტანი, ბენატია; დე სანქტისი

დისკვალიფიკაცია: - დე როსი
ტრავმა: ცუნიგა, რაფაელი - ტოტი, ბალცარეტი

8 მარტი

**უდინეზე–მილანი 21.00**

დისკვალიფიკაცია: დანილო (უდინეზე).
ტრავმა: ლაძარი, ბუბნიჩი - ელ შაარავი, კრისტანტე, ბალოტელი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 | 3-1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 43 თამაში: +11=9-23, (47-82)

**კატანია–კალიარი 23.45**

დისკვალიფიკაცია: კაბალჩეტა (კატანია).
ტრავმა: კასტრო, ალმირონი - ადრიანი.

ბოლო 6 შეხვედრა

1-3-2 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +7=4-8, (18-24)

9 მარტი

**იუვენტუსი–ფიორენტინა 15.30**

დისკვალიფიკაცია: პირლო - ტომოვიჩი, ბორხა ვალერო.
ტრავმა: ვუჩინიჩი, პეპე - შეგაზი, როსი, რებიჩი.

ბოლო 6 შეხვედრა

4-2-0 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 36 თამაში: +18=13-5, (59-39)

**ლაციო–ატალანტა 18.00**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: ალფარო, პოშტიგა, ედერსონი, ლედესმა - კაცოლა.

ბოლო 6 შეხვედრა

3-2-1 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +16=7-7, (41-24)

**კიევო–ჯენოა 18.00**

დისკვალიფიკაცია: ცეზარი, სარდო, დაინელი - ბერტოლაჩი, ბურდისო.
ტრავმა: პარედესი, დრამე - გამბერინი, დონარუმა, კუჩკა, ვრსალკო.

ბოლო 6 შეხვედრა

1-1-4 | 2-3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +9=4-6, (24-19)

**პარმა–ვერონა 18.00**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: გონსალესი (ვერონა).

ბოლო 6 შეხვედრა

4-2-0 | 2-2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +4=1-5, (16-15)

**სამპდორია–ლივორნო 18.00**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: როდრიგესი - ლუჩი.

ბოლო 6 შეხვედრა

3-1-2 | 2-2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +6=4-6, (19-16)

**ბოლონია–სასუოლო 18.00**

დისკვალიფიკაცია: მორლეო, კრისტალდო - ძაძა.
ტრავმა: პაციენცა, აკვაფრესკა, დელა როკა, კონე - როზი, ლონგი, ტერანოვა, აჩერბი, მაზუჩი, მანფრედინი, ციგლერი.

ბოლო 6 შეხვედრა

1-2-3 | 0-0-6

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +1=0-1, (3-3)

**ინტერი–ტორინო 18.00**

დისკვალიფიკაცია: სამუელი, ჟუან ჟესუსი - ჟილე, ბოვო, მაქსიმოვიჩი.
ტრავმა: ლარონდო, მაზიელო, მორეტი (ტორინო).

ბოლო 6 შეხვედრა

2-3-1 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +14=6-1, (37-12)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 26 | 22 | 3 | 1 | 62-19 | 69 |
| 2. რომა | 25 | 17 | 7 | 1 | 49-11 | 58 |
| 3. ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 51-29 | 52 |
| 4. ფიორენტინა | 26 | 13 | 6 | 7 | 45-28 | 45 |
| 5. ინტერი | 26 | 10 | 11 | 5 | 43-29 | 41 |
| 6. პარმა | 25 | 10 | 10 | 5 | 39-29 | 40 |
| 7. ვერონა | 26 | 12 | 4 | 10 | 43-42 | 40 |
| 8. ლაციო | 26 | 10 | 8 | 8 | 34-34 | 38 |
| 9. ტორინო | 26 | 9 | 9 | 8 | 39-34 | 36 |
| 10. მილანი | 26 | 9 | 8 | 9 | 39-37 | 35 |
| 11. ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 30-32 | 35 |
| 12. სამპდორია | 26 | 8 | 7 | 11 | 29-37 | 31 |
| 13. ატალანტა | 26 | 9 | 4 | 13 | 27-38 | 31 |
| 14. კალიარი | 26 | 6 | 10 | 10 | 26-35 | 28 |
| 15. უდინეზე | 26 | 8 | 4 | 14 | 29-39 | 28 |
| 16. ბოლონია | 26 | 4 | 10 | 12 | 22-41 | 22 |
| 17. კიევო | 26 | 5 | 6 | 15 | 20-37 | 21 |
| 18. ლივორნო | 26 | 5 | 6 | 14 | 27-46 | 21 |
| 19. კატანია | 26 | 4 | 7 | 15 | 19-45 | 19 |
| 20. სასუოლო | 26 | 4 | 5 | 17 | 25-55 | 17 |

**ბომბარდირები:** 15 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა)

**გასულ უქმეებზე, ორი სუპერჯახი ვიხილეთ და ამ მხრივ, არც მოახლოებული ტური იქნება ღარიბი. კვირადღეს „იუვენტუსის" და „ფიორენტინას" დაპირისპირება გახსნის, ტურის ბოლო მატჩი კი ნეაპოლში შედგება, სადაც „ნაპოლი" „რომას" უმასპინძლებს.**

## ვენდეტას მოლოდინში

ტურინელები ფლორენციაში ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ და შემდეგ, 4:2 წააგეს. პირველ წრეში **ჯუზეპე როსიმ** გაიბრწყინა, რომელმაც **ჯანლუიჯი ბუფონს** შავი დღე აყარა. პიემონტში ვენდეტას ითხოვენ - „იუვეს" გულშემატკივრებს ფლორენციელთა განადგურება სურთ და სტადიონზეც განსაკუთრებული ატმოსფერო იქნება. არადა, შესაძლოა ტოსკანელებს მადლობაც კი ეკუთვნით ტურინელთა მხრიდან, რადგან სწორედ „არტემიო ფრანკიზე" მარცხის შემდეგ, „იუვემ" შთამბეჭდავი წაუგებელი სერია გამოაცხო, რომელიც ამ დრომდე გრძელდება. **ანტონიო კონტემ** მარცხისგან სწორი დასკვნების გამოტანა იცის.

## ცენტრალური მატჩი

მიუხედავად იმისა, რომ ტურინში ერთმანეთს „იუვენტუსი" და „ფიორენტინა" უპირისპირდებიან, იტალიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა ცენტრალურ მატჩად ნეაპოლური ჯახი მონათლეს. „სტადიო სან პაოლოზე" ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის მეორე და მესამე გუნდები წარდგებიან.

„რომა" ჯერ კიდევ ებღაუჭება სკუდეტოს, „ნაპოლის" მიზანი კი მინიმუმ სამეულში დარჩენა, მაქსიმუმ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა ყოველგვარი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე.

ნეაპოლელები ოპტიმალური შემადგენლობით გაირჯებიან, „რომას" დანაკლისი კი კვლავაც სოლიდურია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **რუდი გარსიას** გუნდს **ფრანჩესკო ტოტი** აკლია. „ჯალოროსისთვის" ქულების დაკარგვა სკუდეტოზე ოცნებასთან გამოთხოვების ტოლფასი იქნება.

## ევროპალიგა

ევროპალიგის საგზურებისთვის ბრძოლაში ოთხი გუნდია გამოკვეთილი: „ინტერი", „პარმა", „ტორინო" და „ვერონა". ამ უქმეებზე ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან - მილანში „ინტერი" „ტორინოს" უმასპინძლებს, ემილიაში კი „პარმა" „ვერონას" დაუხვდება. ამ ორ პაექრობაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, რადგან როგორც ასეთ დროს ამბობენ, სასწორზე 6, ამ შემთხვევაში კი 6-6 ქულა დევს.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი-ჰოლანდია. გამოხმაურება

# მამლები მუნდიალის ფავორიტებში?



საფრანგეთის ნაკრებმა „სტად დე ფრანსზე“ შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და დამაჯერებლად სძლია ჰოლანდიას, რომელსაც შემადგენლობასთან დაკავშირებით რამდენიმე პრობლემა ჰქონდა. თუმცა სათქმელია ისიც, რომ **დიდიე დეშამმაც** „ლურჯები“ გადახალისებული, ძალიან ახალგაზრდული შემადგენლობით ათამაშა. ამ შეხვედრაში შედგა „სოსიედადის“ ფორვარდ **ანტუან გრიზმანისა** და ექსლილელის, ამჟამად კი პსჟ-ს 20 წლის მცველის **ლუკას დინის** დებიუტი. სხვათა შორის, გრიზმანს „მანჩესტერ იუნაიტედის“ სკაუტი აკვირდებოდა, მას ახლა ბევრი მსურველი ჰყავს.

*„ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ ნაკრებში მიმიწვიეს. სამშობლოში დაბრუნება და საფრანგეთის ჰიმნის მოსმენა ძალიან ემოციური მომენტი იყო. ვცდილობდი ყველა ეპიზოდი გამომეყენებინა. მატჩამდე მწვრთნელმა მითხრა, რომ თავისუფლად მეთამაშა და ბევრი არ მეფიქრა, არ დავძაბულიყავი. მან დიდი ნდობა გამოიჩინა და ძირითად შემადგენლობაში დამაყენა, ვცადე სამაგიერო თამაშით გადამეხადა. ნაკრების შემადგენლობაში როდესაც ვიქნები, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რომელ პოზიციაზე ვითამაშებ“* - თქვა გრიზმანმა, რომელიც 21 მარტს 23 წლის გახდება.

*„გრიზმანს ნამდვილად შეუძლია რაღაც მისცეს საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. იგი ფიზიკურად კარგად არის განვითარებული და თან საკმაოდ ტექნიკურია. ეს კი მუნდიალის დარი ტურნირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეუძლებელია ლა ლიგისნაირ ძლიერ შეჯიბრებაში უბრალოდ და შემთხვევით გაიტანო 15 გოლი“* - თქვა „წითელი ეშმაკების“ სკაუტმა **დავიდ ფრიომ**.

„დიდის“ გუნდმა ორივე გოლი პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთში გაიტანა. მშვენივრად ითამაშა **ბლეზ მატუიდიმ**, რომელმაც ჯერ **ქარიმ ბენზემას** გაატანინა, ხოლო მერე თავად შეაგდო, თანაც ეფექტურად, კარგი გუნდური კომბინაციისა და **მატიო ვალბუენას** ბოლო პასით. ქარიმ ბენზემას ანგარიშზე 65 სანაკრებო შეხვედრაში 19 ბურთია.

*„ჩემთვის მთავარი ფეხბურთელების კარგი თამაში იყო. გულშემატკივრები რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ და მოთამაშეებმა მათ ეს მოლოდინი გაუმართლეს. თავიდან ცოტა მოკრძალებულად გამოვიყურებოდით, მაგრამ შემდეგ ავჩქარდით და უპირატესობაც მოვიპოვეთ. გამოსარჩევია ისიც, რომ ჩემი სასტარტო თერთმეტეული ძალიან ახალგაზრდული გახლდათ. ეს შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტებად არ გვაქცევს, მაგრამ კარგია ჩვენი გუნდური სულისთვის და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით“* - აღნიშნა დეშამმა.

რასაკვირველია, ბედნიერი არ იყო „ნარინჯისფერთა“ მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი**, მაგრამ მას მარცხისგან არც ტრაგედია შეუქმნია: *„ვფიქრობ, პირველ 25 წუთში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მერე მატჩის მსვლელობას ფეხი ვერ ავუწყვეთ და ეს დასანანია. მეტოქეს ნახევარდაცვაში პოზიციები ზედმეტად დავუთმეთ, შეინიშნებოდა კონცენტრაციის ნაკლებობაც. თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით ცუდად არ გამოვიყურებოდით, რაც სასიამოვნოა. ეს იყო ტესტ-მატჩი დიდი საფეხბურთო ქვეყნის წინააღმდეგ, ზუსტად ეს ვუთხარი ბიჭებს თამაშის შემდეგ“*.

**გიორგი კაკაბაძე**

● გერმანიის ნაკრები



გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ჩილესთან თავის თავს არ ჰგავდნენ

# შტუტგარტში გერმანიას უსტვინეს

## ჩილესთან ტესტ-მატჩმა ლიოვის შიში დაადასტურა

ეს იყო მატჩი, რომელიც საფეხბურთო გერმანიას პოზიტიური კუთხით მხოლოდ მისი შედეგის გამო დაამახსოვრდება. ჩილესთან 1:0-მა დაადასტურა, რომ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** განგაში ტყუილად არ აუტეხავს და გერმანელებიც თავიანთ ნაკრებზე კიდევ უფრო მეტად ანერვიულდნენ. საქმე იმაშია, რომ ჩილესთან შეხვედრაში გერმანიის ნაკრების ვერც ერთმა ფეხბურთელმა ვერ ითამაშა ისე, როგორც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის მოთამაშეს შეეფერება. გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელების უკმაყოფილება ყველაზე მეტად შტუტგარტის პუბლიკამ გამოიწვია: ფანებმა გერმანიის ნაკრებს უსტვინეს!

შტუტგარტის პუბლიკა საფეხბურთო გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკულია და შვაბი ფანების რისხვა ახლა გერმანიის ნაკრების დღევანდელმა ფეხბურთელებმაც იწვნიეს. „მერსედეს-ბენც-არენაზე“ ოვაციები მხოლოდ ორჯერ გაისმა: პირველად, როცა **მესუთ იოზილი** გერმანიის ნაკრების ფან-კლუბის ფავორიტ ფეხბურთელად გამოაცხადეს და მეორედ, როცა **მარიო გიოტცემ** ჩილეს კარში ერთადერთი გოლი გაიტანა. მერე კი, როცა ცხადი გახდა, რომ შტუტგარტელი ქომაგები ბუნდესგუნდისგან დაპირებულ საფეხბურთო სპექტაკლს და ჩილეს კარში გოლების წვიმას ვერ იხილავდნენ, ჯერ აქა-იქ გაისმა სტვენა, მერე კი ტრიბუნებიდან სულაც სტვენის კასკადი წამოვიდა. მაყურებლებს განსაკუთრებით უკან, **მანუელ ნოიერის** მისამართით გაკეთებული პასები არ მოსწონდათ. სტვენის პიკი იოზილის მოედნიდან გაყვანას მოჰყვა.

*„ძალიან ნაწყენები ვართ. შტუტგარტელები წარმატებებს და გოლების წვიმას თავიანთი კლუბისგანაც არ არიან მიჩვეულები და ვფიქრობ, გერმანიის ნაკრები ამას არ იმსახურებდა. ფანების მხრიდან საკუთარი გუნდის ფეხბურთელების სტვენა ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია,“* - ეს **ჟერომ ბოატენგის** სიტყვებია. განსხვავებული მოსაზრება აქვს გერმანიის ნაკრების კაპიტან **ფილიპ ლამს**, რომელმაც თქვა, სტვენა ფანების უფლებააო.

ყველაზე მეტად ნაწყენი იოზილი უნდა ყოფილიყო, რადგან ყველაზე მეტი სწორედ მას უსტვინეს, მაგრამ მართლაც ცუდ ფორმაში მყოფ მესუთს მატჩის შემდეგ არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, ფანების საქციელი მისმა თანაკლუბელმა, **პერ მერტეზაკერმა** დაგმო - იოზილი ამას არ იმსახურებსო.

მოგვიანებით კი, შტუტგარტის პუბლიკას ბუნდესგუნდის მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმაც** შეუტია: *„ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია ის, რომ იოზილს უსტვინეს. რაც უნდა იყოს, გიოტცემ გამარჯვების გოლი სწორედ მესუთის პასით გაიტანა. ძალიან სამწუხაროა, რომ გერმანიის ნაკრების ქომაგებს შეუძლიათ, იოზილს უსტვინონ. პირველ ტაიმში ცუდად მართლა არ გვითამაშია და საერთო ჯამში არადამაკმაყოფილებლად რომ ვითამაშეთ, ამას, რა თქმა უნდა, ყველა ხედავს.“*

**გოტფრიდ ლენცი**



ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტურის წინ



8 მარტს უგო ლორისის კართან ჩამოცხება

# ლონდონური დერბის მოლოდინი

**8 მარტი**

**ვესტ ბრომვიჩი–იუნაიტედი 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** ანელკა -
**ტრავმა:** ბ. ჯონსი - რაფაელი, ფ. ჯონსი, ევანსი, ნანი

ბოლო 6 მატჩი
+0=4-2 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 104 თამაში: +33=24-47 (161-200)

**კარდიფი–ფულჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰადსონი, ნუნი - დაფი, ბრიგსი, მიტროღლუ, ამორებიეტა

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4+0=2-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +6=1-4 (19-18)

**პალასი–საუთჰემპტონი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დიკგაჩოი, ლედლი, შამახი - დევისი, ჰოიველდი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 38 თამაში: +12=10-16 (47-55)

**ნორვიჩი–სტოკი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ადამი
**ტრავმა:** ტერნერი, სნოდგრასი, ვან ვოლფსვინკელი, ფერი, გუტიერესი, ე. ბენეტი, ოლსონი, იობო - ჰუთი, ოდემვინგე, ასაიდი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 39 თამაში: +13=11-15 (45-47)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 28 | 19 | 6 | 3 | 52-22 | 63 |
| 2. ლივერპული | 28 | 18 | 5 | 5 | 73-35 | 59 |
| 3. არსენალი | 28 | 18 | 5 | 5 | 52-28 | 59 |
| 4. სიტი | 26 | 18 | 3 | 5 | 69-27 | 57 |
| 5. ტოტენჰემი | 28 | 16 | 5 | 7 | 37-33 | 53 |
| 6. ევერტონი | 27 | 13 | 9 | 5 | 38-27 | 48 |
| 7. იუნაიტედი | 27 | 13 | 6 | 8 | 43-31 | 45 |
| 8. ნიუკასლი | 28 | 13 | 4 | 11 | 37-39 | 43 |
| 9. საუთჰემპტონი | 28 | 10 | 9 | 9 | 38-35 | 39 |
| 10. ვესტ ჰემი | 28 | 8 | 7 | 13 | 31-35 | 31 |
| 11. ასტონ ვილა | 28 | 8 | 7 | 13 | 31-38 | 31 |
| 12. ჰალი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-35 | 30 |
| 13. სტოკი | 28 | 7 | 9 | 12 | 28-42 | 30 |
| 14. სუონსი | 28 | 7 | 8 | 13 | 37-41 | 29 |
| 15. ნორვიჩი | 28 | 7 | 7 | 14 | 21-43 | 28 |
| 16. პალასი | 27 | 8 | 3 | 16 | 19-37 | 27 |
| 17. ბრომვიჩი | 27 | 4 | 13 | 10 | 31-39 | 25 |
| 18. სანდერლენდი | 26 | 6 | 6 | 14 | 26-42 | 24 |
| 19. კარდიფი | 28 | 5 | 7 | 16 | 19-49 | 22 |
| 20. ფულჰემი | 28 | 6 | 3 | 19 | 28-62 | 21 |

**ბომბარდირები:** 24 - ლუის სუარესი (ლივერპული), 18 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)

უქმეებზე ინგლისში კიდევ ერთი ნაკლული ტური ჩატარდება, თუმცა „ჩელსი"-„ტოტენჰემის" დერბი მოწყენის საშუალებას არ მოგვცემს. „დეზებს" „სტემფორდ ბრიჯზე" რვა თამაშია, არ მოუგიათ, ამჟამინდელი საკადრო პრობლემების გათვალისწინებით კი ტიმ შერვუდის გუნდის ამოცანა კიდევ უფრო გართულებულია. სტუმარს დაცვის ხაზი პარალიზებული აქვს. წინასწარი მონაცემებით ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **კაილ უოლკერი, დენი როუზი, იუნეს კაბული და ვლად კირიკეში**. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას **ზეკი ფრაიერსის** ასპარეზობაც, თუმცა მისი მდგომარეობა სხვებთან შედარებით საიმედოა და სავარაუდო შემადგენლობაშიც ამიტომ ჩავწერეთ. სხვა შემთხვევაში **ტიმ შერვუდს** რომელიმე ნახევარმცველის ცენტრალურ მცველად დაყენება და **ვერტონგენის** მარჯვენა ფლანგზე გადაწევა დასჭირდება. ბელგიელს ამ პოზიციაზე უთამაშია, მაგრამ ამით მისი ეფექტურობა მკვეთრად ეცემა.

ორივე გუნდს უყვარს და, რაც მთავარია, ეხერხება შეტევა, გოლების გატანა. შესაბამისად, გვგონია, რომ თამაში კარგი საყურებელი უნდა გამოვიდეს. თუმცა ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ გოლების წვიმას ვიხილავთ. მასპინძელს ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზი ჰყავს და ის მეტოქეებს ბევრის უფლებას არ აძლევს ხოლმე. თუკი შეხვედრა მაინც შედეგიანად დასრულდა, ეჭვი გვაქვს, რომ ეს უფრო „ტოტენჰემის" „ხარჯზე" მოხდება. ჩრდილოლონდონელებმა წელს რამდენიმე სამარცხვინო თამაში ჩაატარეს ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებთან. გავიხსენოთ თუნდაც „მანჩესტერ სიტისთან" (0:6, 1:5) და „ლივერპულთან" (0:5) დაპირისპირებები.

**08.03. ლონდონი სტემფორდ ბრიჯი 21:30**

**ჩელსი**

ბოლო 6 მატჩი
+4=2-0 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 131 თამაში: +55=33-43 (196-186)

**ტოტენჰემი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩელსი: ჩეხი; ტერი, კეჰილი, ივანოვიჩი, ასპილიკუეტა; მატიჩი, ლემპარდი; ოსკარი, ვილიანი, შიურლე; ტორესი

ტოტენჰემი: ლორისი; ვერტონგენი, დოუსონი, ფრაიერსი, ნაუტონი; ლენონი, პაულინიო; ტაუნსენდი, დემბელე; სოლდადო, ადებაიორი

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვან გინკელი, კალაში - უოლკერი, როუზი, კაბული, კირიკეში, ლამელა, კაპუ, სიგურდსონი, ერიქსენი

ამბები

## აზარი დაიმტვრა

„ჩელსის" 23 წლის ბელგიელმა ნახევარმცველმა **ედენ აზარმა** კოტ დივუართან შეხვედრის (2:2) მინუტულს მეტოქესთან სათამაშო ეპიზოდში კოჭი დაიზიანა და იძულებული გახდა, მინდორი კოჭლობით დაეტოვებინა. *„ედენის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნამდვილად არ არის საგანგაშო. ეს ფეხბურთია და ტრავმებს ვერსად გავექცევით,"* - განაცხადა ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ვილმოტსმა**. საბოლოო პასუხი ექიმებისგან ცნობილი ჯერ არ არის, წინასწარი პროგნოზით კი აზარს 10-დან 20 დღემდე მოუწევს დასვენება.

## კოშელნი დაისვენებს

„ეკიპის" ცნობით, „არსენალის" 28 წლის ცენტრალურმა მცველმა **ლორან კოშელნიმ** საფრანგეთი-ჰოლანდიის მატჩში ბარძაყის კუნთის პრობლემების გამო ვერ ითამაშა. ის მხოლოდ სათადარიგოთა შორის იჯდა. შესაძლოა, ლორანმა „ევერტონთან" ასოციაციის თასის 1/4-ფინალშიც ვერ შეძლოს ასპარეზობა, რომელიც ხვალ „ემირეიტსზე" ჩვენი დროით 16:45 წუთზე დაიწყება. კითხვის ნიშნის ქვეშ იყო მერსისაიდელებთან **ჯეკ უილშირის** თამაშიც, ვინც დანიასთან მუხლი იტკინა, თუმცა ბოლო ინფორმაციით, 22 წლის ნახევარმცველს მოედანზე მაინც ვიხილავთ.

## ანელკა ბედს შეეგუა

„ვესტბრომვიჩის" 35 წლის ფრანგი თავდამსხმელი **ნიკოლა ანელკა** არ აპირებს საფეხბურთო ასოციაციის მიერ მისთვის დაკისრებული 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას, - ინფორმაციას ამის თაობაზე „ტელეგრაფი" ავრცელებს. გასულის წლის 28 დეკემბერს „ვესტ ჰემთან" მატჩისას (3:3) ფეხბურთელმა გოლის შემდეგ მაყურებელს ანტისემიტური ჟესტი უჩვენა, რის გამოც ის დაისაჯა კიდეც.

## პალეტათი ინგლისში ისევ დაინტერესდნენ

არგენტინული წარმოშობის 27 წლის იტალიელი ცენტრალური მცველის **გაბრიელ პალეტას** ყიდვით ინგლისში „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ტოტენჰემი" დაინტერესდნენ. ფეხბურთელი მეოთხე წელია, „პარმაში" თამაშობს და ოთხშაბათს ესპანეთის ნაკრებთან (0:1) დებიუტი ჰქონდა „სკუადრა აძურაში". 2006/07 წლების სეზონში ფეხბურთელი „ლივერპულში" თამაშობდა, სადაც ფეხი ვერაფრით მოიკიდა. გაბრიელს იტალიელები 35 მილიონ ევროდ აფასებენ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინგლისის ნაკრები

# ჰოჯსონის ახალი თავის ტკივილი

ინგლისის ნაკრებმა დანიასთან შესანიშნავად ითამაშა. 1:0 მხოლოდ მინიმალური იყო, რაც მან „უემბლიზე" დაიმსახურა. განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყურებოდა **დენიელ სტარიჯი**, ვინც მეტოქეებს „სისხლს უშრობდა" როგორც უშუალოდ საჯარიმო მოედანში, ისე ფლანგებზეც. „ლივერპულის" 24 წლის თავდამსხმელმა 82-ე წუთზე **ადამ ლალანას** პასით ერთადერთი გოლი გაიტანა, თუმცა იქამდეც არაერთი შანსი გაუშვა ხელიდან. ის, რომ სტუმარმა გუნდმა საათზე მეტხანს გაძლო, დიდწილად **კასპარ შმაიხელის** დამსახურება იყო, ვინც თანაგუნდელების შეცდომებს დიდი მონდომებით ასწორებდა. თამაშის დასრულების შემდეგ „სამი ლომის" თავკაცი **როი ჰოჯსონი** შეგირდების გარჯით კმაყოფილი ჩანდა, **მორტენ ოლსენმა** მეტოქეც დამსახურებული გამარჯვება მიულოცა.



კუნძულელებს მომდევნო თამაში უკვე საკლუბო სეზონის დასრულების შემდეგ აქვთ დაგეგმილი. 30 მაისს „უემბლის" ამჯერად უკვე პერუს ნაკრები ესტუმრება. ჰოჯსონის გეგმის თანახმად, ის მანამდე დაასახელებს ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას, სავარაუდოდ 30 ფეხბურთელს. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ბრაზილიაში გაემგზავრება **თეო უოლკოტიც**, ოღონდ არა ფეხბურთელის, არამედ BBC-ის საფეხბურთო მიმომხილველის რანგში. ბრიტანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელზე მუნდიალის შეხვედრებს უოლკოტი და **ტიერი ანრი** გააანალიზებენ.

როი ჰოჯსონი: *„დღეს ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, რაც, შეუძლებელია, რომ არ მახარებდეს. პირველ ნახევარში პრობლემები ნამდვილად გვქონდა. მაგალითად დაცვიდან შეტევაში სასურველზე ნელა გადავდიოდით, მაგრამ ამის გათვალისწინებითაც კი ვახერხებდით მომენტების შექმნას. ჯერჯერობით ადრეა იმაზე ლაპარაკი, რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს რუნი-სტარიჯის დუეტი. ერთი თამაშის შემდეგ დასკვნის გამოტანა არასერიოზული იქნებოდა. თუკი გვინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ დავეყრდნოთ, საჭიროა, ფეხბურთელებს გვერდიგვერდ თამაშის მეტი პრაქტიკა ჰქონდეთ.*

*შემადგენლობის არჩევისას ჩემზე ზეწოლა ყოველთვის დიდია, რადგან ინგლისს ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, ვინც იმსახურებს თავის სანაკრებო შანსს. დღეს ცუდად არავის უთამაშია, პირიქით, ყველანი მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. იმედია, მოთამაშეთა კონკურენციის გამო მომავალშიც სერიოზული ფიქრი მომიწევს. ეს ერთგვარი სასიამოვნო თავის ტკივილია".*

**მორტენ ოლსენი:** *„იღბლიან მგზავრობას გისურვებთ ბრაზილიაში, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ იღბალი დიდად არ დაგჭირდებათ, რადგან ახალგაზრდული და ძალიან სწრაფი გუნდი გყავთ. პერსპექტიულობა ძალიან კარგია, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაგებად რამდენად საკმარისი იქნება? ვერ გეტყვით".*

ლივერპული

# მწვანე შუქი ლივერპულს

მიუხედავად საგაზეთო ჭორებისა, უეფამ „ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგაში სათამაშოდ მწვანე შუქი აუნთო. ფეარ პლეის წესების თანახმად, მერსისაიდულ კლუბს, ისევე როგორც ნამგებიან „მონაკოს" ფრანგული ლიგა 1-დან, ამ ეტაპზე სანქციები არ დაეკისრება, რადგან მიმდინარე სეზონში ევროპულ ტურნირებზე არ უთამაშია. ნიონის ოფისში ჩემპიონთა ლიგასა და ევროპალიგაზე მონაწილე 237 კლუბიდან 76-ის საქმეს განიხილავენ, მათგან რამდენიმეს დისკვალიფიკაციაც კი ემუქრება, თუკი ისინი მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ. ზემოთ ხსენებულ კლუბებს კიდევ ერთი წელი ეძლევათ ახალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. „წითლებმა" დამატებითი განმარტებები გააკეთეს და აღნიშნეს, რომ საერთო წლიურ ბრუნვაში, რომელიც „დელოიტის" მიერ ჩატარებული კვლევის შემდეგ გამოქვეყნდა, გათვალისწინებულია ყველაფერი, მათ შორის ახალგაზრდულ გუნდში დაბანდებული სახსრები, საქველმოქმედო პროექტები და ინფრასტრუქტურის განვითარებაში დახარჯული ფულიც. უეფას მეთოდოლოგიით კი მსგავსი ხარჯები კლუბის საერთო წაგებას გამოაკლდება. ასე რომ, „ლივერპულს" პრაქტიკულად არაფერი ემუქრება.

ევროპაში ყველაზე მეტად უეფას სანქციების „მანჩესტერ სიტისა" და „პარი სენ-ჟერმენს" უნდა ეშინოდეთ. მათი წლიური ზარალი უეფას მიერ დადგენილ მაქსიმუმს 2-ჯერ და მეტჯერ აჭარბებს.


თალიზი
თმის გადანერგვის ცენტრი
talizi
15 წელი
თქვენთან ერთად
www.talizi.ge

● ესპანეთის ნაკრები



დიეგო კოშტამ სადებიუტო მატჩში გოლი ვერ გაიტანა

# კოშტას მეტი შეუძლია

ესპანეთის და იტალიის დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, მიუხედავად იმისა, მატჩი ამხანაგურია თუ ოფიციალური. ოთხშაბათს, „ვისენტე კალდერონზე“ გამართულმა შეხვედრამ მოლოდინი ბოლომდე ვერ გაამართლა - **ჩეზარე პრანდელიმ** ექსპერიმენტებს მიმართა, **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი კი თამაშს აკონტროლებდა, მაგრამ საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდა.

„ფურია როხას“ შემადგენლობაში ყველაზე გამორჩეული ფიგურა **პედრო როდრიგესი** იყო და საბოლოოდ, შეხვედრის ერთადერთი გოლი სწორედ „ბარსელონას“ გარემარბმა გაიტანა. ამ მოგების წყალობით, ესპანეთმა იტალიასთან არსებული ბალანსი გაათანაბრა - ორივე გუნდს 10-10 გამარჯვება აქვს მოპოვებული, კიდევ 12 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

პირენეელთა რიგებში განსაკუთრებული ყურადღება **დიეგო კოშტამ** მიიქცია, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. „ატლეტიკოს“ ფორვარდი „მშობლიურ“ სტადიონზე კი თამაშობდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ არც ერთ თანაგუნდელთან აქამდე მოედანზე ერთი წუთიც კი არ ჰქონდა გატარებული, აშკარად ცუდად მოქმედებდა. 25 წლის თავდამსხმელი **ბუფონის** კარს რამდენჯერმე დაემუქრა, თუმცა მთლიანობაში ცუდი შთაბეჭდილება დატოვა და ისე ჩანდა, თითქოს გუნდისგან განცალკევებით თამაშობდა. მიუხედავად ამისა, კოშტა მაინც კმაყოფილი იყო:

*„ბედნიერი ვარ, რომ ესპანეთის ნაკრებში დებიუტი მქონდა და გუნდმაც გამარჯვება მოიპოვა. პირველი თამაში ყოველთვის რთულია და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა ყოფილა. ვიცი, რომ გაცილებით მეტი შემიძლია და ამის დამტკიცებას მომავალში ვეცდები. მე გავაგრძელებ „ატლეტიკოში“ ჩემი საქმის კეთებას, იმისთვის რომ ნაკრებში მოხვედრის შანსი კიდევ მივიღო“*, - განაცხადა ფორვარდმა მატჩის შემდეგ.

*„ჩვენი გუნდი ახლა კიდევ უფრო ძლიერია. ნაკრებში კოშტა იმიტომ მივიწვიეთ, რომ ვიცით მისი შესაძლებლობების შესახებ და იმაშიც დარწმუნებულები ვართ, რომ ესპანეთის ნაკრების სათამაშო სტილთან ადაპტაციისთვის მას დიდი დრო არ დასჭირდება. დღეს ის ბევრს მოძრაობდა და მოედანზე თავს კომფორტულად გრძნობდა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში გუნდს კიდევ უფრო მეტ დახმარებას გაუწევს“*, - ეს უკვე „ფურია როხას“ მთავარი მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს სიტყვებია.

ესპანელთა დამრიგებელი გუნდის თამაშითაც კმაყოფილი დარჩა:

*„თამაშს ვაკონტროლებდით და ბურთსაც კარგად ვაგორებდით. დღეს ჩვენმა გუნდმა იტალიას აშკარად აჯობა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ამხანაგური მატჩი იყო, ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ. გვქონდა კარგი მონაკვეთები, თუმცა საგოლე შანსები მეტოქემაც შექმნა, მაგრამ უმეტესად დაცვაშიც ყურადღებით ვთამაშობდით“.*

მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას ესპანეთი უკვე სამუნდიალო შეკრებაზე, 30 მაისს გამართავს, როდესაც ბოლივიას დაუპირისპირდება. ერთ კვირაში პირენეელები სალვადორის ნაკრებს შეხვდებიან, ამის მერე კი უკვე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეუდგებიან.

**ტატო ბაციკაძე**

● იტალიის ნაკრები

# პრანდელი: ესპანეთი ერთი ნაბიჯით წინაა

**ჩეზარე პრანდელის** ესპანეთთან ამხანაგურად დაჯახება არ სურდა, მაგრამ მის თხოვნას, თამაში გაუქმებულიყო, **ვისენტე დელ ბოსკე** არ დათანხმდა. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია და იტალიის ნაკრების მესაჭემ სპარინგი სხვადასხვა ექსპერიმენტის ჩასატარებლად გამოიყენა. სენიორ ჩეზარემ ბევრი სიახლე შემოგვთავაზა - მაგალითად, 4-3-3 სქემა, რომელსაც აქამდე ნაკლებად სწყალობდა. ორი დებიუტანტი: დაცვაში **გაბრიელ პალეტა** და თავდასხმაში **ჩირო იმობილე**. ასევე, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც იშვიათად ეძლევათ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი. მოკლედ ვთქვათ, რომ ახალმა ტაქტიკამ დიდად ვერ გაამართლა - „აძურამ“ მოედნის ცენტრი მთლიანად დათმო და ეს არა პრანდელის ჩანაფიქრი, არამედ იტალიელთა იძულებითი უკან დახევა გახლდათ. ვერ ივარგა ჩირო იმობილემ, **დომენიკო კრიშიტოს** ფლანგი მთლიანად გაირღვა, საუკეთესოდ კი თავი დებიუტანტმა პალეტამ წარმოაჩინა. გაბრიელმა არაერთი ორთაბრძოლა მოიგო და დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ იტალიელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს.

ჩეზარე პრანდელი: *„ყველაზე მთავარი, რაშიც ესპანელებმა გვაჯობეს, ფიზიკური მომზადება გახლდათ. რომელ გამარჯვებაზეა ლაპარაკი, როდესაც ისინი ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ იყვნენ. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ამ კომპონენტში ასე დავიჩაგრებოდით. ფიზიკური კონდიციის ასამაღლებლად კოლოსალური სამუშაო უნდა გავწიოთ - წინააღმდეგ შემთხვევაში, მუნდიალზე წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება. იყო გამონათებებიც, რაც ოპტიმიზმს მიღვივებს. გაბრიელ პალეტას შესანიშნავი დებიუტი გამოუვიდა და თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, სწორედ ის გახლავთ. მატია დესტრო და ჩირო იმობილე? - ახალგაზრდულ გუნდში ბრწყინვალედ ასპარეზობდნენ და იმსახურებდნენ შანსს ეროვნულ ნაკრებში. მიღებული გამოცდილება წინ დახვდებათ, თუმცა „აძურაში“ დასამკვიდრებლად ბევრი აქვთ სამუშაო“.*

**ჯანლუიჯი ბუფონი:** *„ბოლო პერიოდში ესპანელებს რამდენჯერმე შევხვდით და თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალს არ ჩავთვლით, მუდმივად დაძაბული დაპირისპირება გამოდის. ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ მუნდიალზე ღირსეულად წარვდგეთ და ესპანეთს, ბრაზილიას თუ არგენტინას ტოლ-სწორად ვეპაექროთ“.*

გაბრიელ პალეტა: *„ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობა განუმეორებელი შეგრძნებაა და მსურს, ეს კიდევ ბევრჯერ განვიცადო. თავი არ დამიზოგავს, ყველაფერი გავაკეთე, რომ კარი მშრალად შეგვენახა, მაგრამ ერთი ეპიზოდი მაინც გამოგვეპარა“.*

**ლაშა წიკლაური**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXVIII ტურის წინ

# კომფორტული პსჟ

| 7 მარტი | |
|---|---|
| მარსელი-ნიცა | 23:30 |
| **8 მარტი** | |
| ბასტია-პსჟ | 19:30 |
| გენგამი-ევიანი | 23:00 |
| მონაკო-სოშო | 23:00 |
| ვალანსიენი-რენი | 23:00 |
| ნანტი-აიაჩო | 23:00 |
| ტულუზი-რეიმსი | 23:00 |
| **9 მარტი** | |
| ლილი-მონპელიე | 17:00 |
| ლორიანი-სტ. ეტიენი | 20:00 |
| ბორდო-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 27 | 19 | 7 | 1 | 64-18 | 64 |
| 2. მონაკო | 27 | 16 | 8 | 3 | 44-21 | 56 |
| 3. ლილი | 27 | 14 | 7 | 6 | 31-18 | 49 |
| 4. სტ. ეტიენი | 27 | 14 | 6 | 7 | 38-23 | 48 |
| 5. მარსელი | 27 | 12 | 7 | 8 | 38-29 | 43 |
| 6. ლიონი | 27 | 11 | 9 | 7 | 40-31 | 42 |
| 7. რეიმსი | 27 | 11 | 9 | 7 | 35-33 | 42 |
| 8. ბორდო | 27 | 11 | 7 | 9 | 34-31 | 40 |
| 9. ბასტია | 27 | 10 | 7 | 10 | 31-38 | 37 |
| 10. ტულუზი | 27 | 9 | 9 | 9 | 31-36 | 36 |
| 11. მონპელიე | 27 | 6 | 15 | 6 | 33-31 | 33 |
| 12. ლორიანი | 27 | 9 | 6 | 12 | 35-38 | 33 |
| 13. გენგამი | 27 | 8 | 8 | 11 | 26-28 | 32 |
| 14. რენი | 27 | 7 | 10 | 10 | 31-32 | 31 |
| 15. ნანტი | 27 | 9 | 4 | 14 | 23-30 | 31 |
| 16. ნიცა | 27 | 9 | 4 | 14 | 23-33 | 31 |
| 17. ევიანი | 27 | 6 | 9 | 12 | 27-43 | 27 |
| 18. ვალანსიენი | 27 | 5 | 7 | 15 | 27-45 | 22 |
| 19. სოშო | 27 | 5 | 7 | 15 | 22-48 | 22 |
| 20. აიაჩო | 27 | 2 | 8 | 17 | 22-49 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 14 - ედინსონ კავანი (პსჟ); 13 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 12 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

### ჟინიაკის გარეშე

ტური „მარსელისა“ და „ნიცას“ დაპირისპირებით დაიწყება. **ჟოზე ანიგოს** გუნდი 6 ქულით ჩამორჩა მესამეადგილოსან „ლილს“ და 5-ით მეოთხეზე მყოფ „სენტ ეტიენს“. ასე რომ, მარსელელებს შეცდომის უფლება აღარ აქვთ, თანაც სატურნირო თვალსაზრისით, აბსოლუტურად უმოტივაციო ნიცელებთან. **ანდრე პიერ ჟინიაკი** დისკვალიფიცირებულია, არადა იგი შესანიშნავ ფორმაშია, თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, რომ დაბრუნდა **ანდრე აიუ** და იგი ნელ-ნელა ფორმაში შედის.

პსჟ შაბათს კორსიკაზე სტუმრობს. იქ თამაში მართლაც ძნელია, მაგრამ არა პარიზელთათვის, რომლებსაც „ბასტიასთან“ ზედიზედ შვიდი მოგება აქვთ. ბოლო 3 შეხვედრაში კი მეტოქეს სულაც 11 გოლი გაუტანეს და მხოლოდ 1 გაუშვეს. **ლორან ბლანს** უახლოეს მდევართან უკვე 8-ქულიანი უპირატესობა აქვს და თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს, მაგრამ ფეხბურთელებისგან კიდევ უფრო მეტს ითხოვს.

„მონაკო“ „სოშოს“ უმასპინძლებს და გამოკვეთილ აუტსაიდერსაც თუ ვერ მოუგო მდევრებს ზედმეტად მოახლოების შანსს მისცემს, რაც **კლაუდიო რანიერის** გეგმებში ნამდვილად არ შედის, თორემ პირველი ადგილის იმედი რომ არ აქვს, იტალიელ სპეციალისტს ეს არაერთხელ აღუნიშნავს. „სოშოს“ რაც შეეხება, გუნდი მოულოდნელად გამოფხიზლდა, მაგრამ გადარჩენის რეალურ შანსზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

### საკვირაო ამბები

კვირის სამივე მატჩს სერიოზული სატურნირო დატვირთვა აქვს. დღე „ლილისა“ და „მონპელიეს“ დაპირისპირებით დაიწყება და **რენე ჟირარი** იმ გუნდის ძლევას შეეცდება, რომელთან ერთადაც სენსაციურად მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილელები ფავორიტები არიან, მაგრამ **როლან კურბისის** გუნდმა ისე მოუმატა, რომ ნებისმიერი გუნდისთვის საშიში მეტოქეა.

ამ მატჩის შედეგი უკვე ეცოდინება „სენტ ეტიენს“, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში მოსაგები აქვს, თუმცა ასე შეკვეთით „ლორიანთან“ საგარეო სამი ქულის აღება „მწვანეებისთვის“ ძალიან ძნელი იქნება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ **კრისტიან გურკუფის** გუნდს სტუმრად თამაში ცოტა უჭირს.

ბოლოს კი „ბორდოსა“ და „ლიონის“ დაპირისპირებით დავტკბებით. ფრე ხელს არც ერთს არ აძლევს.

**გიორგი კაკაბაძე**



პსჟ და იბრაჰიმოვიჩი შეუჩერებელია

● არგენტინა. ტორნეო ფინალი. VI ტური

# გოლეადორი მცველები

| კოლონი-გოდოი კრუსი | 1:1 |
|---|---|

გოლები: 1:0 მელი (65), 1:1 სიგალი (85)

| ხიმნასია-ატლ. რაფაელა | 1:1 |
|---|---|

გოლები: 1:0 პოუსო (25), 1:1 ალბერტენგო (45)

| ბელგრანო-ესტუდიანტესი | 1:1 |
|---|---|

გოლები: 0:1 რ. მარტინესი (72), 1:1 ს. პერეირა (88-პენ)

| ლანუსი-რასინგი | 1:0 |
|---|---|

გოლი: 1:0 ბარიენტოსი (28)

| ბოკა-ოლიმპო | 2:0 |
|---|---|

გოლები: 1:0 სანჩეს მინიო (53), 2:0 რიკელმე (85-პენ)



„ნიუელსმა“ „ველესი“ შინ დამნუხრებული გაისტუმრა

| ნიუელსი-ველესი | 4:1 |
|---|---|

გოლები: 1:0 ჰაინცე (45), 2:0 კასკო (47), 3:0 კ. დიასი (55), 3:1 ნანი (79), 4:1 ფიგეროა (88)

გაძევება: ფ. კარდოსო (83. ველეს სარსფილდი)

| ოლ ბოისი-არ. ხუნიორსი | 0:0 |
|---|---|
| არსენალი-კილმესი | გვ. დასრ. |
| სან ლორენსო-როსარიო | გვ. დასრ. |
| ტიგრე-რივერი | გვ. დასრ. |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლონი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-5 | 13 |
| 2. ესტუდიანტესი | 6 | 3 | 2 | 1 | 5-3 | 11 |
| 3. გოდოი კრუსი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| 4. ბელგრანო | 6 | 2 | 4 | 0 | 11-9 | 10 |
| 5. ველესი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 6. ნიუელსი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-6 | 9 |
| 7. სან ლორენსო | 5 | 3 | 0 | 2 | 4-3 | 9 |
| 8. ხიმნასია LP | 6 | 2 | 2 | 2 | 9-7 | 8 |
| 9. ატლ. რაფაელა | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 10. არ. ხუნიორსი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-4 | 8 |
| 11. ბოკა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| 12. რივერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 13. როსარიო | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 14. ოლიმპო | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 7 |
| 15. ლანუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 16. ტიგრე | 5 | 1 | 3 | 1 | 1-1 | 6 |
| 17. არსენალი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 18. ოლ ბოისი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-6 | 6 |
| 19. რასინგი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-7 | 4 |
| 20. კილმესი | 5 | 1 | 0 | 4 | 1-6 | 3 |

**ბომბარდირები:** 5 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 4 - კასტელანი (გოდოი კრუსი), გრაციანი (კოლონი)

ტორნეო ინისიალის მე-6 ტურის გამორჩეული მატჩი მარსელო ბიელსას სახელობის სტადიონზე გაიმართა - „ნიუელს ოლდ ბოისმა“ „ველეს სარსფილდს“ უმასპინძლა და შინ დამნუხრებული გაისტუმრა. როსარიოელთა მხრიდან პირველი სამი გოლი მცველებმა გაიტანეს. ანგარიში 45-ე წუთზე **გაბრიელ ჰაინცემ** გახსნა, მეორე ტაიმის დებიუტში კი თავი მარცხენა მცველმა **მილტონ კასკომ** გამოიჩინა. რამდენიმე წუთში კი უკვე მარჯვენა მცველის, **კრისტიან დიასის** ჯერიც დადგა, რომელმაც კარიერაში პირველი გოლი გაიტანა. მოკლედ, ერთადერთი მცველი, ვისაც არ გაუტანია ვეტერანი **ვიქტორ ლოპესი** იყო.

სტუმართა მხრიდან თავი „ველესში“ და არგენტინაში 5-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა **რობერტო ნანიმ** გამოიჩინა, შეხვედრას კი წერტილი **ვიქტორ ფიგეროამ** დაუსვა - 4:1. აღსანიშნავია, რომ ფიგეროამ ამ გოლის გარდა კიდევ ორი საგოლე პასი გააკეთა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. ვთქვათ ისიც, რომ ერთი საგოლე გადაცემა შეასრულა 16 წლის **ესეკილ პონსემ**, ვინც კვლავ ძირითად შემადგენლობაში იყო.

4-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა ლიდერმა „კოლონმა“, თუმცა პირველი პოზიცია მაინც შეინარჩუნა. წინა ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასულმა გუნდმა „გოდოი კრუსს“ უმასპინძლა და ქულები შეხვედრის ბოლოსკენ გაშვებული გოლის წყალობით დაკარგა - თავი აქაც მცველმა, **ლეონარდო სიგალიმ** გამოიჩინა. მენდოსელები საკმაოდ საინტერესო მდგომარეობაში არიან - **ხორხე ალმირონის** გუნდი სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზე, სამწლიან გასავარდნ ცხრილში კი ბოლო ადგილს იკავებს.

ბოლო წუთებზე დაკარგა გამარჯვება „ესტუდიანტესმაც“, რომელმაც პირველ სამ ტურში ამდენივე მატჩი მოიგო, მომდევნო სამში კი მხოლოდ ორი ქულა დააგროვა. ამჯერად, „სტუდენტები“ „ბელგრანოს“ დაუზავდნენ. მასპინძლები მარცხისგან ტორნეო ინისიალის საუკეთესო ბომბარდირმა **სესარ პერეირამ** იხსნა, ვინც 88-ე წუთზე პენალტი გამოიყენა.

ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოიპოვა „ბოკა ხუნიორსმა“. **კარლოს ბიანკის** შეგირდებმა **ხუან სანჩეს მინიოს** და **ხუან რომან რიკელმეს** გოლების წყალობით „ოლიმპოს“ 2:0 მოუგეს და წინა ტურნირში განცდილი სამარცხვინო მარცხის გამო (0:3) რევანში აიღეს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ლიდერებმა ზავი არჩიეს

ერევანში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში სამი ტურის შემდეგ ხუთი დიდოსტატი დაწინაურდა უდანაკარგოდ. მეოთხე ტურის შემდეგ მათი რიცხვი ერთამდე შემცირდა — ევგენი ნაიერმა (რუსეთი) ილია სმირინს (ისრაელი) აჯობა. დაზავდნენ ალექსანდრ რიაზანცევი (რუსეთი)-ვლადისლავ არტემიევი (რუსეთი), იგორ კოვალენკო (ლატვია)-პაველ ელიანოვი (უკრაინა). საერთოდაც, გუშინ მენინავეთა ჯგუფის 20-დან 16 პარტია მშვიდობიანად დასრულდა. სამწუხაროდ, სხვებს მხარი ვერ აუბა ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერმა **ბაადურ ჯობავამ**, რომელსაც 2.5 ქულა ჰქონდა. ნახევარქულიანი სხვაობა მას გუშინაც შეეძლო, შეენარჩუნებინა, მაგრამ 53-ე სვლაზე შავი ფიგურებით ალექსანდრ შიმანოვთან დამარცხდა. ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ნანა ძაგნიძე**-ზოლტან ალმაში (უნგრეთი) 0.5:0.5, ალექსეი დრეევი (რუსეთი)-**ლუკა პაიჭაძე** 0.5:0.5, ვადიმ ზვიაგინცევი (რუსეთი)-**გიგა ყუფარაძე** 1:0, **გიორგი სიბაშვილი**-რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი) 0:1, ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა)-**სალომე მელია** 1:0, **გიორგი ბალათუროვი**-ლევან ფანცულაია 1:0, ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა)-**მერი არაბიძე** 1:0, ბარის ესენი (თურქეთი)-**ალექსანდრე ყაშაშვილი** 1:0, სედრაქ მათევოსიანი (სომხეთი)-**გაიოზ ნიგალიძე** 0:1, **ივერი ჭილლაძე**-ანასტასია ბიკოვა (რუსეთი) 1:0, **ირაკლი ბერაძე**-არამ აკობიანი (სომხეთი) 1:0, **ნიკა ლვამბერია**-იოჰან სალომონი (ნორვეგია) 0.5:0.5, **ბაჩანა მორჩიაშვილი**-აშოტ ფარვანიანი (სომხეთი) 1:0, **ნოე თუთისანი**-ანასტასიო პავლიდისი (საბერძნეთი) 0.5:0.5, **ნატო იმნაძე**-სერბან პორფირეანუ (რუმინეთი) 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ: ევგენი ნაიერი-4, შეჯიბრების ექვს მონაწილეს 3,5-3,5 ქულა აქვს. ქართველთა მონაგარი: პაიჭაძე, ბალათუროვი, ჯობავა, ძაგნიძე, ნიგალიძე - 2.5-2.5, სიბაშვილი, ჭილლაძე, ბერაძე, მორჩიაშვილი, ყუფარაძე - 2-2, ყაშაშვილი, არაბიძე, მელია, ფანცულაია, ლვამბერია - 1.5-1.5, თუთისანი, იმნაძე - 1-1 ქულა.

მე-5 ტურში წილისყრამ ორქულანახევრიანი ქართველები რუსებთან დააწყვილა: ჯობავა-დარია ჩაროჩკინა, ნიგალიძე-ალექსეი დრეევი, იგორ ლისი-პაიჭაძე, სერგეი გრიგორიანცი-ბალათუროვი, ევგენი ტომაშევსკი-ძაგნიძე.

ვაჟა დანელია




ხსოვნა. ჟიული შარტავა - 70


1968 წელი. მარცხნიდან: ჟიული შარტავა, ვლადიმერ კანკავა, რომან რურუა, თამაზ მაჭავარიანი

# აღმამსვლელი

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც რა სფეროშიც უნდა არგუნოს ბედისწერამ მოღვაწეობა, ძალუძთ შექმნან მითი საკუთარი ცხოვრებიდან. მათი ცხოვრებისეული გზის კვალი და შარავანდი უკან მიმავალთ ჩაუქრობელ ლამპრად მიუძღვის. ეს რჩეულთა ხვედრია, რჩეულთა ტვირთია.

ჟიული შარტავა სწორედ ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნებოდა. მისი შინაგანი ბუნება, რომელიც აღსავსე იყო ღირსებისა და სამართლიანობის ცეცხლით, ვერ თავსდებოდა ჩვეულებრიობის კალაპოტში. იგი იყო ადამიანი - მოვლენა, ადამიანი - მითი.

პიროვნების ხასიათი ყველაზე უკეთ გადამწყვეტ წუთებში მისი მოქცევით შეიცნობა. მხოლოდ საფრთხე გამოავლენს ადამიანის დაფარულ ძალებსა და ნიჭს. ყველა ეს ჩრდილში მიმალული თვისება, რომლებიც საშუალო ტემპერატურის დონეზე დაბლა მდებარეობს, კრიტიკულ მომენტებში პლასტიკურ ფორმას იძენს. ჟიული მუდამ მარტო განიცდიდა საფრთხეს. ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, იგი მიუკარებელი ხდებოდა. როგორი შეურაცხყოფაც უნდა მიეგოთ, მისი წარბებით დაბინდული




თვალები ცეცხლოვანი ნაპენკლებივით არ გაბრწყინდებოდნენ. არც ერთი ნაოჭი არ შეცახცახდებოდა მისი მჭიდროდ მოკუმული ბაგეების გარშემო. ის სრულყოფილად ფლობდა თავდაჭერის ხელოვნებას და ამ ყინულოვანი სიმშვიდის წყალობით, ყველა საგანი მისთვის ბროლივით გამჭვირვალე ხდებოდა.

ჟიული შარტავა მთლიანად დაიხარჯა, მთელი თავისი ენერგია და ძალისხმევა საქართველოს ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ტრიუმფს მიუძღვნა.

ადამიანებს, რომლებიც ჟიული შარტავას ხელდასმით გამოდიოდნენ ცხოვრების ასპარეზზე, პირველ რიგში, კაცობის, ადამიანობის გაკვეთილი ედგათ თვალწინ. ჟიული იყო მაგალითი, ეტალონი იმისა, თუ როგორ უნდა იყოს შერწყმული კაცში სულიერი სიძლიერე, სამართლიანობა და სიყვარულის უდიდესი უნარი.

დღეს, როდესაც ჟიულის სული მარადისობაშია, ყველა ჩვენგანში ცოცხლობს მისი ცხოვრებისეული კრედო - იყო მართალი და პრინციპული, უანგაროდ, უპრეტენზიოდ ემსახურო ქვეყანას, გიყვარდეს ადამიანები, რომლებიც შენ გარშემო არიან და იყო მათი იმედი.

ჟიულის ცხოვრებისეულ გზას, რომელიც დიდხანს გაგვყვება ნიშანსვეტად მათ, ვისაც ჟიულისთან სიახლოვე გვარგუნა განგებამ, მხოლოდ ერთი განსაზღვრება შეიძლება მოეძებნოს: ეს არის კვალი ნათელი კაცისა.

ვლადიმერ კანკავა

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია მეოთხედფინალში

ანტალიაში გუშინ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) **სოფიო ქვაცაბაიას** მესამე ნომრად განთესილი იტალიელი ანა ფლორისი არ გამოუცხადდა და უბრძოლველად გავიდა მეოთხედფინალში, სადაც იგი ბარბარა ჩონის (პორტუგალია) მძლეველ (6:0, 6:0) ირინა შიმანოვიჩს (ბელარუსი) შეხვდება. სამწუხაროდ, ერთეულთა თანრიგის ორთაბრძოლებს გამოეთიშა ასპარეზობის რეიტინგფავორიტი **ეკატერინე გორგოძე**: სლოვაკ ვიქტორია კუზმოვასთან შეხვედრისას ჩვენებურმა პირველი ხელი 6:7 დათმო. მეორეში, როცა მეტოქე 1:0 დაწინაურდა, გორგოძემ წინააღმდეგობა შეწყვიტა. კუზმოვა მაკედონიელ ლინა ჯორჩესკასთან გაარკვევს ურთიერთობას.

წყვილებში ქვაცაბაიას და გორგოძის დუეტმა გუშინ მეორე გამარჯვება იზეიმა — ვიქტორია კუზმოვას და კრისტინა შმიედლოვას (ორივე-სლოვაკეთი) ტანდემი ჩამოიშორა გზიდან — 4:6, 6:3, 10:8. ნახევარფინალში ჩვენები ასპარეზობის მეორე ნომერ ესტელ კასკინოს (საფრანგეთი) და მარტინა კუბიჩიკოვას (ჩეხეთი) გაუწევენ მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ: მანა აიუკავა (იაპონია), კიმ-ალისე გრაიდეკი (გერმანია) - მარტინა კარეგარო, ანა ფლორისი (ორივე-იტალია).

■ ■ ■

ყაზახეთში ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის ორი წრის შემდეგ შეჯიბრებას ქართველთაგან მხოლოდ **ალექსანდრე მეტრეველი** იყო შერჩენილი. გუშინ მანაც მაყურებლებში გადაინაცვლა: ერთეულთა თანრიგში ჩვენებურმა მე-7 ნომერ ანდრეი რუბლიოვთან (რუსეთი) დათმო პაექრობა — 4:6, 4:6 (სხვათა შორის, რუბლიოვმა მე-2 წრეში **გიორგი ჯავახიშვილსაც** აჯობა). წყვილთა შორის ყაზახ დენის ევსეევთან შეამხანაგებული მეტრეველი ნახევარფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტებთან — იარასლაუ შილასა და ანდრეი ვასილევსკის (ორივე-ბელარუსი) დუეტთან პირველ ხელს 0:4-ს აგებდა, რომ პარტნიორთან ერთად ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო.

■ ■ ■

ინდიან უელსში (აშშ) გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 5.946.740 დოლარი), რომლის წყვილთა პაექრობაში გუშინ ჩაება თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა**. იაპონელ შუკო აოიამასთან შეამხანაგებულმა ჩვენებურმა პირველსავე წრეში სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია რეიტინგფავორიტებს - სუ-ვეი ჰსიესა (ტაივანი) და შუაი პენს (ჩინეთი). ოქსანამ და მისმა მეწყვილემ ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი მოიგეს, საბოლოოდ 1:6, 2:6 დამარცხდნენ და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

ვაჟა დანელია



სოფიო ქვაცაბაია

თარიღები და მოვლენები

## 07-09 მარტი

**07. 2010.** უნგრეთში ოქროს გრან-პრიზე, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში **შმაგი გულიაშვილი** (74 კგ) ვერცხლს დაეუფლა, **აკაკი ჯოხაძე** (84) - ბრინჯაოს

**07. 1957. დაიბადა ამირან ანდღულაძე ფეხბურთი**

**07-09. 2012.** ბელგრადში თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე **დავით მარსაგიშვილი** (84 კგ) ჩემპიონი გახდა, **ბესიკ გოჩაშვილმა** (55) და **დავით ხუციშვილმა** (74) ვერცხლი მოიპოვეს, **მალხაზ ზარქუამ** (60) და **დავით მოძმანაშვილმა** (120) - ბრინჯაო

**08. 2012.** თავისუფალი ჭიდაობა. ბაქოს „ოქროს დიდ პრიზი": **დავით ხუციშვილი** (ოქრო), **გიორგი ედიშერაშვილი, შალვა მუზიაშვილი** და **ელიზბარ ოდიკაძე** (ვერცხლი), **დავით ქერაშვილი** და **დავით მოძმანაშვილი** (ბრინჯაო)

**09. 1927.** დაიბადა **მირიან ცალქალამანიძე** - თ\ჭიდაობა. გარდაიცვალა 2000 წელს

**09. 1928.** დაიბადა **გიორგი შარაშიძე** - ხელბურთი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 2002 წელს

**09. 1987.** ლანჩხუთში „გურიამ" ახალგახსნილ სტადიონზე პირველი მატჩი ჩაატარა ფეხბურთში სსრკ პირველობაზე

**09. 1964. დაიბადა ბენო ქაშაკაშვილი** - ალპინიზმი. დაბადების 50 წელი

**09. 1972. დაიბადა გენადი გურალია** - წყალთხილამურობა.

თავისუფალი ჭიდაობა. ნაკრები

# სრული სვლით, ევროპისკენ

ევროპის კარსმომდგარი პირველობისთვის, რომელიც 1-6 აპრილს ტარდება ფინურ ვანტააში, ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც გამალებით ემზადება. გუნდი ამჟამად ბორჯომშია და სპორტკომპლექს „ოლიმპიკში“ მორიგ, რიგით მესამე შეკრებას გადის. ბერძენ-რომაელთაგან განსხვავებით, მათ მთლიანად შინ მომზადება აირჩიეს და უცხოეთში ერთი საწვრთნელი ეტაპიც არ გაუვლიათ – თავდაპირველად ბაკურიანში ივარჯიშეს და ახალი სეზონისთვის ფიზიკურად მოემზადნენ, მერე კი დუშეთში ივარჯიშეს. ახლანდელი შეკრება 14 მარტს დასრულდება, ფინეთში წასვლამდე კი დასკვნით ეტაპს ისევ ბორჯომში გაივლიან. ამჟამად გუნდის მთავარ მწვრთნელ **რევაზ მინდორაშვილის** განკარგულებაში 40-მდე სპორტსმენია, გუნდის ყველა ლიდერის ჩათვლით. საბედნიეროდ, ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები არაა. მართალია, პატარ-პატარა ტრავმები რამდენიმე ფალავანს კი აწუხებს, მაგრამ არა იმდენად საშიში, მზადებაში ხელი შეუშალოს. ყველაზე მძიმე მაინც ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ პრიზიორ **დავით მარსაგიშვილის** (84) მდგომარეობაა. მოგეხსენებათ, მან თებერვალში ფეხი იტკინა, რის გამო ვერც ირანში იჭიდავა საერთაშორისო ტურნირში. თუმცა ისიც სრული დატვირთვით ემზადება, სანაკრებო გეგმის ფარგლებში, რომ არ ჩამორჩეს თანაგუნდელებს, მაგრამ ერთგვარი სიფრთხილის ზღვარზე, ტრავმა რომ არ გაიმიზეზოს.

ევროპის ჩემპიონატში თავდაპირველად „თავისუფლები“ ჩაებმებიან და ამიტომ ფინეთშიც პირველად ისინი გადაფრინდებიან - 30 მარტს. ცხადია, შემადგენლობას ჯერ არც მინდორაშვილი ასახელებს და ისიც ბოლო შეკრებას ელოდება, თუმცა ცნობილია, რომ ევროპირველობაზე გამოსვლის უმთავრესი კანდიდატები საქართველოს ჩემპიონები არიან. შეგახსენებთ, რომ ეს ტიტული შემდეგმა ფალავნებმა მოიპოვეს – **გიორგი ედიშერაშვილმა** (55), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** (66), **იაკობ მაქარაშვილმა** (74), **დავით მარსაგიშვილმა** (84), **დავით ქერაშვილმა** (96) და **დავით მოძმანაშვილმა** (120). აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველობის ჩატარების დროს - ნოემბერში ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ახალი წონითი კატეგორიები, ამ რეფორმის გატარების შემდეგ დამატებულ ახალ წონაში კი **დიმიტრი ბასილაშვილმა** (70) გაიმარჯვა. სამწუხაროდ, ამათგან ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა სიას ედიშერაშვილი გამოაკლდა – მოგეხსენებათ, ის დოპინგზე ჩავარდა და დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ეს დიდი დანაკლისია ჩვენი გუნდისთვის, რადგან ედიშერაშვილი ევროპის მოქმედი ჩემპიონია და წლეულსაც ფავორიტთა შორის იქნებოდა.


ნავლენ რევაზ მინდორაშვილი (მარცხნივ) და ლევან ქელეხსაშვილი ამერიკაში?

### მსოფლიოს თასი - რეალობა თუ მირაჟი?

სულ მალე ამ ნაკრებს ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდება – მსოფლიოს თასი, რომელიც მომავალ უქმეებზე – 15-16 მარტს ლოს ანჯელესში ტარდება. თუმცა იქ წასვლის საკითხი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი ნაცნობი პროზაული მიზეზით – ამერიკის საელჩომ ჩვენს ნაკრებს ვიზები არ მისცა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში დიპლომატიური წარმომადგენლობა არაა ვალდებული, უარის მიზეზი დაასახელოს და ამით არც ამერიკელებს შეუწუხებიათ თავი, მაგრამ კულუარებში გავრცელებული ხმებით, მომხდარი დელეგაციის სიმრავლემ განაპირობა. ვიმეორებთ, რომ ეს დაუზუსტებელი ინფორმაციაა, მაგრამ ძალიან ცუდი იქნება, თუ სიმართლეა. მერამდენე სკანდალია, როცა ანალოგიური მიზეზით ჩვენს გუნდებს უცხოეთში შეჯიბრებებზე არ უშვებენ.

თავდაპირველი უარიდან რამდენიმე დღეში ამერიკელებმა ორიოდე გამონაკლისი დაუშვეს – რევაზ მინდორაშვილსა და ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივან **გიორგი ლომიძეს** მისცეს ქვეყანაში შესვლის ნება. დღეს ჩვენები ისევ მიდიან საელჩოში, და, იმედია, ყველას მისცემენ ვიზას.

არადა, ამ ტურნირზე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს, სპორტში 41 წლის ასაკში დაბრუნებულ **ლუკა კურტანიძესაც** (97) უნდა ეჭიდავა. მისთვის ეს ერთ-ერთი განმსაზღვრელი შეჯიბრება უდა ყოფილიყო, რომელიც გადაწყვეტდა, გააგრძელებდა თუ არა ის კარიერას.

კურტანიძის გარდა, მინდორაშვილს უნდა მსოფლიოს თასზე **ბექა ბუჯიაშვილი, ოთარ გოგავა** (ორივე – 57), **ბექა ლომთაძე** (61), **ზურაბ იაკობაშვილი** (65), **ლევან ქელეხსაშვილი, გიორგი ცუცქირიძე** (ორივე – 70), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **ნოდარ ეგაძე, ლევან გოგრიჭიანი** (ორივე – 86), **ბექა ჭელიძე** (97), **გენო პეტრიაშვილი** და **გიორგი საკანდელიძე** (ორივე – 130) აჭიდაოს.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს თასის მონაწილეებს მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებით არჩევენ. წლევანდელ ტურნირში ათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ვიდრე ჩვენები ჯერ კიდევ გაურკვევლობაში და ვიზების მოლოდინში არიან, ამასობაში რომში გამართულ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის – ფილას ბიუროს სხდომაზე ტურნირის კენჭისყრაც გაიმართა. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა რუსეთთან, მონღოლეთთან, უკრაინასა და რუსეთთან ერთად. A ჯგუფში აშშ, ირანი, თურქეთი, ინდოეთი და სომხეთი გაერთიანდნენ. ტურნირის ძირითადი ნაწილი 15 მარტს ჩატარდება. ამ დღეს ჩვენები სამ პაექრობას ჩაატარებენ – ჯერ იაპონიასთან, მერე მონღოლეთთან, დღის ბოლოს კი - უკრაინასთან. მთავარი პაექრობა მეორე დღეს – 16 მარტს გვექნება რუსებთან, მერე კი პლეი ოფები გაიმართება.

### მეტოქეები ნელ-ნელა გაირკვევა

ლოს-ანჯელესში წასაყვან ზემოდასახელებულ შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დავინახავთ რომ მინდორაშვილს იქ სათადარიგოები მიჰყავს. აქედანაც იოლი გამოსაცნობია, რომ ლიდერებს ანუ ქვეყნის ჩემპიონებს ევროპის პირველობისთვის ინახავს. ცოტა უცნაურია, რომ პირველმა ნომრებმა წლეულს არც ისე ბევრი იასპარეზეს, თუმცა ამ შეჯიბრებაში მათი ჩართვა მართლაც არ იქნებოდა გამართლებული – მთავარ სტარტამდე ორი კვირით ადრე ამხელა გზაზე გადაფრენ-გადმოფრენა, რასაც ფინეთში კიდევ ერთი გაფრენა მოჰყვებოდა, არ იქნებოდა გამართლებული. ეს გადაღლიდა და გამოფიტავდა ფალავნებს...

თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ნუ ვიჩქარებთ შემადგენლობის გამოცნობას. სამაგიეროდ, იმ მეტოქეებზე ვთქვათ, ვინც უკვე გარკვეულია. აზერბაიჯანულ პრესაში უკვე ღიად ლაპარაკობენ, რომ, შესაძლოა, ფინეთში დიდ ხალიჩას დაუბრუნდეს ოლიმპიური ჩემპიონი ტოგრულ ასგაროვი, რომელიც, სავარაუდოდ, 61-ში გამოვა ანუ ხინჩეგაშვილის მეტოქე იქნება. ოლიმპიადის შემდეგ მას დიდ ტურნირზე არ უჭიდავია. იყო მცდელობა, შარშან მსოფლიოს პირველობაზე დაბრუნებულიყო სპორტში, მაგრამ სრულფასოვნად აღდგენა ვერ მოასწრო. ცოტა ხნის წინ მას მამა დაეღუპა და გაჩნდა შიში, რომ ამ შეჯიბრებასაც გამოტოვებდა, თუმცა უკვე ვრცელდება ინფორმაციები, რომ ის კარგ ფორმაშია და, შეიძლება, ევროპაზეც იჭიდაოს. გაურკვეველია, აზერბაიჯანელთაგან ვინ დადგება 97-ში, სადაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს, ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ **ხეტაგ გოზიუმოვს** მედგარ კონკურენციას უწევს ქვედა წონიდან ამონაცვლებული ოლიმპიური ჩემპიონი **შარიფ შარიფოვი**, თუმცა ჯერჯერობით უპირატესობა მაინც გოზიუმოვის მხარესაა.

ოთხი მონაწილე დაასახელა რუსთა ნაკრების ხელმძღვანელმა **მაგომედ ჰუსეინოვმა**. მოგეხსენებათ, მათთვის საევროპოდ შესარჩევი შეჯიბრება ივან იარიგინის მემორიალია. მაგომედოვის თქმით, იმ ტურნირის ჩემპიონთაგან ფინეთში ნამდვილად გამოვლენ ლონდონური ოლიმპიადის ფინალში ხინჩეგაშვილის მომგები ჩეჩენი ოლიმპიური ჩემპიონი **ჯამალ ოთარსულთანოვი** (61), **მაგომედ კურბანალიევი** (65), **ანიუარ გედუევი** (74) და **აბდუსალამ გადისოვი** (97), ხოლო დანარჩენ ოთხეულზე – **რუსტამ ამპარი** (57), **ისრაილ კასუმოვი** (70), **რაშიდ სადულაევი** (86) და **ალან ხუგაევი** (125), განაცხადა, მათ კიდევ მოუწევთ დამატებითი გამოცდის ჩაბარებაო.

თუმცა ვინც უნდა დააყენოს მაგომედოვმა, აშკარაა, ხინჩეგაშვილს ვანტააში რაოდენ ცხარე ბრძოლები ელის.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი



# პეგასი დაწინაურდა

სასპორტო კომპლექს „არენაში“ დღეს დასრულდება 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის მეორე - საგაზაფხულო ეტაპი, რომელშიც მეორე ხუთეული (პირველმა ჯგუფმა რამდენიმე დღის წინათ დაასრულა ასპარეზობა და იქ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ქარიშხალა“ - 8, „გორი“ - 4, „ფოთი“ - 4, „მამული“ - 4, „ყვარელი“ - 0 ქულა) მონაწილეობს: „თელავი“, „პეგასი“, „სამტრედია“, „იმედი“, „ზუგდიდი“. გაგაცნობთ ოთხი ტურის შეხვედრათა შედეგებს: „სამტრედია“ - „ზუგდიდი“ 30:32, „იმედი“ - „პეგასი“ 25:31, „თელავი“ - „სამტრედია“ 21:27, „ზუგდიდი“ - „პეგასი“ 27:38, „ზუგდიდი“ - „იმედი“ 30:37, „თელავი“ - „პეგასი“ 28:34, „სამტრედია“ - „იმედი“ 25:33, „ზუგდიდი“ - „თელავი“ 34:30. მეორე ხუთეულში ბოლო ტურის წინ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „პეგასი“ - 6 ქულა (3 თამაშიდან), „იმედი“ - 4 (3), „ზუგდიდი“ - 4 (4), „სამტრედია“ - 2 (3), „თელავი“ - 0 (4).

**7 მარტი.** „პეგასი“ - „სამტრედია“, „იმედი“ - „თელავი“.

საერთო ტური - 24-28 მარტს. საუკეთესო ექვსეული 5-9 მაისს ფინალურ ეტაპზე ითამაშებს.

საგულისხმოა, რომ ტურის პაექრობებს ესწრება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჟორჟე რაშიჩი**, რომელიც ყველა ასაკობრივი ნაკრების კოორდინატორადაც იმუშავებს.

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა



# ერთეულებში ოცეულს მიღმა

ბოლო წლებში ქართველი მოფარიკავეები სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე, ტურნირებიდან ხშირად მედლებითაც ბრუნდებიან, შარშან **სანდრო ბაზაძემ** 18-წლიანებში სულაც კონტინენტის ჩემპიონატი მოიგო. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კადეტებსა და ახალგაზრდებში ახლახან დამთავრებულ ევროპის პირველობაზე, რომელსაც ისრაელმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის 16 წარმომადგენელი მონაწილეობდა და, ჭაბუკ მოხმალავეთა გუნდურ მე-7 ადგილს თუ არ ჩავთვლით, ვერც ერთი მათგანი ოცეულშიც ვერ მოხვდა, ზოგიერთმა კი ჯგუფურიდან პლეი ოფშიც ვერ დაიბევა ადგილი.

**კადეტები.** აქ დაშნაში მოასპარეზე არ გვყავდა. რაპირაში **მარიამ ცუხიშვილმა** 32 საუკეთესოში გამოსვლის უფლება მოიპოვა. მართალია, პირველ წრეში ბერძენ მარია პლიოტას სძლია - 15:7, მაგრამ შემდეგ პოლონელ იულია ვალჩუკთან დამარცხდა (7:15) და 30-ე ადგილს დასჯერდა. ბიჭებში **გივი ხარტიშვილი** და **ლაშა გალუაშვილი**, შესაბამისად, 51-ე და 53-ე ადგილებზე გავიდნენ. ხმალში ხუთი ჩვენებური ცდიდა ძალებს. გოგონების პლეი ოფში **ქრისტინე ნოზაძემ** მარტა მაზურეკს (პოლონეთი) მოუგო - 15:8, თავად კი ზეპრა ფატმა კოშესთან (თურქეთი) დამარცხდა - 10:15 და 32-ე ადგილი დაიკავა. 37-ე იყო **მარიამ ფხაკაძე.** ბიჭების პლეი ოფში თითო წარმატებას მიაღწიეს **ნიკა შენგელიამ** (თურქ იაილინ შაჰინთან - 15:6) და **გივი მერკვილაძემ** (ბელგიელ არტურ ბაეტენსთან - 15:10), მაგრამ მომდევნო შეხვედრები მათაც დათმეს. მერკვილაძე 28-ეზე, შენგელია კი 31-ე ადგილზე გავიდა, **ლაშა ლოლუას** 43-ე ადგილი ერგო.

**ახალგაზრდები.** დაშნაში სამი წარმომადგენელი გვყავდა, მაგრამ პლეი ოფს ვერავინ უწია: 65. **მიქაელ მიქაელიანი**, 71. **ნუცა იაგორაშვილი**, 75. **მარია ზაკირჩენკო.** რაპირაში **თეონა გოგლიძე** 36-ე იყო, **ლუკა ღლანიძე** კი - 47-ე. მოხმალავეებში ოთხმა ქართველმა მოსინჯა ძალები. კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოსმედალოსანი **მიხეილ მარდალეიშვილი** 22-ე ადგილს დაყაბულდა. 34. **საბა სულამანიძე**, 38. **დავით უკლება**, 47. **ნიკა შენგელია.** მოხმალავე ბიჭებმა გუნდურშიც იასპარეზეს და 12 ნაკრებს შორის მე-7 ადგილი დაიკავეს. პირველ ორთაბრძოლაში მათ პოლონელები დაჯაბნეს - 45:40, მეორეში კი მომავალ ჩემპიონ ფრანგებთან დამარცხდნენ - 34:45, მე-7 ადგილისთვის მატჩში კი გერმანელებს დააყრევინეს ფარ-ხმალი - 45:42.

**ვაჟა დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი


საქართველო-ესპანეთი 61:18

# შვიდი ცვლილება ძირითად შემადგენლობაში

**საქართველოს ნაკრები, რომელიც ერთა თასის გათამაშების ბოლოსწინა ტურის მატჩისთვის საფრანგეთში, ტულონთან ახლოს ემზადებოდა, გუშინ მადრიდში ჩავიდა და ხვალ უნივერსიტეტის სტადიონზე ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. დღეს კი ჩვენი მორაგბეები ღია ვარჯიშს გამართავენ.**

„ბორჯღალოსნების" ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელშიც რუსებთან მატჩთან შედარებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებაა. **მიხეილ ნარიაშვილისა** და **დავით ზირაქაშვილის** ტრავმების შესახებ უკვე ვწერდით. შესაბამისად, ძირითად შემადგენლობაში ბურჯების პოზიციას **ზურაბ ჟვანია** და **ლევან ჩილაჩავა** დაიკავებენ.

განაცხადში არ არის მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი.** მის ნაცვლად **გიორგი ნემსაძე** ითამაშებს, რომელიც რუსებთან მატჩში თადარიგში იყო. ამჯერად მარქაფა **შალვა სუთიაშვილი** იქნება, რომელსაც რუსებთან არ უთამაშია.

სახე იცვალა მესამე ხაზმაც. „ლომების" წინააღმდეგ არ ითამაშებენ **ვიქტორ კოლელიშვილი** და **დიმიტრი ბასილაია.** მლეტავის ადგილს „ვიტოს" ნაცვლად **გიორგი თხილაიშვილი** დაიკავებს, რვანომერი კი **გიორგი ჩხაიძე** იქნება, რომელიც რუსებთან შეცვლაზე შევიდა. სათადარიგო მესამეხაზელი ლოკომოტიველი **გივი ბერიშვილი** გახლავთ.

აქამდე ცხრა ნომრის პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში მუდამ **გიორგი ბეგაძე** თამაშობდა. ამჯერად ჰეიგმა ეს პოზიცია ახალგაზრდა **ვაჟა ხუციშვილს** ანდო. ბეგაძე თადარიგშია. ძირითადში ითამაშებს შუამარბი **თედო ზიბზიბაძე. დავით კაჭარავა,** რომელმაც ამ პოზიციაზე რუსებთან ისპარეზა, განაცხადში არ არის. საბრძოლო რაზმში მოხვდა „ლოკომოტივის" ფულბეკი **ბექა ნიკლაური,** რომელსაც წინა შეხვედრაში არ უთამაშია.

ერთი სიტყვით, ჰეიგმა შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი ცვლილება განახორციელა. ამათგან ნაწილი იძულებითია, უფრო მეტი კი, ალბათ, ტაქტიკური.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის საგზური შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა. ახლა ჩვენი მორაგბეები პირველი ადგილის დასაკავებლად იბრძვიან. ამ შემთხვევაში მსოფლიოს თასზე ჩვენთვის სასურველ C ჯგუფში მოვხვდებით. აქ ჩვენი მეტოქეები ახალი ზელანდიის, არგენტინისა და ტონგას ნაკრებებთან ერთად აფრიკის კონტინენტის შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული იქნება (სავარაუდოდ, ნამიბია, ზიმბაბვე ან მადაგასკარი). წინააღმდეგ შემთხვევაში თავს D ჯგუფში ამოვყოფთ, სადაც საფრანგეთს, ირლანდიას, იტალიასა და კანადას დავუპირისპირდებით.

აღსანიშნავია, რომ პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტებზე სტუმრად შეხვდება ირლანდიის ნაკრებს. კიდევ ორ მატჩს კი შინ გამართავს.

ესპანეთის ნაკრებს „ბორჯღალოსნებისგან" განსხვავებული ამოცანა აქვს გადასაჭრელი. „ლომები" ერთა თასზე ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან და, ცხადია, დარჩენილ ორ მატჩში ყველა ღონეს იხმარენ, რათა ერთი დივიზიონით არ დაქვეითდნენ.

მათი კონკურენტი ბელგიის ნაკრებია, რომელიც ჩვენს კონკურენტ რუმინეთს სტუმრად, ტიმიშოარაში დაუპირისპირდება. უცნაურია, მაგრამ რუმინელები ბელგიასთან მატჩის სამზადისში ქართული მოთამაშეების სიას საგულდაგულოდ მალავენ. თუმცა, ძნელი სავარაუდოა, „სტეუარიში" რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს.

საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების დაპირისპირება მადრიდში თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. ზურაბ ჟვანია, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. გიორგი ნემსაძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. გიორგი ჩხაიძე.**

**16. შალვა მამუკაშვილი, 17. კარლენ ასეიშვილი, 18. ანტონ ფეიქრიშვილი, 19. შალვა სუთიაშვილი, 20. გივი ბერიშვილი 21. გიორგი ბეგაძე, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ბექა ნიკლაური.**

**ესპანეთის ნაკრები**

მატიო პელუკონი (ალბი), ანიბალ ბონანი (ბაგნერე), გილემ რუე (ბაიონი), მარკო ფერერი, ჩარლი მალი (ორივე-ბეზიე), ხულიენ გოია (ბიარიცი), ბენატ ოზქუი, გაუტიერ გიბუნი (ბორდო), ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), დავიდ ბარერა (სენ ჟან დანჟელი), დამიენ ელგოინი (სენ ჟან დე ლუზი), ფრანკ ლაბე, მარკოს პოგი (ლორმონი), ხესუს მორენო (მონლუსონი), აუგუსტინ ორტისი (ნარაფოა), ხესუს რეკუერდა (დაქსი), ფედერიკო ნეგრილო (ვანი), ხავიერ სანსი (სატანდერი), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), დანიელ სნი (გეტხო), მეთ კუკი (ტანბრიჯი).

**ერთა თასი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +86 | 14 |
| 2.რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +81 | 14 |
| 3.ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -24 | 5 |
| 4.პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -36 | 4 |
| 5.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -54 | 4 |
| 6.ბელგია | 3 | 0 | 0 | 3 | -53 | 1 |

**მსოფლიოს თასის შესარჩევი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 8 | 7 | 1 | 0 | +160 | 33 |
| 2.რუმინეთი | 8 | 7 | 1 | 0 | +130 | 33 |
| 3.რუსეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -60 | 18 |
| 4.პორტუგალია | 8 | 2 | 1 | 5 | -57 | 11 |
| 5.ესპანეთი | 8 | 1 | 2 | 5 | -81 | 10 |
| 6.ბელგია | 8 | 0 | 1 | 7 | -92 | 6 |

**IV ტური**

ესპანეთი-საქართველო
რუსეთი-პორტუგალია
რუმინეთი-ბელგია

ანგარიში

# რაში იხარჯება ფული ქართულ რაგბიში

**საქართველოს რაგბის კავშირმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც სრულადაა გაწერილი გასულ ოთხწლიან ციკლში გაწეული ხარჯები და მიმდინარე, რაგბის განვითარების პროგრამით გაზრდილი დაფინანსების პრიორიტეტები. ვფიქრობთ, რაგბის ქომაგებისთვის და, არა მარტო მათთვის, საინტერესო იქნება გაიგონ, რამდენად ყაირათიანად იხარჯება რაგბიში სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. ფაქტი უდავოდ უპრეცედენტოა, ვინაიდან აქამდე, არც ერთ სხვა სპორტულ ფედერაციას მსგავსი ნაბიჯი არ გადაუდგამს.**

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის №193 დადგენილებით, „საქართველოში რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №488 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც 2014-2016 წლების ფინანსური ნაწილი განისაზღვრა 33 673 968 ლარით.

იმის გამო, რომ გულშემატკივრებში ამ ცნობამ გამოიწვია გარკვეული გაუგებრობა (საიდან გაჩნდა ეს თანხა, როგორ მოხდება მისი განაწილება, რას მოხმარდება და ა.შ.), რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გააცნოს მათ ამ პროგრამის დეტალები, რათა ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო და დააკმაყოფილოს ფართო საზოგადოების ინტერესი.

რაგბის განვითარების მხარდაჭერის პირველი სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 2008 წლის აპრილში. პროგრამამ მოიცვა პერიოდი 2008-2012 წლები. პროგრამით 2008-12012 წლებში რაგბის განვითარებისთვის გამოიყო 17 828 689 ლარი. საიდანაც 6 000 000 ლარი იყო უმაღლესი ლიგის გუნდების დახმარება (საბაზო და საპრიზო დაფინანსება). წლების მიხედვით თანხა შემდეგნაირად განაწილდა:

2008 წელი 2 710 000 (მათ შორის 320 000 ლარი კლუბების საბაზო დაფინანსება - 2 390 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2009 წელი 4 335 379 (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო თანხა - 2 835 379 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2010 წელი 4 537 710 (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო თანხა - 3 037 710 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2011 წელი 5 065 600 (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო თანხა 3 565 600 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2012 წელი 1 180 000 ლარი (კლუბების საპრიზო თანხა)

სულ 17 828 689 ლარი (მათ შორის 6 000 000 ლარი კლუბების დახმარება)

რაგბის განვითარების მხარდაჭერის მეორე სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 2012 წლის თებერვალში. პროგრამამ მოიცვა 2012-2016 წლები. ფინანსური ნაწილი განისაზღვრა 20 500 000 ლარით, საიდანაც 6 000 000 ლარი გამოიყო უმაღლესი ლიგის 10 გუნდის დახმარებისათვის (საბაზო და საპრიზო დაფინანსება). წლების მიხედვით თანხა შემდეგნაირად განაწილდა :

2012 წელი 4 000 000 ლარი (მათ შორის 1 000 000 ლარი კლუბების საბაზო დაფინანსება-3 000 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2013 წელი 4 700 000 ლარი (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო დაფინანსება-3 200 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2014 წელი 4 800 000 ლარი (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო დაფინანსება 3 300 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2015 წელი 6 500 000 ლარი (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო დაფინანსება-5 000 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2016 წელი 500 000 ლარი ( 5 00 000 ლარი კლუბების საპრიზო დაფინანსება )

სულ 20 500 000 ლარი (მათ შორის 6 000 000 ლარი კლუბების დახმარება)

2013 წელს რაგბის კავშირს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების დახმარებისათვის დამატებით გამოეყო 3 300 000 ლარი. 3 000 000 უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის ხოლო 3 00 000 ლარი 1 ლიგის გუნდებისათვის.

2014 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2012 წლის რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც 2014-2016 წლებში პროგრამის ფინანსური ნაწილი განისაზღვრა 33 673 968 ლარით, საიდანაც უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების დახმარებისათვის განისაზღვრა 14 700 000 ლარი (13 500 000 უმაღლესი ლიგა, 1 200 000 პირველი ლიგა), ხოლო სანაკრებო, შიდა რაგბიზე და განვითარების სხვა პროგრამებზე 18 973 968 ლარი. წლების მიხედვით თანხა შემდეგნაირად განაწილდა:

2014 წელი 10 500 000 ლარი (მათ შორის 4 800 000 ლარი უმაღლესი და პირველი ლიგის საბაზო და საპრიზო დახმარება - 5 700 000 სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2015 წელი 12 048 684 ლარი (მათ შორის 4 950 000 ლარი უმაღლესი და პირველი ლიგის საბაზო და საპრიზო დახმარება- 7 098 684 სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

2016 წელი 11 125 284 ლარი (მათ შორის 4 950 000 ლარი უმაღლესი და პირველი ლიგის საბაზო და საპრიზო დახმარება - 6 175 284 სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები)

სულ 33 673 968 ლარი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


აკადემია-ყოჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კორვერი პორტლენდში გააჩერეს

ოდესღაც კაილ კორვერის ფენომენალური სერია უნდა დასრულებულიყო. და ეს გუშინ, პორტლენდში მოხდა. „ბლეიზერსის" მცველმა უესლი მეტიუზმა მხოლოდ 10 ქულა დააგროვა, სამაგიეროდ, თავის ამოცანას შესანიშნავად გაუმკლავდა: შეაჩერა კორვერი, რომელმაც მხოლოდ ხუთი ქულა დააგროვა და ხუთიდან ყველა სამქულიანი ააცილა. „ატლანტას" მცველი ზედიზედ 127 მატჩში მინიმუმ ერთ შორეულ ტყორცნას ათავსებდა კალათში და ამ დროის განმავლობაში 337 სამქულიანი გამოიყენა. წინა რეკორდი ზედიზედ 89 მატჩს უდრიდა და კორვერმა ის ჯერ კიდევ დეკემბერში გააუმჯობესა.

■ ■ ■

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ კათოლიკური შობის შემდეგ, „ბრუკლინი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გახდა შინ თამაშის მიხედვით. და ეს გუშინაც დამტკიცდა. „ნეტსის" წინააღმდეგ სათამაშოდ ნიუ იორკში „მემფისი" ჩავიდა, რომელიც ასევე კარგ ფორმაშია: ახალ წელს, „დათვებს" 21 მოგება და ცხრა წაგება აქვთ და პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვიან. მაგრამ „ბრუკლინმა" პირველ სამ მეოთხედში მოამთავრა საქმე, მით უმეტეს, რომ „გრიზლისს" ავადმყოფობის გამო **ზაკ რენდოლფი** არ ჰყავდა.

სტუმრებს თავიდანვე არ წაუვიდათ თამაში და სტარტიდან რვა-ნახევარი წუთის შემდეგ, „მემფისისთვის" სხვაობა კატასტროფული იყო - 5:26. საკუთარი რეზერვისტების - **ჯონ ლიუერისა** და **ნიკ კალატესის** მონდომებით, „დათვებმა" დიდი შესვენებისთვის 10 ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, მაგრამ მესამე მეოთხედში „ნეტსის" უპირატესობამ ისევ ზრდა დაიწყო. დროის ამ მონაკვეთში მასპინძლებმა ექვსი სამქულიანი ჩააგდეს და 30 ქულით გავიდნენ წინ.

ამ მოგების შემდეგ, „ბრუკლინს" მიმდინარე სეზონში პირველად აქვს ცხრილში დადებითი ბალანსი.

■ ■ ■

ზედიზედ შვიდმატჩიანი წაგებათა სერიით ჩავიდა მინეაპოლისში სათამაშოდ „ნიუ იორკ ნიქსი" და ისეთი თამაში აჩვენა ადგილობრივი „დათვების" წინააღმდეგ, თითქოს ერთიანად სურდა ჩაეხშო ბოლოდროინდელი კრიტიკა. სტუმრებმა თავიდანვე კარგი გუნდური თამაში აჩვენეს და ამის წყალობით, საწყისი ათი სროლიდან რვა გამოიყენეს, მათ შორის - შვიდიდან ხუთი სამქულიანი. მეორე მეოთხედში კი „ნიქსმა" **ტაისონ ჩენდლერი** გააქტიურა და რამდენიმე წარმატებული „ალეი-უპის" წყალობით, სტუმრები 17 ქულით გავიდნენ წინ.

მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ, „მინესოტას" თამაში შეიცვალა. **ნიკოლა პეკოვიჩი** და **რიკი რუბიო** სათავეში ჩაუდგნენ გაქცევას, რის შემდეგაც, ბოლო მეოთხედის წინ „ნიუ იორკის" უპირატესობა მხოლოდ ორი ქულა იყო. თუმცა ბოლო 12-წუთეული პეკოვიჩმა სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, რადგან ფეხის დაზიანების გამო, შეზღუდული სათამაშო დრო ეძლევა. სანამ სერბი ცენტრი ისვენებდა, „ნიუ იორკი" 15:2 გაიქცა, რითაც მატჩის დასკვნითი ნაწილი ფორმალობად იქცა.

■ ■ ■

ბოლო პერიოდში ძალიან უკლო თამაშს „ინდიანამ". ამ გუნდს თავისი ნაქები დაცვაც კი ველარ შველის. აღმოსავლეთის ლიდერმა „შარლოტთან" გუშინდელი მატჩი, ფაქტობრივად, პირველ მეოთხედში წააგო, როცა 8:28 ჩამორჩა მეტოქეს. მართალია, მეორე მეოთხედში სტუმრებმა შეძლეს სხვაობის ოთხ ქულამდე შემცირება, მაგრამ ამის შემდეგ, „შარლოტის" უპირატესობამ ისევ ზრდა დაიწყო და ასე გაგრძელდა მატჩის ბოლომდე.

ეს არც არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ **პოლ ჯორჯმა** თამაშიდან ცხრავე სროლა ააცილა მიზანს, მთლიანად „პეისერსმა" კი 40-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა და 18 შეცდომა დაუშვა. ამის საპასუხოდ, „შარლოტმა" ტყორცნების ნახევარზე მეტი მოათავსა კალათში, აგრეთვე მხოლოდ შვიდჯერ დაკარგა ბურთი.

მატჩის გმირად კი უნდა მოვნათლოთ **ელ ჯეფერსონი**, რომელმაც **როი ჰიბერტთან** (წელს, ლიგის საუკეთესო დამცველის პრიზისთვის ბრძოლაში მთავარი ფავორიტი) ორთაბრძოლაში 34 ქულა დააგროვა.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ზედიზედ ორი წაგების მიუხედავად, „ინდიანა" გახდა პირველი გუნდი NBA-ში, ვინც ვადაზე ადრე გაიფორმა პლეი ოფის საგზური.



კაილ კორვერი

**მინესოტა-ნიუ იორკი 106:118**

24:38, 31:28, 31:22, 20:30

მ: ლავი (19), პეკოვიჩი (17), ბრიუერი (16), მარტინი (12), რუბიო (11+8 პასი), მუჰამადი (10).

ნ-ი: ენტონი (33), სტაუდმაიერი (18), ფელტონი (18+8 პასი+4 ჩაჭრა), ჩენდლერი (15+14 მოხსნა), სმიტი (14), ჰარდუეი (11).

**დენვერი-დალასი 115:110**

41:34, 27:17, 11:22, 36:37

დენ: ჩენდლერი (21), ლოუსონი (20), ფოიე (16), ჰიქსონი (16+5 დაფარება), ფარიდი (16), არტური (10).

დალ: ნოვიცკი (27), რაიტი (18), კარტერი (17), ელისი (16), მერიონი (15), ჰარისი (2+11 პასი).

**პორტლენდი-ატლანტა 102:78**

29:19, 27:19, 23:17, 23:23

პ: უილიამსი (15), ბატუმი (14+18 მოხსნა), ლოპესი (12), ლილარდი (12), მეტიუზი (10), ოლდრიჯი (10+6 მოხსნა).

ა: მარტინი (16), ტიგი (10), ანტიჩი (10).

**შარლოტი-ინდიანა 109:87**

28:8, 19:30, 26:19, 36:30

შ: ჯეფერსონი (34), უოკერი (19+9 პასი), დაგლას-რობერტსი (12), მაკრობერტსი (12), ზელერი (11), ნილი (10).

ი: ტერნერი (22), ჰილი (17), სტივენსონი (12), კოუპლენდი (11), უესტი (10).

**მილუოკი-საკრამენტო 102:117**

26:28, 23:36, 25:32, 28:21

მ: ნაითი (25), ედრიენი (15), მიდლტონი (11).

ს: ტომასი (25+4 ჩაჭრა), გეი (22), კაზინსი (21+10 მოხსნა), მაკალუმი (15), ევანსი (13), ტომპსონი (8+13 მოხსნა).

**ორლანდო-ჰიუსტონი 89:101**

32:19, 16:22, 17:34, 24:26

ო: აფლალო (18), ვუჩევიჩი (15+10 მოხსნა), ჰარკლესი (15+5 ჩაჭრა), ჰარისი (10).

ჰ: ჰარდენი (31), ჰოვარდი (19+13 მოხსნა), პარსონსი (19), ჯონსი (17+11 მოხსნა).

**ვაშინგტონი-იუტა 104:91**

28:23, 26:21, 25:27, 25:20

ვ: არიზა (26), ბილი (22), გორტატი (16+9 მოხსნა), უოლი (14+10 პასი), გუდენი (12).

ი: ბერქსი (19), ბერკი (14), ჰეივორდი (12), კანტერი (11).

**ბოსტონი-გ. სტეიტი 88:108**

22:30, 18:31, 14:23, 34:24

ბ: ოლინიკი (19), რონდო (14), ბასი (11), სალინჯერი (11), ბეილესი (10).

გ-ს: ტომპსონი (18), ლი (18+10 მოხსნა), კროუფორდი (15), კარი (14), იგუოდალა (11).

**ბრუკლინი-მემფისი 103:94**

30:19, 24:25, 33:16, 16:34

ბ: ჯონსონი (21), ტორნტონი (20), უილიამსი (16+4 ჩაჭრა), პირსი (14), ბლეტჩი (12).

მ: ლიუერი (19), გასოლი (18), ალენი (15), ჯონსონი (12), კუფოსი (12), კალატესი (10+4 ჩაჭრა).

**დეტროიტი-ჩიკაგო 94:105**

25:19, 22:33, 23:19, 24:34

დ: მონრო (27), სინგლერი (16), სმიტი (15+9 მოხსნა+6 დაფარება), დრამონდი (15).

ჩ: ოგასტინი (26), გიბსონი (22), ბატლერი (18+12 მოხსნა), ნოა (10+11 მოხსნა+11 პასი), ჰაინრიხი (10), ბუზერი (10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ინდიანა | 61 | 46 | 15 | 75.4 |
| 2. მაიამი | 58 | 43 | 15 | 74.1 |
| 3. ტორონტო | 59 | 33 | 26 | 55.9 |
| 4. ჩიკაგო | 61 | 34 | 27 | 55.7 |
| 5. ვაშინგტონი | 61 | 32 | 29 | 52.5 |
| 6. ბრუკლინი | 59 | 30 | 29 | 50.8 |
| 7. შარლოტი | 61 | 28 | 33 | 45.9 |
| 8. ატლანტა | 59 | 26 | 33 | 44.1 |
| 9. დეტროიტი | 61 | 24 | 37 | 39.3 |
| 10. კლივლენდი | 62 | 24 | 38 | 38.7 |
| 11. ნიუ იორკი | 62 | 22 | 40 | 35.5 |
| 12. ბოსტონი | 61 | 20 | 41 | 32.8 |
| 13. ორლანდო | 63 | 19 | 44 | 30.2 |
| 14. ფილადელფია | 61 | 15 | 46 | 24.6 |
| 15. მილუოკი | 60 | 12 | 48 | 20.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა | 61 | 46 | 15 | 75.4 |
| 2. სან ანტონიო | 60 | 44 | 16 | 73.3 |
| 3. ჰიუსტონი | 61 | 42 | 19 | 68.9 |
| 4. კლიპერსი | 62 | 42 | 20 | 67.7 |
| 5. პორტლენდი | 61 | 42 | 19 | 68.9 |
| 6. გ. სტეიტი | 62 | 38 | 24 | 61.3 |
| 7. ფინიქსი | 60 | 35 | 25 | 58.3 |
| 8. დალასი | 62 | 36 | 26 | 58.1 |
| 9. მემფისი | 60 | 34 | 26 | 56.7 |
| 10. მინესოტა | 60 | 30 | 30 | 50.0 |
| 11. დენვერი | 60 | 26 | 34 | 43.3 |
| 12. ნიუ ორლეანი | 61 | 24 | 37 | 39.3 |
| 13. საკრამენტო | 61 | 22 | 39 | 36.1 |
| 14. იუტა | 61 | 21 | 40 | 34.4 |
| 15. ლეიკერსი | 61 | 21 | 40 | 34.4 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 31.7 |
| კარმელო ენტონი (ნიუ) | 28.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 27.4 |
| კევინ ლავი (მინ) | 26.5 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 24.5 |
| ბლეიკ გრიფინი (კლი) | 24.2 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 23.8 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 23.5 |
| დემარ დეროზანი (ტორ) | 22.9 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 14.0 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.1 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | 13.0 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 12.5 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.6 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.4 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 11.1 |
| ენდრიუ ბოგუტი (გ. სტე) | 10.3 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 10.3 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლი) | 11.0 |
| კენდალ მარშალი (ლეი) | 9.5 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 8.8 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.8 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 8.7 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.5 |
| ბრენდონ ჯენინგსი (დეტ) | 8.0 |
| კაილ ლოური (ტორ) | 7.7 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 6.9 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 6.9 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| რიკი რუბიო (მინ) | 2.4 |
| ტადეუს იანგი (ფილ) | 2.2 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 2.0 |
| ტრევორ არიზა (ვაშ) | 1.9 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |
| პოლ მილსეპი (ატლ) | 1.8 |
| მონტა ელისი (დას) | 1.8 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.8 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 2.9 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.6 |
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 2.5 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.4 |
| ჯონ ჰენსონი (მილ) | 2.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.0 |
| ენდრიუ ბოგუტი (გ. სტე) | 1.9 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 1.8 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | 1.8 |
| რობინ ლოპესი (პორ) | 1.7 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


კარმელო ენტონი

# ნიუ იორკში მიტინგი იქნება

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ, „ნიუ იორკ ნიქსმა" სტუმრად „მინესოტას" დამარცხება შეძლო, ამ გუნდს, ალბათ, ვერაფერი გადაარჩენს ჩავარდნილი სეზონისგან.

გასულ წელს, „ნიქსმა" 1994 წლის შემდეგ პირველად მოიგო ატლანტიკის დივიზიონის ტიტული. წელს, ის მინიმუმ ამ შედეგის გამეორებას გეგმავდა და პლეი ოფშიც მაქსიმალურად შორს გასვლა ჰქონდა განზრახული. მაგრამ NBA-ის ყველაზე ძვირად ღირებული კლუბისთვის რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა.

ჯერჯერობით, არანაირი შანსი არ არსებობს იმისა, რომ „ნიუ იორკი" პლეი ოფში მოხვდება - მას მერვე ადგილზე მყოფ „ატლანტაზე" შვიდი წაგებით მეტი აქვს. და ყველაზე უარესი ის არის, რომ კლუბი, სავარაუდოდ, ზაფხულში ორ წამყვან მოთამაშეს დაკარგავს - **კარმელო ენტონისა** და **ტაისონ ჩენდლერს**. რატომ უნდა დარჩნენ ისინი ამ არეულობაში, როცა მათზე დიდი მოთხოვნაა უფრო წარმატებული კლუბებიდან?!

მოკლედ, წლევანდელი ჩემპიონატი - მხოლოდ თავის ტკივილია გუნდისთვის და მისი გულშემატკივრებისთვის. სხვათა შორის, ფანები არ აპირებენ შეეგუონ ამ სიტუაციას. რა თქმა უნდა, ისინი ვერ გავლენ მოედანზე და ვერ მოუგებენ „სან ანტონიოს" ან „მაიამის", მაგრამ პროტესტის გამოცხადება შეუძლიათ. „ინდიანასთან" მატჩის წინ, რომელიც 19 მარტს გაიმართება, გულშემატკივრები აქციას გამართავენ „მედისონ სკვერ გარდენის" მიმდებარე ტერიტორიაზე. ქომაგების მიზანია - გააგებინონ კლუბის ხელმძღვანელობას, რომ მობეზრდათ ამდენი სირცხვილი და იმედგაცრუება.

# თვის ლაურეატები

„მაიამი ჰიტის" მსუბუქი ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრი **ბლეიკი გრიფინი** გასული თვის საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ.

თებერვალში „მაიამიმ" 10-დან ცხრა მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა საშუალოდ 30.8 ქულა (მეორე შედეგი კონფერენციაში), 8.1 მოხსნა და 6.7 შედეგიანი პასი დააგროვა. ლებრონმა, რომელმაც ერთი შეხვედრა ცხვირის მოტეხილობის გამო გამოტოვა, თამაშიდან 57.5 პროცენტის სიზუსტით ისროლა. შესაბამისად, ის გახდა პირველი მოთამაშე **უილტ ჩემბერლენის** შემდეგ, ვინც კალენდარული თვე მინიმუმ 30 ქულით, 8 მოხსნით, 6 პასითა და 57-პროცენტიანი სიზუსტით დაასრულა.

რაც შეეხება დასავლეთში საუკეთესო გრიფინს, ის მესამე იყო ლიგაში ქულების (30.0) რაოდენობით, რასაც საშუალოდ 10.7 მოხსნა დაუმატა. თებერვალში, მხოლოდ ორმა მოთამაშემ შეძლო საშუალოდ შეხვედრაში მინიმუმ 30 ქულისა და 10 მოხსნის დაგროვება. ბლეიკს თებერვალში რვა ორმაგი დუბლი ჰქონდა, გარდა ამისა, 20-ქულიანი მატჩების სერია 19-მდე აიყვანა. საუკეთესო მატჩი მან 5 თებერვალს ჩაატარა, როცა „მაიამისთან" 112:116 წაგებულ შეხვედრაში 43 ქულა, 15 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

■ ■ ■

ასევე ლიგამ დაასახელა თებერვლის საუკეთესო დებიუტანტები. აღმოსავლეთში გამოარჩიეს „ორლანდოს" წევრი **ვიქტორ ოლადიპო** და დასავლეთში - მემფისელი **ნიკ კალატესი**.

ოლადიპო თებერვალში საუკეთესო იყო დებიუტანტებს შორის პასების (4.9) და ჩაჭრების (1.92) რაოდენობით, მეორე ქულების (14.7) მიხედვით და მეხუთე მოხსნებით (4.74). ორლანდოელმა რვაჯერ გადალახა ათქულიანი ზღვარი და ორჯერ დააგროვა მინიმუმ 20 ქულა.

კალატესი დასავლეთში მეორე იყო შედეგიანობის (10.7) და პასების (4.6) მხრივ. ასევე მეორე ადგილი გაიყო მოხსნებში (3.6). ბერძენი ზედიზედ ექვს მატჩში აგროვებდა მინიმუმ 10 ქულასა და 5 შედეგიან გადაცემას.

# ფოტო-NEWS

## თუფაქი კალათბურთზე

ლეგენდარული რეპერი **თუფაქ შაქური** იმ ქვეყნიდან „ბოსტონისა" და „გოლდენ სტეიტის" მატჩზე გამოცხადდა. მაყურებლები პირჯვარს იწერდნენ, მაგრამ ფოტოებს იღებდნენ „მუსიკოსთან".

თუფაქი 1996 წელს გამოასალმეს სიცოცხლეს. ის პირველი რეპერია მსოფლიოში, ვისაც ძეგლი დაუდგეს, ხოლო ჟურნალმა „როლინგ სტოუნმა" ყველა დროის შემსრულებლებს შორის 86-ე პოზიცია მიანიჭა.

როგორც ჩანს, ეს ბეკგრაუნდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მაყურებლებს შიში გადაელახათ და სამახსოვრო ფოტოები გადაეღოთ „ცრუ" რეპერთან. თუფაქის ორეულიც წინააღმდეგი არ იყო და სიამოვნებასაც იღებდა საერთო არეულობისგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფანჯარა დაიხურა

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სატრანსფერო ფანჯარა ზაფხულამდე დაიხურა. გთავაზობთ გუშინ განხორციელებული გაცვლების სრულ ჩამონათვალს:

- მცველი **მაიკ უივერი** „ფლორიდიდან" „მონრეალში" გადავიდა 2015 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- მეკარე **ილია ბრიზგალოვი** „ედმონტონიდან" „მინესოტაში" გაუშვეს 2014 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ანაჰაიმის" ფორვარდი **დასტინ პენერი** „ვაშინგტონში" აღმოჩნდა 2014 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ანაჰაიმის" მეკარე **ვიქტორ ფასტი** „ედმონტონში" გაცვალეს 2014 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში და 2015 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „დალასის" მცველი **სტეფან რობიდასი** „ანაჰაიმში" გადავიდა 2014 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „აილენდერსის" მცველი **ენდრიუ მაკდონალდი** „ფილადელფიაში" გაცვალეს 2014 წლის დრაფტის მესამე რაუნდში და 2015 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ფინიქსის" მცველი **დევიდ რუნდბლადი** „ჩიკაგოში" აღმოჩნდა 2014 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო** „ფლორიდაში" გადავიდა. სანაცვლოდ „კენაქსმა" მიიღო მეკარე **იაკობ მარქსტრიომი** და ფორვარდი **შონ მატიასი**.

- „ვაშინგტონის" ფორვარდი **მარტინ ერატი** „ფინიქსში" გაცვალეს მცველ **როსტისლავ კლესლას**, ფორვარდ **კრის ბრაუნისა** და 2015 წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ტამპა ბეის" ფორვარდი **მარტინ სან ლუი** „რეინჯერსში"გააგრძელებს კარიერას. საპირისპირო მიმართულებით „ტამპაში" გადავიდა ფორვარდი **მარტინ კელეჰანი**, რასაც დაემატა 2014 წლის დრაფტის მეორე რაუნდში და 2015 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება.

- „ოტავას" ფორვარდი **კორი კონაკერი** „ბაფალოში" გადავიდა.

- „ედმონტონის" ფორვარდი **ალეშ ჰემსკი** „ოტავაში" გაცვალეს 2014 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში და 2015 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ნეშვილის" მეკარე **დევან დუბნიკი** „მონრეალში" აღმოჩნდა მომავალი დრაფტის ერთ-ერთ რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „კოლამბუსის" ფორვარდი **მარიან გაბორიკი** გაუშვეს „ლოს ანჯელესში" ფორვარდ **მეტ ფრეტინისა** და დრაფტზე ორი არჩევანის სანაცვლოდ.

- „ფლორიდას" ფორვარდი **მარსელ გოკი** „პიტსბურგში" გადავიდა 2014 წლის დრაფტის მესამე და მეხუთე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „კაროლინას" ფორვარდი **ტუომო რუუტუ** „ნიუ ჯერსიში" გაუშვეს ფორვარდ **ანდრეი ლოკტიონოვის** სანაცვლოდ.

- „ფლორიდას" მეკარე **ტიმ ტომასი** „დალასში" წავიდა თანაამპლუელ **დენ ელისის** სანაცვლოდ.

- „ბაფალოს" ფორვარდები **მეტ მოულსონი** და **კორი მაკორმიკი** „მინესოტაში" გაცვალეს ფორვარდ **ტორი მიტჩელსა** და დრაფტში რამდენიმე არჩევანის უფლებაში.

- „ედმონტონის" მცველი **ნიკ შულცი** „კოლამბუსში" ითამაშებს 2014 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ფილადელფიას" მცველი **ანდრეი მეზაროში** „ბოსტონში" გაცვალეს 2014 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ვანკუვერის" მცველი **რაფაელ დიასი** „რეინჯერსში" აღმოჩნდა 2015 წლის დრაფტის მეხუთე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „კალგარის" მეკარე **რეტო ბერა** „კოლორადოში" გაცვალეს მომავალი დრაფტის ერთ-ერთ რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ნეშვილის" ფორვარდი **დევიდ ლეგვანდი** „დეტროიტში" გადავიდა ფორვარდების **პატრიკ ივსისა** და **კალე იარნკროკის**, აგრეთვე 2014 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „აილენდერსის" ფორვარდი **ტომაშ ვანეკი** „მონრეალში" გაცვალეს 2014 წლის დრაფტის მეორე რაუნდში ფორვარდი **სებასტიან კოლბერგის** სანაცვლოდ.

- „ბაფალოს" მეკარე **იაროსლავ ჰალაკი** „ვაშინგტონში" გაცვალეს მეკარე **მიხალ ნოივირტზე**.

- „კალგარის" ფორვარდი **ლი სტემპნიაკი** „პიტსბურგში" გადავიდა 2014 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.



მარტინ სან ლუი

| რეინჯერსი-ტორონტო | 2:3 (ო) |
|---|---|

0:0, 0:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ბოჟაკი-13 (ბულიტი), 0:2 კადრი-16 (კულემინი-11), 1:2 მაკდონაჰი-10 (მური-9, ბ. ბოილი-10), 2:2 მური-5 (სტეპანი-30), 2:3 ბოჟაკი-14 (კესელი-37, რეინჯერი-8).

| ფილადელფია-ვაშინგტონი | 6:4 |
|---|---|

2:0, 2:1, 2:3

**გოლები:** 1:0 ჟირუ-22 (კუტურიე-22, რიდი-14), 2:0 ვორაჩეკი-17 (ჟირუ-41, სიმონდსი-27), 3:0 ჟირუ-23, 4:0 რაფლი-8 (ლ. შენი-5, ენდრიუ მაკდონალდი-21), 4:1 ჯ. უორდი-19 (მაიკ გრინი-27, ოვეჩკინი-23), 4:2 ოვეჩკინი-44 (ბექსტრიომი-49, ჯ. კარლსონი-17), 4:3 ბროუერი-17 (ჰილენი-1, ბექსტრიომი-50), 5:3 ვორაჩეკი-18 (ჰარტნელი-24), 5:4 ლეიჩი-7 (მაიკ გრინი-28, ელზნერი-12), 6:4 დაუნი-4 (რიდი-15, ბ. შენი-19).

| კალგარი-ოტავა | 4:1 |
|---|---|

1:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 მარკუს გრანლუნდი-1 (რაინჰარტი-1), 2:0 ბირონი-3 (ჯორდანო-21, რასელი-17), 3:0 კოლბორნი-5 (ჰუდლერი-30, მონეჰანი-9), 3:1 ტარისი-20 (გრინინგი-9, ვირჩიოკი-13), 4:1 კამალერი-15 (ჯორდანო-22, მონეჰანი-10).

| ანაჰაიმი-მონრეალი | 3:4 (ბ) |
|---|---|

0:2, 3:1, 0:0, 0:0, 2:3

**გოლები:** 0:1 ბ. ჯონსტა-13 (პლეკანეცი-18), 0:2 პასიორეტი-30 (დეშარნე-26, გალაჰერი-19), 1:2 ჯეკმენი-3 (სბისა-2, ბონინო-25), 2:2 ბოშემენი-3 (ლინდჰოლმი-17, ჰილერი-1), 3:2 ვინიკი-3 (ბელესკი-12, ლავჯოი-11), 3:3 გალაჰერი-16 (საბენი-33, მოენი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ბონინო (ანაჰაიმი), დეშარნე (მონრეალი), პერი (ანაჰაიმი), ბრიერი (მონრეალი), მარკოვი (მონრეალი).

აღმოსავლეთი

ატლანტიკი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 61 | 39 | 17 | 5 | 83 |
| 2. მონრეალი | 64 | 35 | 22 | 7 | 77 |
| 3. ტორონტო | 64 | 33 | 23 | 8 | 74 |
| 4. ტამპა ბეი | 62 | 34 | 23 | 5 | 73 |
| 5. დეტროიტი | 61 | 28 | 21 | 12 | 68 |
| 6. ოტავა | 63 | 27 | 25 | 11 | 65 |
| 7. ფლორიდა | 62 | 23 | 32 | 7 | 53 |
| 8. ბაფალო | 61 | 18 | 35 | 8 | 44 |

მეტროპოლიტენი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 61 | 41 | 16 | 4 | 86 |
| 2. ფილადელფია | 63 | 33 | 24 | 6 | 72 |
| 3. რეინჯერსი | 63 | 33 | 26 | 4 | 70 |
| 4. კოლამბუსი | 62 | 32 | 25 | 5 | 69 |
| 5. ვაშინგტონი | 63 | 29 | 24 | 10 | 68 |
| 6. ნიუ ჯერსი | 63 | 27 | 23 | 13 | 67 |
| 7. კაროლინა | 62 | 27 | 26 | 9 | 63 |
| 8. აილენდერსი | 64 | 24 | 32 | 8 | 56 |

დასავლეთი

ცენტრალური

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ლუისი | 61 | 41 | 14 | 6 | 88 |
| 2. ჩიკაგო | 63 | 36 | 13 | 14 | 86 |
| 3. კოლორადო | 62 | 40 | 17 | 5 | 85 |
| 4. მინესოტა | 62 | 34 | 21 | 7 | 75 |
| 5. დალასი | 62 | 29 | 23 | 10 | 68 |
| 6. ვინიპეგი | 63 | 30 | 26 | 7 | 67 |
| 7. ნეშვილი | 62 | 26 | 26 | 10 | 62 |

პასიფიკი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანაჰაიმი | 63 | 43 | 14 | 6 | 92 |
| 2. სან ხოსე | 63 | 39 | 17 | 7 | 85 |
| 3. ლოს ანჯელესი | 63 | 35 | 22 | 6 | 76 |
| 4. ფინიქსი | 62 | 28 | 23 | 11 | 67 |
| 5. ვანკუვერი | 64 | 28 | 26 | 10 | 66 |
| 6. კალგარი | 62 | 24 | 31 | 7 | 55 |
| 7. ედმონტონი | 63 | 21 | 34 | 8 | 50 |

*შენიშვნა: პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| რუსენბორგი-ლევანგერი | 5:2 |
| **არგენტინა** | |
| არსენალი-კილმესი | 0:2 |
| **ჩილე** | |
| პალესტინო-უაჩიპატო | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ოლიმპიაკოსი-მილანი | 86:88 |
| ბარსელონა-ფენერბაჰჩე | 93:73 |
| ჟალგირისი-ცსკა | 86:88 |
| პარტიზანი-ბაიერნი | 70:55 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| პელიკანსი-კაიპა | 4:2 |
| ტაპარა-იოკერიტი | 3:4 (ო) |
| ტპს-ჰპკ | 2:3 |
| ჰიფკ-ილვესი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-პარდუბიცე | 0:3 |
| **შვედეთი** | |
| ვექსიო-აიკ | 3:2 |
| ლინჩოპინგი-ბრინასი | 2:3 |
| ლულეა-ფერიესტადი | 1:3 |
| მოდო-შელეფტეო | 4:2 |
| ფრიოლუნდა-ლექსანდი | 0:3 |
| ჰვ 71-ორებრო | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| შმიჩეკი-სოკი | 6:4, 1:6, 6:4 |
| სტახოვსკი-კუბოტი | 6:4, 7:5 |
| როჯე ვასელენი-ბეკერი | 6:4, 6:2 |
| დელ ბონისი-ფალა | 3:6, 4:6 |
| რასელი-იანგი | 4:6, 6:1, 6:2 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ორმაეჩეა-ჟენგი | 6:3, 3:6, 6:7 |
| თაუნსენდი-კნაპი | 7:6, 6:1 |
| უ. რადვანსკა-ვოზნიაკი | 2:6, 0:6 |
| კარ. პლიშკოვა-დე ბრიტო | 6:2, 3:6, 6:2 |
| ჩეპელოვა-გორგესი | 1:6, 6:2, 3:6 |
| ტომლიანოვიჩი-დომინგეს ლინო | 6:4, 7:6 |

ჩოგბურთი

# ვინუსი რიოში პატარა ჩოგნით

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ვინუს უილიამსმა** გააკვირვა სპორტული სამყარო თავისი გადაწყვეტილებით: ის აპირებს სერიოზული კარიერა ააწყოს მაგიდის ჩოგბურთში.

ამერიკელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კვირაში სამ საათს უთმობს ვარჯიშებს და ძალიან მოსწონს სპორტის ეს სახეობა. უფრო მეტიც, ვინუსი მიზნად ისახავს 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე მაგიდის ჩოგბურთში გამოსვლის უფლება მიიღოს. ამასთან, უფროსი უილიამსი იმ მომენტისთვის არც საჩოგბურთო კარიერის დასრულებას აპირებს, ამიტომაც, შესაძლოა, უნიკალური შესაძლებლობა მიიღოს - სპორტის ორ სახეობაში იბრძოლოს მედლებისთვის.

ამასობაში, WTA-მ თებერვლის საუკეთესო მოთამაშედ ვინუს უილიამსი აღიარა. გასულ თვეში ამერიკელმა პირველი ტიტული მოიპოვა ბოლო წელიწადნახევარში, როცა ყველას აჯობა დუბაიში. ამ ტურნირზე ვინუსმა TOP15-ის ორი წევრი - **ანა ივანოვიჩი** და **კაროლინ ვოზნიაცკი** დაამარცხა. ამჟამად, უფროსი უილიამსი 31-ე ადგილზეა მსოფლიოს რეიტინგში.

WTA-მ თვის საუკეთესო მოთამაშის პრიზი 2014 წელს დაანესა.



ვინუს უილიამსი

ამბები

## ნადალი ბუცებს ჩაიცვამს

2 მაისს, მადრიდში მასტერსის სერიის ტურნირის წინ, გაიმართება საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი, რომლის ორგანიზატორები იქნებიან მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** და მადრიდის „რეალის" გოლკიპერი **იკერ კასილიასი**.

სახელოვანი მოთამაშეები შეკრებენ გუნდებს, რომლებიც რვა-რვა მოთამაშით იქნებიან წარმოდგენილნი. შემოსული თანხა გადაირიცხება ფონდში, რომელიც გაჭირვებულ ბავშვებს ეხმარება. გარდა ამისა, დაგეგმილია საჩოგბურთო მატჩები წარსულის ვარსკვლავთა მონაწილეობით: **ილიე ნასტასე, ადრიანო პანატა, გილერმო ვილასი** და **მანოლო ორანტესი**.

## ჯოკოვიჩს არ დასჯიან

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია არანაირ სანქციას არ გამოიტანს მსოფლიოს მეორე ჩოგანის, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მიმართ. როგორც იცით, ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯოკოვიჩს მუდმივი კონტაქტი აქვს თანამემამულე ჩოგბურთელთან **ვიქტორ ტროიცკისთან**, რომელიც, ამჟამად, ანტისადოპინგო წესების დარღვევისთვის დისკვალიფიკაციას იხდის. ნოვაკს სწორედ ამის გამო უპირებდნენ დასჯას.

საერთაშორისო ფედერაციამ დაადასტურა, რომ ახალი წესების თანახმად, ჩოგბურთელებს მართლაც ეკრძალებათ კავშირი დოპინგის მიღებისთვის დასჯილ მოთამაშეებთან, თუმცა ეს შეზღუდვა 2015 წლიდან შედის ძალაში და თან, გავრცელდება მხოლოდ პროფესიულ ურთიერთობებზე.

## გაიცანით: ივეტა მელცერი

გასულ კვირას, ფლორიანაპოლისის ტურნირის ბადეში ვიხილეთ ჩოგბურთელი - **ივეტა მელცერი**. ქალთა პროფესიულ ტურში ასეთი სახელისა და გვარის მოთამაშე აქამდე არ გამოდიოდა, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა: ჩეხი **ივეტა ბენეშოვა** მეუღლის - ავსტრიელი ჩოგბურთელის **იურგენ მელცერის** გვარზე გადავიდა და ახლა, ტურნირებზე ივეტა მელცერის სახელით გამოვა.

შეგახსენებთ, რომ მათი ქორწილი 2012 წლის სექტემბერში გაიმართა, ურთიერთობა კი 2011 წლის უიმბლდონის შემდეგ დაიწყეს. იმ ტურნირზე ჩეხი და ავსტრიელი მიქსტში გამოდიოდნენ და ჩემპიონებიც გახდნენ.

ფორმულა 1

# ფეტელი: ფინიშიც კარგი იქნება

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, „რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** განაცხადა, რომ ზამთრის ტესტებზე შექმნილი პრობლემების გათვალისწინებით, კმაყოფილი იქნება თუ სეზონის პირველი ეტაპზე - ავსტრალიის გრანპრიზე ფინიშამდე შეძლებს მისვლას.

*„სიმართლე გითხრათ, თავად ფინიშის ფაქტი ჩვენთვის უკვე გამარჯვება იქნება. და თუ პილოტების ნახევარი რბოლის ბოლომდე ვერ მიაღწევს, შესაძლოა, რამდენიმე ქულაც მოვიპოვოთ"*, - განაცხადა გერმანელმა, რომელმაც გასული სეზონი ზედიზედ ცხრა ეტაპის მოგებით დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, „რედ ბულის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჰელმუტ მარკომ** განაცხადა, რომ გუნდმა უნდა შეძლოს ავსტრალიის გრანპრიზე თავის გადარჩენა.

■ ■ ■

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ საფრანგეთის გრანპრი, რომელიც 2009 წლის შემდეგ არ ჩატარებულა, შესაძლოა, სულ მალე დაბრუნდეს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში.

*„ჩვენ მაგიდაზე გვიდევს მანი-კურში საფრანგეთის რბოლის კონტრაქტი. ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად, ორგანიზატორებს ფული დასჭირდებათ, აგრეთვე ჩვენ გვჭირდება გარანტია, რომ ერთი დღის შემდეგ ისინი საკუთარ გეგმებს არ შეცვლიან"*, - ამბობს ექლსტოუნი.





ფეტელი გასაჭირშია

გუშინ, ბრიტანელმა ისიც განაცხადა, რომ 2016 წელს კალენდარში, შესაძლოა, ინდოეთისა და კორეის ეტაპები დაბრუნდეს.

ელ-ფოსტა ან მობილური პაროლი
ვაჟა სიმონიშვილი ●●●●●●●●●●● ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ დაგავიწყდათ პაროლი?
ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვიცვლით ფერებს? გემოვნება გვეცვლება?

გამოცანის სახით ორ ფოტოს შემოგთავაზებთ. უნდა გამოიცნოთ რა მატჩი, ან მატჩებია ასახული და როდის გაიმართა ის (ისინი).



ვინც ვერ გამოიცნო, მოგახსენებთ: ორივე ფოტოზე ერთი და იგივე შეხვედრაა - ბრაზილია-სამხრეთ აფრიკა. მაშ, რატომ აცვიათ ბრაზილიელებს ერთ ფოტოზე ლურჯი, მეორეზე - ყვითელი ფორმა? ერთ ტაიმში ერთი ეცვათ, მეორეში - მეორე. არ ვხუმრობთ, მართლა ასე იყო.

არადა, აქამდე ტაიმებს შორის ბურთების გამოცვლის ამბავიც გამიგია, თმის ვარცხნილობისაც, მაისურისა - პირველად ვნახე.



1930 წლის მუნდიალის ფინალში პირველ ტაიმში ბურთი არგენტინამ აირჩია, მეორეში - ურუგვაიმ; ხოლო შესვენებებზე სტილისტი ვის აკითხავს, კრიშტიანო რონალდოს ქომაგებს კარგად მოეხსენებათ.

■ ■ ■

ბრაზილიის ნაკრების ფერისცვალება რომ არა, დღევანდელ ტაიმლაინში ფერების სიმბოლიკაზე მაინც დავწერდი - საქართველოს ნაკრებმაც ხომ წლეულს იცვალა ფერი.

საინტერესოდ დაემთხვა: 2004 წელს ახალმა მთავრობამ შინდისფერი დროშა წითელ-თეთრით შეცვალა და სპორტის ყველა ფედერაციას მოსთხოვა - ნაკრების ეკიპირებაში ლაჟღაჟა წითელი და თეთრი ფერი „გაბატონებულიყო". ამის შემდეგ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს შინდისფერი მაისურა აღარ სცმია. გავიდა 10 წელი და საქართველოს მთავრობაში „ქართული ოცნება" მოვიდა, რომლის სიმბოლო ლურჯი დროშაა. საფეხბურთო ნაკრების ეკიპირებაშიც ლურჯი გამოერია - ლიხტენშტაინთან ამხანაგურ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა თეთრ-ლურჯი ფორმით ითამაშა. ნამდვილად არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ერთგვარად პოლიტიკური გავლენით მოხდა. შეიძლება, მხოლოდ დამთხვევაა და უბრალოდ, დიზაინერს მოაფიქრდა - მოდი, ფედერაციას ლურჯ-თეთრ დიზაინს შევთავაზებ, იქნებ მოეწონოსო... ფაქტია, რომ მოეწონა.

ლურჯს თეთრი რომ უხდება, ფინეთის ნაკრების ფორმაც ადასტურებს, თუმცა საკითხავი ის არის, ასეთი ფერები რამდენად ასოცირდება საქართველოს ნაკრებთან. გერმანიის ეროვნულ გუნდს თეთრისა და წითლის გარდა აცვია მწვანე მაისურაც, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. მეც იმედს დავიტოვებ, რომ ფინურ ლურჯ-თეთრში საქართველოს ნაკრების შემოსვაც იშვიათი შემთხვევათაგანი იყო.

■ ■ ■

ფერებთან დაკავშირებით მაქვს საკუთარი მოსაზრება, რომლის ჩამოყალიბების საშუალებასაც ეს რუბრიკა მაძლევს. შეიძლება ზოგი არ დამეთანხმოს, მაგრამ ვფიქრობ, ზოგისთვის უინტერესო არ უნდა იყოს: 1918 წელს იაკობ ნიკოლაძემ სამფერა (შინდისფერი, შავი, თეთრი) დროშა შემთხვევით როდი შექმნა?! - თითოეულ ფერს მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა, დროშას კი დიდი შინაარსი (ახსნა-განმარტება ძალიან შორს წაგვიყვანს).

შინდისფერი დროშა 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქცა ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებიც სწორედ ამ ფერის მაისურით გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. მეტად უხდებოდა შავი ტრუსი და თეთრი გეტრი. 2004 წლამდე დიზაინი იცვლებოდა, ხოლო მაისური შინდისფერი რჩებოდა. როგორც მიხვდით, ლაპარაკია გასვლით ფორმაზე, შინ - შავ-თეთრი ფორმით ვთამაშობდით, რომელსაც შინდისფერი ზოლები დაჰყვებოდა.

2004 წლის შემდეგ კი შინდისფერი წითელმა ჩაანაცვლა, შავი ფერი კი ეკიპირებიდან გაქრა. მაშინაც დავწერე, რომ სიმბოლოებთან ცოტა სათუთი მოპყრობა იყო საჭირო და მოვიყვანე იტალიისა და ჰოლანდიის მაგალითი. იტალიის ნაკრებს 1934 წლის მუნდიალზე ცისფერი მაისურა ეცვა, რის შემდეგაც გუნდის ძირითად ფერად სწორედ ის იქცა და ამიტომაც უწოდებენ დღეს იტალიის ნაკრებს „ცისფერ გუნდს". მეტსაც გეტყვით, ეს ფერი სპორტის სხვა სახეობებმაც აიტაცეს და დღეს კალათბურთისა თუ რაგბის ნაკრებები ცისფერი ფორმით იწონებენ თავს. არადა, იტალიის დროშაზე ცისფერი არსადაა - მწვანე-თეთრ-წითელია.

ჰოლანდიის შემთხვევაში კიდევ უფრო ღრმად უნდა შევიჭრეთ ისტორიაში. მე-16 საუკუნემდე ჰოლანდიის დროშაზე წითლის ნაცვლად ნარინჯისფერი ზოლი იყო, რაც ორანჟის სამეფო გვარის სიმბოლო გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ დროშაზე ნარინჯისფერი საუკუნეების წინათ შეიცვალა, ჰოლანდიურ სპორტში ნარინჯი მაინც პირველ ფერად დამკვიდრდა, რითაც ნიდერლანდელთა ნაკრებები ბევრისგან გამოირჩევიან.

■ ■ ■

90-იან წლებში საქართველოს ეროვნულ გუნდსაც ბევრისგან გამოარჩევდით შინდისფერ-შავი ფორმით, მაგრამ... ამას წინათ, ნაკრების ფორმის პრეზენტაციაზე თეთრ-ლურჯთან ერთად წარმოგვიდგინეს შინდისფერ-თეთრი ფორმა. იმედს დავიტოვებ, რომ მომდევნო შეხვედრებში ვიხილავთ სწორედ ისეთ შინდისფერს, როგორიც 90-იანი წლების ნაკრებს ეცვა. ეს ფერი თუნდაც იმიტომ უნდა აღვადგინოთ, რომ პირველად სწორედ შინდისფრით გამოვჩნდით დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით...



ევრო 96-ის შესარჩევი



მუნდიალი 98



ევრო 2000



ევრო 2004



ევრო 2008



მუნდიალი 2014

● ქართველი NBA-ში

## მეფეებთან პატარა კაცსა...

NBA-ს მორიგ ტურში ერთმანეთის წინაშე წარდგნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციების ბოლოადგილოსნები - „მილუოკი ბაქსი" და „საკრამენტო კინგსი". საინტერესოა, რომ მათ შორის მეტად დიდი დაცილებაა მოგება-წაგებების გრაფაში - აღმოსავლელ „საკრამენტოს" 22 მოგება აქვს, „მილუოკის" - 12.

თანაფარდობა მატჩის შედეგზეც აისახა - გაიმარჯვეს მეფეებმა - 116:102.

მილუოკის ცენტრმა **ზაზა ფაჩულიამ** შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 16 წუთი ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში მან 4 ქულა, 3 პასი და 1 მოხსნა მოაგროვა. შეხვედრის ბომბარდირობა ორივე გუნდის უკანახაზელებმა გაიყვეს: საკრამენტოელმა **აიზია ტომასმა** და **ბრენდონ ნაითმა** 25-25 ქულა ჩააგდეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



● ახალი პარტნიორი

## ოქეი, სუპერლიგა!

სუპერლიგას ახალი პარტნიორი ჰყავს, კომპანია „ოქეი", რომლის ხელმძღვანელობასა და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შორის გუშინ თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა.

**მიხეილ გაბრიჩიძე** (საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი):

*- მისასალმებელია, რომ კომპანია „ოქეიმ" თანამშრომლობისთვის კალათბურთის ფედერაცია აირჩია. სუპერლიგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამართული იყოს ტექნიკური მხარე, რაც ჩვენი საიტების და სხვა ციფრული სისტემების გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს. ამ სფეროში კომპანია „ოქეი" გვერდში დაგვიდგა, ფედერაცია კი სანაცვლოდ მას სარეკლამო მომსახურებას გაუწევს. იმედი მაქვს, ჩვენი პარტნიორობა 1 წლით არ შემოიფარგლება და კიდევ გახანგრძლივდება.*

**ბადურ კოპლატაძე** (კომპანია „ოქეის" მმართველი პარტნიორი):

*- მოხარულები ვართ კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია ეროვნული ჩემპიონატის წახალისება და კალათბურთის საკლუბო დონეზე განვითარება. ჩვენი თანამშრომლობა რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ შედგა და განისაზღვრა ის ტექნიკური მხარდაჭერა, რაც კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას სჭირდება სუპერლიგის თამაშების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის. წინასწარ შეთანხმებული აღჭურვილობის მიხედვით ჩვენ მოვამარაგებთ ფედერაციას მთელი წლის განმავლობაში იმ ტექნიკით, რაც მათ დაეხმარება კიდევ უფრო ოპერატიულად და გამართულად იმუშაონ და გადაჭრან მათ წინაშე მდგარი ყველა ტექნიკური ამოცანა.*

**ვაჟა სიმონიშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608